ლარის კურსის გამყარება დროებითი მოვლენა A4

განათლება A8

მეცნიერება და ტექნიკა B6

www.24hours.ge

24 საათი

ყოველდღიური

© გაზეთი 24 საათი

ხუთშაბათი, 4 მარტი, 2004 წელი. №53 (602)

ფასი 50 თეთრი

## პოლიტიკა

### საპრესკონფერენციო სპრინტი მოსკოვში

ზუსტად იმ დროს, როცა საინფორმაციო სააგენტო "რია-ნოვოსტი"-ში ქართველი სახელმწიფო მინისტრისა და მოსკოვში საქართველოს ახალი ელჩის პრესკონფერენცია უნდა დაწყებულიყო, მეორე სააგენტო "ინტერფაქსში" ბრიფინგი მოულოდნელად დანიშნა აჭარის ლიდერმა.

A3

## ეკონომიკა

### შესაძლოა, თბილისს გაზი გაეთიშოს

თუ "თბილგაზი" ორი კვირის ვადაში არ დაფარავს მოხმარებული გაზის საფასურს – 7 მილიონ 532 ათას დოლარს, "გაზექსპორტი" გაზმომარაგებას ჯერ გაანახევრებს, შემდეგ კი საერთოდ შეწყვეტს.

A4

## უცხოეთი

### გერმანიაში საპრეზიდენტო არჩევნები ახლოვდება

მიმდინარე წლის 23 მაისს გერმანიაში სახელმწიფოს ახალი მეთაური - პრეზიდენტი უნდა აირჩიონ. დღეს ეს პოსტი მმართველი სოციალ-დემოკრატიული პარტიის წარმომადგენელს, იოჰანეს რაუს უკავია.

A5

## საზოგადოება

### ისევ ჩვენ და აფხაზები

"24 საათის" რედაქციაში "აფხაზური კლუბის" გუშინდელი შეხვედრა ყველაზე ხალხმრავალი და ხანგრძლივი გამოდგა. ცხოველი ინტერესი გამოიწვია თავად თემამ (საერთაშორისო ორგანიზაციების როლი აფხაზეთის კონფლიქტის მოგვარების საკითხში) და მოწვეულმა სტუმრებმა – აფხაზეთის საკითხში გაერო-ს წარმომადგენლის მოადგილემ მარიან სტაშევსკიმ და ბრიტანული ორგანიზაციის "შერიგების რესურსების" კავკასიის პროგრამების დირექტორმა, კონფლიქტოლოგმა ჯონათან კოენმა.

A6

## სამართალი

### შსს-მ რეფორმისკენ სვლა დაიწყო

შსს-ში რეფორმის პირველი ეტაპი დაიწყო. ორასზე მეტმა თანამდებობის პირმა (მათ შორის - მინისტრის მოადგილეებმა, სამმართველოს უფროსებმა და მათმა მოადგილეებმა) მინისტრის ბრძანება შეასრულა და თანამდებობიდან გადადგომის შესახებ განცხადებები დაწერა.

A7

## ამინდი

| | | |
|---|---|---|
| თბილისი | 16 | |
| ქუთაისი | 18 | |
| ბათუმი | 18 | |
| სოხუმი | 15 | |
| ფოთი | 17 | |
| თელავი | 15 | |
| ზუგდიდი | 18 | |
| გორი | 13 | |
| ახმეტა | 15 | |
| ჭიათურა | 14 | |
| გაგრა | 12 | |
| სამტრედია | 18 | |

### უცხოური ვალუტის ოფიციალური კურსი ლართან მიმართებაში

| | |
|---|---|
| აშშ დოლარი | 1.9800 |
| ევრო | 2.4554 |
| გირვანქა სტერლ. | 3.6850 |
| რუბლი | 0.0694 |

# ორი თავისუფალი სავარძელი

**რომელსაც "წვრილი" პარტიები ეპატრონებიან**

*ჯერჯერობით, ოპოზიციური სპექტრი ეჭვის თვალით უყურებს "ნაციონალებისა" და "დემოკრატების" ინიციატივას საარჩევნო ადმინისტრაციებში პრეზიდენტის კვოტიდან მათთვის ორი ადგილის დათმობის თაობაზე. ხელისუფლება ოპოზიციას ამ სკამების დაკავებას საუბნო და საოლქო საარჩევნო კომისიებში სთავაზობს და, უარის შემთხვევაშიც კი, პრეზიდენტის კვოტიდან გამოთავისუფლებული ორივე ადგილი ვაკანტური დარჩება.*

თამარ ასათიანი

სხვათა შორის, ეს ხელისუფლების მხრიდან წამოსული მეორე ინიციატივაა, რომელიც საარჩევნო ადმინისტრაციების დაკომპლექტების წესს ეხება. პირველად მიხეილ სააკაშვილმა თავად გაახმოვანა იგი და მაშინაც ოპოზიციას ცესკოში საკუთარი კვოტიდან ორი ადგილი შესთავაზა. თუმცა, პრეზიდენტის ინიციატივას ადრესატები არ გამოხმაურებიან.

ამჯერად ხელისუფლებამ უკვე მეორედ მიმართა ოპოზიციურ პარტიებს. თანაც, მას მერე, რაც ევროსაბჭოსა და ეუთო-ს წარმომადგენლებმა არ დამალეს უკმაყოფილება მათი რეკომენდაციების შეუსრულებლობის გამო. შეგახსენებთ, რომ უცხოელმა დიპლომატებმა ღიად გამოხატეს საკუთარი პოზიცია მათ მიერ გაცემული და ქართული მხარის მიერ შეუსრულებელი რეკომენდაციების გამო, რომელიც საარჩევნო ბარიერის დაწევასა და საარჩევნო ადმინისტრაციების დაკომპლექტების წესის შეცვლას შეეხებოდა.

საინტერესოა ის არგუმენტები, რომლითაც ამჯერად ხელისუფლება საკუთარ ინიციატივას ასაბუთებს. "ნაციონალების" საარჩევნო სიის პირველი ნომრის, მაია ნადირაძის თქმით, **"ამ ინიციატივით ხელისუფლებას ოპოზიციისთვის იმის დამტკიცება სურს, რომ იგი**

გაგრძელება A3 გვერდზე

# ხელოვნური ოპოზიცია ჩვენ და ქართველ ხალხს პარლამენტში არ გვჭირდება

მაია ჭალაგანიძე

*უშიშროების საბჭო პოლიტიკური ხელისუფლების ერთ-ერთი განსაკუთრებული ცენტრია. ნუგზარ საჯაიას შემდეგ, საბჭომ ერთგვარად დაკარგა საიდუმლო და ძლევამოსილი ელფერი. ნამდვილად არ შეიძლება იმის თქმა, რომ საჯაიას ტრაგიკული სიკვდილი იყო უშიშროების საბჭოს გავლენის შემცირების დასაწყისი, რომელიც ისევე, როგორც საჯაიას სიკვდილი, ვიღაცას სჭირდებოდა... ამის შემდეგ უშიშროების საბჭოს სათავეში პროდასავლურად განწყობილი, ხანგრძლივი დიპლომატიური სტაჟის მქონე თედო ჯაფარიძე ჩაუდგა. თუმცა, ბატონ თედოს ამ სტრუქტურის ხელმძღვანელობა ისეთ პერიოდში მოუწია, როცა მისთვის მშობლიური დიპლომატია და არამკვეთრი პოზიციები გამოსადეგი აღარ იყო.*

გაგრძელება B1 გვერდზე



ვანო მერაბიშვილი

# ჭარების შესამოწმებლად პრეზიდენტი ღამის დროს გამოიყენებს

ლელა მჭედლიძე

უშიშროების საბჭოს გუშინდელი სხდომა პრეზიდენტის შესავალი სიტყვით გაიხსნა:

**"მინდა მოგესალმოთ და აღვნიშნო: ძალიან მნიშვნელოვანია ის ფაქტი, რომ პარლამენტის თავმჯდომარე ჩვენთან ერთად არის!**

**ძალიან მნიშვნელოვანია ისიც, რომ ეს არის პირველი ფორმალიზებული შეკრება უშიშროების საბჭოსი, რომელიც ჯერ კიდევ ჯეროვნად ჩამოყალიბებული არ არის. პირველ რიგში, მე მინდა ვთქვა, რომ გუშინ ღამის 2 საათიდან ჩვენ შეიარაღებული ძალების საბრძოლო მზადყოფნას ვამოწმებთ.**

**იცით, რომ უკანასკნელი ორი თვის მანძილზე ჩვენ ინტენსიურად ვმუშაობთ არმიაში. მუშაობას კოორდინაციას ბატონი ვანო მერაბიშვილი უწევს. მე მაინტერესებდა, ბატონ გია ბარამიძის ხელმძღვანელობით როგორ განვითარდა შინაგანი ჯარების საკითხი, რა ცვლილებები შეიტანა პირველივე კვირებში ახალმა თავდაცვის მინისტრმა და გენერალური შტაბის ხელმძღვანელმა.**

**ღამის ორის ნახევარზე, ისე, რომ მინისტრმაც არ იცოდა არაფერი, დავადექით თავზე შინაგანი ჯარების ბრიგადას. მინდა ვთქვა, რომ, მართალია, ბატონ გიას ეწყინა, თუ რატომ არ დავუძახეთ მას, მაგრამ ეს ასეთი პროცედურაა და ამიერიდან, მე არც ერთ მინისტრს არ გავაფრთხილებ, ისე დავადგები ხოლმე თავზე! პრინციპში, შინაგანი ჯარის დონემ ჩემს ყველანაირ მოლოდინს გადააჭარბა!**

**17 წუთში, მთელი აპარატურით, ეს ხალხი შეიარაღებული იჯდა მანქანებში და იყო მზად საბრძოლო ოპერაციებზე გასასვლელად, ჰქონდათ საწვავის საკმარისი მარაგი, რათა განეხორციელებინათ მარში საქართველოს ნებისმიერი მიმართულებით.**

გაგრძელება A3 გვერდზე

# ჯონ კერი - ჯორჯ ბუშის უპირობო მეტოქე

ლევან ღირსიაშვილი

*დემოკრატიული პარტიის ფავორიტმა ჯონ კერიმ, "სუპერ სამშაბათის" პრაიმერიზების პირწმინდად მოგებით, ნოემბრის არჩევნებში აშშ-ს პრეზიდენტის პოსტზე თავისი პარტიის მხარდაჭერა გაინაღდა. უკვე აღარავინ ეჭვობს, რომ ოქტომბერში დემოკრატიული პარტიის კონგრესი აშშ-ს ამჟამინდელ პრეზიდენტს ჯორჯ ბუშს სწორედ ჯონ კერის დაუპირისპირებს. "სუპერ სამშაბათის" კენჭისყრამდე, სენატორ კერის 20 შტატიდან 18 შტატში გამარჯვება უკვე მოპოვებული ჰქონდა. დღეს მას უკვე 28 შტატი უჭერს მხარს.*

გაგრძელება A5 გვერდზე



REUTERS

ჯონ კერი უკვე გამარჯვებას ზეიმობს.

# "ამერიკული ცდუნება" აპროტესტებს

მაია ურუშაძე

*"24 საათის" 23 თებერვლის ნომერში გამოქვეყნებული სტატიის - "ამერიკული ცდუნება ყოფილი პრეზიდენტის სიძისთვის" - პასუხად "მეტრომედიამ" არ დაიზარა და წერილით მიმართა გაზეთის მთავარ რედაქტორს. წერილში კომპანიის გენერალურმა დირექტორმა მარკ ჰაუფმა აღშფოთება გამოთქვა იმის გამო, რომ "გაზეთის ჟურნალისტებმა და რედაქტორებმა ვერ შეძლეს ვერც ერთი კონკრეტული ფაქტის გამოკვლევა და წარმოდგენა. მათ ასევე გამოამჟღავნეს ტრადიციული, პატიოსანი ბიზნეს-ფინანსირების საყოველთაოდ მიღებული პრაქტიკის საოცარი არცოდნა." ამ პათოსით გაჟღენთილ ხუთგვერდიან წერილში საუბარია "მეტრომედიას" გამჭვირვალეობაზე, რისკზე, რომელსაც კომპანია საქართველოში შემოსვლისას არ შეუშინდა, მის მიერ საქართველოს ეკონომიკის განვითარებაში შეტანილ წვლილსა და ყურადღებაზე, რომელსაც კომპანიის მიმართ აშშ-ს მთავრობა იჩენს...*

გაგრძელება A4 გვერდზე

# "გამოძიება ბრალის წაყენებამდეა მისული"

*მანამდე, სანამ გენერალური პროკურატურის საგამოძიებო ჯგუფი "ომეგა-ჯგუფის" დამფუძნებლებსა და მმართველებს ბრალდებას წაუყენებდეს, ორი კვირის წინ დაწყებულ სამართლებრივ დავაში ორ დაპირისპირებულ მხარეს შორის შეთანხმება შედგა.*

**"გენერალური პროკურატურის მიერ დალუქული „ომეგა-ჯგუფის" ოფისებში ინვენტარიზაციას თავად საწარმოთა თანამშრომლები ჩაატარებენ. გამოძიებასთან ამის თაობაზე შეთანხმება მიღწეულია",** - აცხადებს „ომეგა-ჯგუფის" ადვოკატი სოსო ბარათაშვილი.

გაგრძელება A7 გვერდზე

# ნათელაშვილი ნათან ბრძენის როლის თამაშს განაგრძობს

გიორგი ასანიშვილი

*ყურადღების მიქცევის ერთ-ერთი გზა შიშველი სიარულია. ვარდების რევოლუციის შემდეგ ელექტორატშეთხელებულ შალვა ნათელაშვილს ამ მეთოდისთვის ჯერ არ მიუმართავს, მაგრამ არანაკლებ უცნაურობას აკეთებს: იგი პრესკონფერენციებს უკვე მიხეილ სააკაშვილის მაგივრად ატარებს და საქართველოს პრეზიდენტის საზღვარგარეთული ვიზიტების შედეგებს თავადვე "აჯამებს".*

თავის ქმედებას "ლეიბორისტული პარტიის" ლიდერი იმით ხსნის, რომ **"სააკაშვილის ვოიაჟები უნაყოფო აღმოჩნდა და თავად პრეზიდენტს სათქმელი არაფერი აქვს".** ამ ვიზიტებიდან ნათელაშვილს მხოლოდ ის დამახსოვრებია, რომ ნიუ-იორკში ყოფნისას, საქართველოს პრეზიდენტმა ქუჩაში ჰამბურგერი მიირთვა, რაც, ნათელაშვილის თქმით, ამერიკაში ცუდ ტონად ითვლება.

**"რა გააკეთა სააკაშვილმა ქვეყნის ტერიტორიული მთლიანობის აღსადგენად? ამ თემაზე მას არავისთან უსაუბრია და თუ ისაუბრა, ამ საუბრებს შედეგი არ გამოუღია",** - კატეგორიული ტონით აცხადებს "ლეიბორისტული პარტიის" ლიდერი.

გაგრძელება A2 გვერდზე

A2 ამბები | A3 პოლიტიკა | A4 ეკონომიკა | A5 უცხოეთი | A6 საზოგადოება | A7 სამართალი | A8 განათლება

B2 რევიუ | B3 რევიუ | B4 სპორტი | B5 სპორტი | B6 მეცნიერება და ტექნიკა | B7 სხვადასხვა | B8 სხვადასხვა

## საჩუქრები პატიმარი დედებისათვის



"დედის დღე" პატიმარი ქალებისთვის.

"დედის დღე" სასჯელთაღსრულების მე-5 დაწესებულებაში მყოფ პატიმარ ქალებსაც მიულოცეს.

გუშინ დაწესებულებას ესტუმრნენ საქართველოს იუსტიციის მინისტრი გიორგი პაპუაშვილი, მისი მოადგილე გია გეწაძე, სასჯელთაღსრულების დეპარტამენტის თავმჯდომარე შოთა კოპაძე, მწერალი დავით ტურაშვილი და სხვები. მათ პატიმარ ქალებს საჩუქრები, ყვავილები და საქველმოქმედო აქციებზე შეგროვებული წიგნები გადასცეს.

სასჯელთაღსრულების N5 დაწესებულებაში 100-მდე პატიმარი ქალი იმყოფება, ისინი სხვადასხვა მძიმე კატეგორიის დანაშაულისთვის არიან გასამართლებულნი.

*ინტერ-პრესი*

## "აკმაყოფილებს, მაგრამ არ აკმაყოფილებს"

ქვემო ქართლში მუშაობა დაიწყო პოლიციაზე ზედამხედველობის საზოგადოებრივი მონიტორინგის საბჭომ, რომელიც "თავისუფლების ინსტიტუტის", "ახალგაზრდა იურისტთა ასოციაციის", "ყოფილი პოლიტპატიმრები - ადამიანის უფლებებისათვის", სამხარეო პოლიციისა და მასმედიის წარმომადგენლებით არის დაკომპლექტებული.

საბჭომ მუშაობა მხარის პოლიციის განყოფილებების წინასწარი დაკავების საკნების მონიტორინგით დაიწყო. ქალაქ რუსთავში არსებული ქვემო ქართლის შინაგან საქმეთა სამმართველოს წინასწარი დაკავების საკნის დათვალიერების შემდეგ საბჭომ დაასკვნა, რომ ეს დაწესებულება შინაგან საქმეთა სამინისტროს მიერ დამტკიცებულ ნორმებს "აკმაყოფილებს და ვერც აკმაყოფილებს".

"ქვემო ქართლის სამხარეო პოლიციის წინასწარი დაკავების საკნებში არ არის გათბობა, არ მუშაობს ვენტილაცია. მართალია, თითოეულ საკანში არის საპირფარეშო, თუმცა იმის გამო, რომ შენობაში წყალგაყვანილობის სისტემა არ მუშაობს, პატიმრებს ანტისანიტარიასა და აუტანელ სუნში უწევთ ყოფნა," – აცხადებენ საბჭოს კომისიის წევრები. მათივე თქმით, წლების მანძილზე მოუწესრიგებელია დაკავებულთა კვების საკითხიც.

*ინტერ-პრესი*

## შინაგან საქმეთა მინისტრი აქციის მონაწილეებს დაშლას სთხოვს

ზუგდიდი-ანაკლიას საავტომობილო და ზუგდიდი-თბილისის სარკინიგზო მაგისტრალები მეოთხე დღეა გადაკეტილია. ამის მიზეზი 28 თებერვალს ზუგდიდის რაიონის სოფელ ახალ კახათში მომხდარი მკვლელობა გახდა. შეიარაღებული თავდასხმა ფაჟავების ოჯახზე 15 ტომარა თხილის წართმევის მიზნით მოხდა. 34 წლის დიასახლისმა მზია ფაჟავამ თავდამსხმელებს წინააღმდეგობა გაუწია. იგი გულ-მკერდის არეში მიღებული ჭრილობებით ადგილზევე დაიღუპა. ფაჟავას ოჯახის წევრები და ახლობლები აცხადებენ, რომ მიცვალებულს მანამდე არ დაკრძალავენ, ვიდრე დამნაშავეებს არ დასჯიან.

შინაგან საქმეთა მინისტრი გიორგი ბარამიძე ზუგდიდში საგზაო მაგისტრალების გადაკეტვის გამო მოკლულის ახლობლებს მოუწოდებს, გახსნან მაგისტრალი. მისი თქმით, დაზარალებულებთან ერთად პოლიციაც დაინტერესებულია, ბოროტმოქმედები უმოკლეს დროში დააპატიმრონ. ბარამიძე აცხადებს, რომ პოლიციისთვის ცნობილია ექვმიტანილთა გარკვეული წრე, თუმცა გამოძიების ინტერესებიდან გამომდინარე, მათ ვინაობას სამართალდამცველები ჯერ ვერ ამხელენ. "პოლიცია მათ დასაპატიმრებლად კანონის მთელი სიმკაცრით იმოქმედებს", - აცხადებს შინაგან საქმეთა მინისტრი.

*24 საათი*

## "კმარა" აბაშიძის რეჟიმის წინააღმდეგ

მოძრაობა "კმარას" წარმომადგენლები ორგანიზაციის ბათუმელი აქტივისტის ნუგზარ თაფლაძის დაჭრაში აჭარის ლიდერის ასლან აბაშიძის რეჟიმს ადანაშაულებენ. "კმარას" წევრთა განცხადებით, ორი დღის წინ ოთხი პიროვნება ნუგზარ თაფლაძეს საკუთარი სახლის ეზოში დახვდა და როცა გაიგეს, რომ იგი "კმარას" აქტივისტი იყო, მუცლის არეში დანით ჭრილობა მიაყენეს.

თუთბერიძის განცხადებით, "აჭარის ხელისუფლების დავალებით ჩადენილი ამგვარი ქმედებები "კმარას" აქტივისტებს ვერ აიძულებს, უარი თქვან ასლან აბაშიძის რეჟიმთან ბრძოლაზე", - აცხადებენ კმარელები. მათი მტკიცებით, თბილისში მყოფი ბათუმელი აქტივისტები, დიდი საფრთხის მიუხედავად, ბათუმში ჩასვლას მაინც აპირებენ, რათა თავისი ოპოზიციური აზრი გამოთქვან. "ცენტრალურმა ხელისუფლებამ ასლან აბაშიძესთან ბრძოლაში მნიშვნელოვანი როლი უნდა ითამაშოს და ჩაატაროს კონკრეტული ღონისძიებები, კერძოდ კი, ყველა იმ ადამიანის მიმართ, ვინც ამგვარ ქმედებებს სჩადის, სისხლის სამართლის საქმე აღძრას და დანაშაულზე პასუხი აგებინოს", - ასეთია მოძრაობა "კმარას" წევრთა პოზიცია.

*24 საათი*

## გალის ადმინისტრაცია შეიცვალა

2 მარტს, საკუთარი განცხადების საფუძველზე, თანამდებობიდან გადადგა გალის აფხაზური ადმინისტრაციის ხელმძღვანელი რუსლან ქიშმარია. აღნიშნულ თანამდებობაზე დაინიშნა იური კვეკვესკირი, რომელიც ქიშმარიას მოადგილის მოვალეობას ასრულებდა. ქიშმარიას გადადგომის მიზეზი უცნობია. იგი თითქმის 10 წლის განმავლობაში გალის აფხაზური ადმინისტრაციის ხელმძღვანელის მოვალეობას ასრულებდა.

*ინტერ-პრესი*

## ქართველ ჯარისკაცებს იტალიელები შემოსავენ

*ფოთის პორტში ორი დღის წინ საჰაერო ძალებისთვის განკუთვნილი ინვეტარით დატვირთული გემი ჩამოდგა. ორ სახელმწიფოს შორის გაფორმებული ხელშეკრულების საფუძველზე, იტალიელები ქართველ სამხედროებს რვა მილიონი ევროს ღირებულების საქონელს გადასცემენ. როგორც საქართველოს თავდაცვის სამინისტროს წარმომადგენლებმა გუშინ იტალიის ელჩთან შეხვედრისას განაცხადეს, ამ დახმარებამ მათ, რომ იტყვიან, სულზე მოუსწრო.*

1997 წელს, როდესაც საქართველოს პრეზიდენტი იტალიას ესტუმრა, ორ სახელმწიფოს შორის ხელშეკრულება გაფორმდა. ხელშეკრულება, თითქმის, ყველა სფეროს მოიცავდა - ერთდროულად ცხრა დოკუმენტს მოეწერა ხელი. ბიუროკრატიული აპარატის გამო, ხელშეკრულების ამუშავება წლების განმავლობაში ფერხდებოდა. შარშან იტალიის თავდაცვის მინისტრის მოადგილე ფილკო ბერსელი საქართველოს ესტუმრა და ცხრა ხელშეკრულებიდან ერთ-ერთის, რომელიც სამხედრო სამინისტროებს შორის გაფორმდა, ამოქმედება დაიწყო. ორი დღის წინ იტალიიდან ფოთის პორტში 79 დასახელების სამხედრო ინვენტარი ჩამოვიდა.

**"იტალიამ ევრო-ატლანტიკის სტრუქტურაში საქართველოს გასაწევრიანებლად გარკვეული წვლილი შეიტანა. რამდენიმე წელიწადია, საქართველოსა და იტალიას შორის ხელშერულება გაფორმდა და პირველი დადებითი რეზულტატი სახეზეა. თავდაცვის სამინისტროსთვის გაწეული დახმარება არის პირველი ნაბიჯები და ამას გაგრძელება აუცილებლად ექნება, "** – განაცხადა იტალიის ელჩმა საქართველოში ფაბრიციო რომანომ.



ქართული დელეგაცია იტალიის ელჩთან შეხვედრაზე.

როგორც საქართველოს თავდაცვის მინისტრის მოადგილემ ნუგზარ ქევხიშვილმა გვითხრა, მას შემდეგ, რაც ბერსელს საქართველოში სტუმრობისას გაჭირვებულ მდგომარეობაში მყოფი ქართული ჯარი უნახავს, დახმარების დიდი სურვილი გაჩენია. **"როდესაც იტალიის თავდაცვის მინისტრის მოადგილემ გაჭირვებული ქართული ჯარი ნახა, შეგვპირდა, რომ გაფორმებული ხელშეკრულების ამოქმედებას დააჩქარებდა. შეიქმნა გენ-შტაბის კომისია და იგი გააკონტროლებს მიღებული საქონლის სწორ განაწილებას. ეს იყო პირველი ეტაპი, მომავალში ჩვენ ავტოტექნიკასა და სამი ათას ტონა საწვავსაც ველოდებით,"** – აღნიშნა ქევხიშვილმა.

თავდაცვის სამინისტროს წარმომადგენლები აცხადებენ, რომ მათ ბევრი პრობლემა აქვთ. წლების განმავლობაში ქვეყანას არ შეეძლო სამხედროებისთვის საკმარისი რაოდენობის ფორმა შეეძინა. იტალიელების დახმარებით კი შესაძლებლობა ეძლევათ, ჯარისკაცების მთელი შემადგენლობა დააკმაყოფილონ. მედიცინის, საწვავისა და ტრანსპორტის პრობლემის მოგვარება, რაც ასევე მწვავედ დგას ქართული ჯარის წინაშე, კვლავ იტალიელების იმედად რჩება.

*თამარ დვალი*

## ცენტრალურმა ბიუჯეტმა აჭარიდან კუთვნილი თანხის ნაწილი მიიღო

აჭარის ავტონომიურ რესპუბლიკასთან არსებული ხანგრძლივი ფინანსური პრობლემა თანდათან გვარდება. ცენტრალურ ბიუჯეტში აჭარიდან კუთვნილმა თანხებმა დაიწყო დენა. მას შემდეგ, რაც სოციალური ხარჯების დასაფინანსებლად ცენტრალურმა ბიუჯეტმა აჭარას 700 ათასი ლარი გადაურიცხა, 2 მილიონ ლარამდე თანხა ცენტრალური ბიუჯეტისთვის აჭარამაც გაიღო.

თუმცა, ფინანსთა სამინისტროში დასძენენ, რომ ერთი გადარიცხვა პრობლემის საბოლოო მოგვარებას არ ნიშნავს. "თანხები, ჯერჯერობით, სრულად არ მიგვიღია. სწორედ ეს დანაკლისი განაპირობებს იმას, რომ იანვარ-თებერვალში ცენტრალური ბიუჯეტის შესრულების მაჩვენებელი 98 პროცენტია. თუმცა, იმედი გვაქვს, რომ პრობლემას საბოლოოდ მოვაგვარებთ," – განაცხადეს ფინანსთა სამინისტროში.

*24 საათი*

## 12 მილიონი დოლარი საქართველოს ენერგოსექტორს

მსოფლიო ბანკი საქართველოს ენერგოსექტორის განვითარებისთვის 12 მილიონ დოლარს გამოყოფს. ამის შესახებ ფინანსთა მინისტრმა ზურაბ ნოღაიდელმა განაცხადა. მისი თქმით, აღნიშნული საკითხი საქართველოს პრეზიდენტის ამერიკაში ვიზიტის დროს გადაწყდა, თუმცა დოკუმენტი ოფიციალურად ივნისში, ბანკის დირექტორთა საბჭოს სხდომაზე გაფორმდება.

"არ არის გამორიცხული, რომ მსოფლიო ბანკიდან სტრუქტურული განვითარების მეოთხე კრედიტი (SAC) ვადაზე ადრე მივიღოთ, რადგან ბანკმა საკითხის განხილვა ზაფხულში გადმოიტანა. ბანკის დირექტორთა საბჭოს შემოდგომაზე უნდა განეხილა SAC-ის პროექტის ბედი," – განაცხადა ნოღაიდელმა.

ფინანსთა სამინისტრომ გუშინ მსოფლიო ბანკის მიერ საქართველოში დაფინანსებული თითოეული პროექტის მიმდინარეობის განხილვა და არსებული პრობლემების მოგვარების გზების ძიება დაიწყო. "ახალი პროექტების დაწყებაზე რომ ვიზრუნოთ, საჭიროა, უკვე დაფინანსებული პროექტების განხორციელებას მივაქციოთ ყურადღება," – განაცხადა ნოღაიდელმა.

მინისტრი ირწმუნება, რომ აშშ-ს მთავრობის მიერ საქართველოსთვის გამოყოფილი დახმარების მიზანმიმართულ გამოყენებაზეც იზრუნებს. "2004 წლისთვის გამოყოფილი 168 მილიონი დოლარის დახმარება ეფექტურად დაიხარჯება. მომავალი წლისთვის ამერიკა უფრო მეტ დახმარებას გაგვიწევს. ამ საკითხს აშშ-ს კონგრესი 2004 წლის განმავლობაში განიხილავს," – აღნიშნა ნოღაიდელმა.

*ინტერ-პრესი*

## ნათელაშვილი ნათან ბრძენის როლის თამაშს განაგრძობს



"ნათან ბრძენი"

პირველი გვერდიდან

სააკაშვილის კრიტიკაზე მეტად, შალვა ნათელაშვილის გუშინდელი პრესკონფერენციის მიზანი, როგორც ჩანს, უფრო იმ თემის წინ წამოწევა იყო, რომელიც "ლეიბორისტების" თავკაცმა, ვითომ სასხვათაშორისოდ ახსენა. მისი მტკიცებით, მზადდება ნიადაგი ამერიკელთა 18-ათასიანი სამხედრო კონტინგენტის საქართველოში ბაზირებისთვის, რასაც, ჩვენი ქვეყნის ტერიტორიაზე რუსეთისა და ამერიკის დაპირისპირება მოჰყვება. **"ამ პოლიტიკის შედეგი კი ის იქნება, რომ აფხაზეთი რუსეთს დარჩება, ამერიკელები კი მტკვრის ხეობას დაიკავებენ",** - ახალი ხელისუფლების ხელში, სამშობლოს უბედურ მომავალს წინასწარმეტყველებს "ლეიბორიტული პარტიის" თავმჯდომარე.

ამ უბედურების თავიდან ასაცილებლად, ნათელაშვილს თავისი "გეგმა" აქვს, თანაც, ორი შესაძლო გაგრძელებით. მისი განცხადებით, დაუშვებელია, როდესაც მოსკოვში ყოფნისას სააკაშვილი ირწმუნება, რომ რუსეთი ჩვენი სტრატეგიული მოკავშირეა, ხოლო ოკეანეგაღმა სტუმრობისას, საქართველოს პროამერიკულ ორიენტაციაზე საუბრობს (ისე, საინტერესოა, სად და როდის მოისმინა ნათელაშვილმა პრეზიდენტის ასეთი "განმარტებები). **"საქართველო ან ნეიტრალური ქვეყანა უნდა იყოს, ან - ერთი რომელიმე ზემძლავრი სახელმწიფოს მოკავშირე",** - თავის სტრატეგიულ ხედვას ამჟღავნებს "ლეიბორისტების" ლიდერი.

როდესაც ამერიკასა და რუსეთს შორის არჩევანს განიხილავს, ნათელაშვილი არ მალავს, პირადად მისი სიმპათია ვისკენ იხრება. **"ახალი ხელისუფლება ამერიკელებთან მეგობრობით ნუ ამაყობს. თავის დროზე, ამერიკასთან ბინ ლადენი, სადამ ჰუსეინი და სლობოდან მილოშევიჩიც მეგობრობდნენ, მაგრამ ბოლოს ისინი თავის ადგილზე მოაჯინეს",** - იანკების მოღალატურ ბუნებას ახსენებს საზოგადოებას გუშინდელი პრესკონფერენციის ინიციატორი.

## "სამართლიანი არჩევნები" უკმაყოფილოა



"სამართლიანი არჩევნების" პრესკონფერენცია.

**"რა თქმა უნდა, საარჩევნო სიები მოუწესრიგებელია,"** – არასამთავრობო ორგანიზაცია "სამართლიანი არჩევნების" წარმომადგენლები მოახლოებული საპარლამენტო არჩევნების წინ კვლავ ჩვეულ ფრაზას იმეორებენ.

ამომრჩევლების კომპიუტერული სიების კორექტირება არც ერთ საუბნო საარჩევნო კომისიაში არ მომხდარა; არ გადამოწმებულა ამომრჩეველთა მონაცემები – არასწორი სახელის, გვარის ან პასპორტის ნომრის შემთხვევაში ამომრჩეველი არჩევნებში მონაწილეობას ვერ მიიღებს; გურჯაანის, ყვარლის, ახალციხის, ასპინძის, ბათუმის, ქობულეთის, ქედის, შუახევის, ასევე სამგორისა და კრწანისის საოლქო კომისიებს ცენტრალური საარჩევნო კომისიიდან სიები საერთოდ არ მიუღიათ; დღემდე გაურკვეველია ამომრჩეველთა რომელი სიის მიხედვით ჩატარდება არჩევნები აჭარაში - ეს იქნება 2 ნოემბრის არჩევნებისთვის დამზადებული 300 ათასიანი სია თუ 4 იანვრის არჩევნების დროს წინასწარი რეგისტრაციის საფუძველზე შედგენილი ამომრჩეველთა ნუსხა? – ეს ის საკითხებია, რაზეც გუშინდელ პრესკონფერენციაზე "სამართლიანი არჩევნების" აღმასრულებელმა დირექტორმა ზაზა დარასელიამ გაამახვილა ყურადღება.

"სამართლიანი არჩევნების" დამკვირვებლების მუშაობის შედეგად დადგინდა, რომ საუბნო კომისიების ადმინისტრირებისას ცესკო-მ კანონით გათვალისწინებული ვადები დაარღვია. თბილისის თითქმის ყველა უბანში ჯერ კიდევ ზუსტდება კომისიის წევრთა ვინაობა. ცვლილებები შეაქვთ რეგიონების საუბნო კომისიების უმრავლესობაშიც. საუბნო კომისიის წევრთა სიები კანონის მიხედვით 2 მარტს უნდა გამოქვეყნებულიყო. დარასელიას თქმით, კანონის თანახმად დაუშვებელია საარჩევნო უბნების გამგეობების შენობებში განთავსებაც, რაც ასევე არ არის გათვალისწინებული.

გუშინდელ პრესკონფერენციაზე 29 თებერვალს ასპინძის 39-ე საარჩევნო ოლქის მე-4 უბანში მაჟორიტარული არჩევნების მიმდინარეობაზეც ისაუბრეს. "სამართლიანი არჩევნების" დამკვირვებელთა განცხადებით, ასპინძაში არჩევნებმა "ნორმალურად, მინიმალური დარღვევებით" ჩაიარა. ასპინძაში ერთმანეთს რამაზ თედორაძე და მალხაზ სანდროშვილი "ებრძოდნენ". თედორაძემ - 142, ხოლო სანდროშვილმა 812 ხმა დააგროვა.

*24 საათი*

### მოკლედ

## აკაკი ასათიანი ხელისუფლებას ევროპულ სასამართლოში ჩივილით ემუქრება

ბლოკ „ედპ-ტრადიციონალისტის" ლიდერი აკაკი ასათიანი მოითხოვს, კანონით გაფორმდეს ხელისუფლების ინიციატივა საარჩევნო ადმინისტრაციებში ოპოზიციის წარმომადგენლის შეყვანის შესახებ, რადგან არასახელისუფლებო პოლიტიკურ სუბიექტებს ცესკოს, საოლქო და საუბნო კომისიებში საკუთარი წევრების ყოლის უფლება კანონიერად ეკუთვნით და „მათ პრეზიდენტ სააკაშვილის ნაჩუქარი კვოტა" არაფერში სჭირდებათ.

იმ შემთხვევაში, თუ ხელისუფლება კანონიერი გადაწყვეტილების მიღებაზე უარს იტყვის, ასათიანი მათ ადგილობრივ და ევროპულ სასამართლოებში ჩივილით ემუქრება.

ბლოკი „ედპ-ტრადიციონალისტი" ამ საკითხთან დაკავშირებით აქტიურ კონსულტაციებს მართავს. ამასთან, მათ მიაჩნიათ, რომ საარჩევნო ადმინისტრაციაში ოპოზიციას ხელისუფლების მიერ დასახელებული ორის ნაცვლად, სამი ადგილი ერგება. „ოპოზიციის კვოტაში მესამე ადგილი „მრეწველების" და „ახლების" ერთ ბლოკში გაერთიანების შემდეგ გათავისუფლდა,"– აღნიშნავს ასათიანი.

*მედია-ნიუსი*

## "კმარა" თავისი წარმომადგენლის დაჭრაში ასლან აბაშიძის რეჟიმს ადანაშაულებს

მოძრაობა "კმარას" წარმომადგენლებმა თავისი ბათუმელი აქტივისტის ნუგზარ თაფლაძის დაჭრაში აჭარის ლიდერის ასლან აბაშიძის რეჟიმი დაადანაშაულეს. ამის შესახებ გუშინ მოძრაობის ოფისში გამართულ პრესკონფერენციაზე "კმარას" ერთ-ერთმა აქტივისტმა თეა თუთბერიძემ განაცხადა. თუთბერიძის თქმით, ორი დღის წინ ოთხი პიროვნება ნუგზარ თაფლაძეს მისი სახლის ეზოში დახვდა და მუცლის არეში დანით ჭრილობა მიაყენა.

თუთბერიძის განცხადებით, აჭარის ხელისუფლების დავალებით ჩადენილი მსგავსი ქმედებები "კმარას" აქტივისტებს ვერ აიძულებს, ასლან აბაშიძის რეჟიმთან ბრძოლაზე უარი თქვან. თბილისში მყოფი ბათუმელი აქტივისტები, დიდი საფრთხის მიუხედავად, ბათუმში ჩასვლას მაინც აპირებენ, რათა თავისი ოპოზიციური აზრი გამოთქვან.

თუთბერიძის განცხადებით, ცენტრალურმა ხელისუფლებამ ასლან აბაშიძესთან ბრძოლაში მნიშვნელოვანი როლი უნდა ითამაშოს და ჩაატაროს კონკრეტული ღონისძიებები. კერძოდ, ხელისუფლებამ ყველა იმ ადამიანის მიმართ, ვინც ამგვარ ქმედებებს ჩადის, სისხლის სამართლის საქმე უნდა აღძრას და კანონის შესაბამისად, დანაშაულზე პასუხი აგებინოს. **ინტერ-პრესი**

## "სოციალისტებისთვის" სახელისუფლებო ძალის წინადადება მიუღებელია

"სოციალისტური პარტიისათვის" მიუღებელია სახელისუფლებო ძალის წინადადება საოლქო და საუბნო კომისიებში პრეზიდენტის კვოტიდან ოპოზიციისთვის ორი ადგილის დათმობის თაობაზე.

როგორც ჟურნალისტებს "სოციალისტების" ლიდერმა ირაკლი მინდელმა განუცხადა, ამ შემთხვევაში პრეზიდენტი სუბიექტურად წყვეტს, თუ ვინ არის ოპოზიცია. ამასთან, საარჩევნო ადმინისტრაციებში თუ სააკაშვილისთვის მიუღებელი წევრები აღმოჩნდებიან, მას ნებისმიერ დროს მათი უკან გამოწვევა შეეძლება. მინდელის თქმით, ჯერ კიდევ არის საშუალება იმისა, რომ ცენტრალურმა საარჩევნო კომისიამ ნორმატიული აქტი მაინც მიიღოს და განსაზღვროს, ვის შეხვდება ეს ორი ადგილი და რა კრიტერიუმების შესაბამისად. მინდელი იმედოვნებს, რომ მისი პარტია არჩევნებში ბარიერს გადალახავს. **პრაიმ-ნიუსი**

## ნინო ბურჯანაძე ალექსიძის გათავისუფლებაზე

პარლამენტის თავმჯდომარის ნინო ბურჯანაძისთვის უცნობია, რატომ გაათავისუფლა სამსახურიდან საქართველოს პრეზიდენტმა მიხეილ სააკაშვილმა სახელმწიფო დაცვის სამსახურის უფროსი გოგი ალექსიძე.

"მე ვიცი, რომ გოგი ალექსიძე კეთილსინდისიერი ადამიანი და ნამდვილი პროფესიონალია, თუმცა, ალბათ, რაღაც მიზეზი მართლაც არსებობდა. მე არ მინდა ვიფიქრო, რომ ჩემს კადრად წოდებული ალექსიძე მხოლოდ იმის გამო გაათავისუფლეს, რომ ჩემი კადრი იყო. ვფიქრობ, პრეზიდენტი გადაწყვეტილებებს ამგვარი პრინციპებით არ ღებულობს," - აღნიშნა ბურჯანაძემ. მისი განცხადებით, პარლამენტის თავმჯდომარისთვის მნიშვნელობა არ აქვს, ვინ იქნება სახელმწიფო დაცვის სამსახურის უფროსი: "თუ პრეზიდენტი ენდობა ახალ ხელმძღვანელს, მეც ვენდობი". **ინტერ-პრესი**

## სახელისუფლებო პარტია ფრაქციებად არ დაიშლება

სახელისუფლებო პარტია "ნაციონალური მოძრაობა – დემოკრატების" საარჩევნო სიის წარმომადგენელი, "რესპუბლიკური პარტიის" ერთ-ერთი ლიდერი ლევან ბერძენიშვილი აცხადებს, რომ ამ ორგანიზაციის საარჩევნო სიის არც ერთი პოლიტიკური ძალის ინტერესში არ შედის პარლამენტში ფრაქციებად დაშლა.

ბერძენიშვილის თქმით, "გაერთიანებულ დემოკრატებს" ეს არ სურთ, რადგან მათ ლიდერს ზურაბ ჟვანიას პრემიერ-მინისტრის პოსტი უკავია, უმცირესობაში მყოფი პრემიერი კი ქვეყანას ვერ ეყოლება.

საკუთრივ "ერთიან ნაციონალურ მოძრაობას", როგორც ლიდერს, არანაირი პრობლემები არ აქვს, რაც შეეხება "რესპუბლიკურ პარტიას", ის "ნაცმოძრაობასთან" მანამდე იქნება, ვიდრე ამის შესაძლებლობა მიეცემა, - განაცხადა ბერძენიშვილმა. ლევან ბერძენიშვილმა არ გამორიცხა პარლამენტის თავმჯდომრის ნინო ბურჯანაძის მხარდამჭერების მიერ ფრაქციის შექმნა, თუმცა, მისივე განმარტებით, საეჭვოა, რომ ეს გაერთიანება ოპოზიციური იყოს. **პრაიმ-ნიუსი**

### ორი სიტყვით

**თბილისი.** საჩხერის მაჟორიტარი დეპუტატი ვალერი გელბახიანი მიიჩნევს, რომ 28 მარტისთვის დაგეგმილ საპარლამენტო არჩევნებში 7-პროცენტიანი ბარიერის გადალახვის რეალური შანსი ოპოზიციიდან ჯუმბერ პატიაშვილის "ერთობას" აქვს. **ინტერ-პრესი**

■ ■ ■

**თბილისი.** "ნაციონალისტური პარტიის" წარმომადგენლებს მიაჩნიათ, რომ საქართველოში ოპოზიცია არ არსებობს. ისინი არსებულ ოპოზიციურ ძალებს "ფსევდოოპოზიციას", "დანიშნულ ოპოზიციას" უწოდებენ და მათ კორუმპირებულობაში ადანაშაულებენ. **ინტერ-პრესი**

■ ■ ■

**თბილისი.** საჩხერის რაიონის მაჟორიტარი დეპუტატი ვალერი გელბახიანი მიიჩნევს, რომ "ლეიბორისტული (შრომის) პარტია" 28 მარტისთვის დაგეგმილ საპარლამენტო არჩევნებში 7-პროცენტიან ბარიერს ვერ გადალახავს. **ინტერ-პრესი**

■ ■ ■

**თბილისი.**"რესპუბლიკური პარტიის" ერთ-ერთი ლიდერის ლევან ბერძენიშვილის აზრით, თუ ოპოზიციურმა პარტიებმა არ შეცვალეს მოქმედება და მათი "პიარი უფრო აგრესიული არ გახდა", ვერც ერთი ოპოზიციური ორგანიზაცია 28 მარტის ხელახალ საპარლამენტო არჩევნებზე 7, 5 ან 4-პროცენტიან ბარიერს ვერ გადალახავს. **პრაიმ-ნიუსი**

გამომცემელი რუსთავი 2 პრინტი. მთავარი რედაქტორი მამუკა ფაჩუაშვილი. პაატა ვეშაპიძე (მმართველი რედაქტორი), ვახტანგ ნადირაძე (გამომშვები რედაქტორი), ირაკლი ლეჟავა (პასუხისმგებელი რედაქტორი). დამატებები: დედაქალაქი - დავით მაღრაძე, ლიტერატურა - მალხაზ ხარბედია, სამყარო - ქეთევან სადღობელაშვილი, სამართალი - ნიკოლოზ რურუა, სტილი - ბიძინა მაყაშვილი, მედიცინა - ზაზა ფაჩუაშვილი, ბიზნესი - გიორგი კალანდაძე, საბავშვო - ვალერი ჯინჭარაძე. ფოტო: ბესო გულაშვილი (მენეჯერი). დიზაინი: გიორგი ხმალაძე, ავთო შარვაშიძე კომპიუტერული ცენტრი: თამაზ ჩხაიძე (მენეჯერი), მაია ყიასაშვილი, ლელა წიქარიშვილი, ბექა ბალარჯიშვილი, დავით გეგეჭკორი, დიმიტრი შალუტაშვილი, ირაკლი ბილაშვილი, თენგიზ ქირია, პაატა ქორიძე. სტილი: ნანა ჯოხარიძე, ნინო სვანიძე, თამარ კვაჭანტირაძე, ხათუნა გოგიშვილი, ძიძია ძნელაძე, ლია თოფურია. რეკლამა - ზურაბ ჯაოშვილი.

# ჯარების შესამოწმებლად პრეზიდენტი ღამის დროს გამოიყენებს

პირველი გვერდიდან

დღეს, დღის მეორე ნახევარში, ჩვენ გამოვაცხადეთ ამგვარი სწავლება საქართველოს საჰაერო ძალებში, ვერტმფრენებისა და სუ-25 ტიპის თვითმფრინავების მონაწილეობით. მქონდა სიამოვნება, ერთ-ერთ ამ თვითმფრინავში მეც ვმჯდარიყავი! მიმაჩნია, ეს ოფიცრები არიან მზად იმისთვის, რომ ჩვენი გაფრთხილების შემდეგ, ნებისმიერი საბრძოლო დავალება შეასრულონ, პრაქტიკულად, ნახევარ საათში.

მე, როგორც უმაღლესი მთავარსარდალი, ვაპირებ, რომ ამგვარი რეიდები გავაგრძელო კვირაში ერთხელ ან ორჯერ, გაუფრთხილებლად მივიდე სამხედრო ნაწილებში და მზად ვარ, ამისთვის ჩემი ღამის დრო გამოვიყენო! ადრე ჯარი არსებობდა ცალკე და სახელმწიფო – ცალკე. მინდა გითხრათ, ამას წერტილი დაესმება, რადგან ჩვენი ფუნქციაა ჯარი გრძნობდეს, რომ მას ჰყავს მთავარსარდალი, არსებობს თავდაცვის მინისტრი, არსებობს ხელისუფლება, პარლამენტი, კოლექტიური მთავრობა და არსებობს ქვეყანაში კონსტიტუცია, რომელიც არის დასაცავი!

ჩვენი ჯარი ნებისმიერ მომენტში, ნახევარ საათში უნდა იყოს მზად ნებისმიერი საბრძოლო მოქმედების განსახორციელებლად! ეს შესაძლებელია მხოლოდ იმის გამო, რომ ქვეყანაში მყარდება წესრიგი და შემოდის შემოსავლები.

განსაკუთრებით მინდა აღვნიშნო, რომ პირველად უკანასკნელი წლების მანძილზე, საქართველოში არის შემოსავლების გადაჭარბება.

მე მინდა შევეხო იმას, რაც ახლა სამეგრელოში მოხდა. სხვათა შორის, იქ ბრწყინვალე ოპერაცია ჩაატარა მინისტრმა ბარამიძემ, როდესაც ალაგმა ერთი წყება ბანდიტებისა და ჩვენ ამას ბოლომდე მივიყვანთ.

ყველაზე მეტად ხომ ბანდიტებისგან უკანასკნელ წლებში სამეგრელო დაზარალდა! ჩვენ არ დავუშვებთ სამეგრელოში ამ ბანდიტების, ყაჩაღების და თავზეხელაღებული ნაძირლების თარეშს! ისინი თარეშობდნენ იმის გამო, რომ ერთმანეთთან შეკრული იყო უშიშროება და პოლიცია.

ამას შეეწირა რამდენიმე პატიოსანი პოლიციელი, სწორედ იმის გამო, რომ სამართალდამცავი ორგანოების სხვა უპატიოსნო წარმომადგენლები შეკრულები იყვნენ ბანდიტებთან. მათ დაუშვეს ის, რომ მათივე თანამებრძოლები თავიანთი სამსახურებრივი მოვალეობის შესრულებისას დაიხოცნენ. ჩვენ ვაკონტროლებთ სიტუაციას, ზუსტად ვიცით, რას ვაკეთებთ და რა გვინდა!

რატომ მუშაობენ დღეს უკეთესად სამართალდამცავი ორგანოები? დღეს მე გამოვუცხადე პილოტებს, რომ ათი ლარით მეტი ხელფასი ექნებათ! შინაგანი ჯარი უკეთესად მუშაობს იმიტომ, რომ გია ბარამიძემ, ფინანსთა სამინისტროსთან ერთად, მოახერხა ხელფასების მომატება!

მე ამას ყველაფერს ვლაპარაკობ იმისთვის, რათა ყველას ესმოდეს, რომ ცხოვრების დონის გაუმჯობესება შესაძლებელია იმ შემთხვევაში, თუ ჩვენ ბანდიტებს ავლაგმავთ და წესრიგს დავამყარებთ. დაუმორჩილებლობას ჩვენ არ მოვითმენთ! უკან დახევას და კომპრომისზე წასვლას არ ვაპირებთ, თუ ჩვენ გვინდა, რომ გვქონდეს სახელმწიფო! ჩვენ ყველას გვინდა, რომ გვქონდეს საქართველო!

აი, ეს არის ჩემი ძალიან მყარი პოზიცია და მე კმაყოფილი ვარ იმით, თუ როგორ ვითარდება მოვლენები!"



*ზუგდიდში დაკავებული უშიშროების სამმართველოს თანამშრომლები, რომლებმაც პრეზიდენტს გეგმები შეაცვლევინეს.*

სამეგრელო-ზემო სვანეთში მომხდარმა ინციდენტმა პრეზიდენტს გუშინ ბევრი გეგმა ჩაუშალა. უფრო კონკრეტულად, ამის მიზეზი სამეგრელო-ზემო სვანეთის უშიშროების სამსახურის სრული შემადგენლობის გადადგომა გახდა. ასეთი დემარში უშიშროების სამსახურის ამ წარმომადგენლებმა რამდენიმე დღის წინ სამეგრელო-ზემო სვანეთის უშიშროების სამხარეო სამმართველოს უფროსად თემურ გაბუნიას დანიშვნის გამო მოაწყვეს. უწყების თანამშრომლებმა ამგვარი გადაწყვეტილება ახალი ხელმძღვანელის არაპროფესიონალიზმით ახსნეს. თემურ გაბუნიას დანიშვნამდე სამეგრელო-ზემო სვანეთის უშიშროების სამხარეო განყოფილებას გოგი ნაჭყებია ხელმძღვანელობდა.

შინაგან საქმეთა მინისტრის გიორგი ბარამიძის განცხადებით, სამეგრელო-ზემო სვანეთში უშიშროების სამინისტროსთან დაკავშირებულ ინციდენტში მონაწილე მაღალჩინოსნებს ფიცი აქვთ მიცემული და მათ არაკანონიერ ქმედებებზე ათმაგად მეტი პასუხისმგებლობა მოეთხოვებათ. უშიშროების მინისტრის მოადგილის გიგი უგულავას განცხადებით, იმ ხალხს შორის, ვინც თემურ გაბუნიას წინააღმდეგ ილაშქრებდა და მას სამსახურებრივი მოვალეობის შესრულებაში ხელს უშლიდა, სამეგრელო-ზემო სვანეთის უშიშროების სამსახურის ყოფილი უფროსი გოგი ნაჭყებია, მისი მოადგილე კობა მაწახერია, უშიშროების სამინისტროს თანამშრომლები - თენგიზ თოდუა, მამუკა ყურაშვილი, ონისე ხუბულავა და ზურაბ ქალდანი იყვნენ. ყველა მათგანი დაკავებულია, მომხდარ ფაქტთან დაკავშირებით კი სისხლის სამართლის საქმეა აღძრული.

თავად უშიშროების მინისტრი გუშინ ამ საკითხთან დაკავშირებით ძალზე მწირ კომენტარს აკეთებდა. უშიშროების საბჭოს სხდომის შემდეგ ადეიშვილმა ჟურნალისტებისგან თავის დაღწევა საკმაოდ ადვილად მოახერხა. ასევე არ ისურვა პრესასთან საუბარი გენერალურმა პროკურორმა ირაკლი ოქრუაშვილმა. ყველაზე სიტყვაუხვი, ისევ პარლამენტის თავმჯდომარე გახლდათ, რომელიც, უშიშროების საბჭოს შემდეგ, პრეზიდენტთან სასაუბროდ საარჩევნო სიების თემაზე გაჩენილი უკმაყოფილების გასაზიარებლად შემორჩა. როგორც გუშინ ნინო ბურჯანაძე აცხადებდა, პრეზიდენტთან ურთიერთგაგების პრობლემა არ აქვს. **"საათიოტაჟო ამაში არაფერია. პრეზიდენტმა აღნიშნა, რომ ნამდვილად შესაძლებელი იყო, ჩემი მოსაზრება საარჩევნო სიების დაკომპლექტებისას უფრო მეტად ყოფილიყო გათვალისწინებული. პრეზიდენტთან საუბარი ნამდვილად არ მიჭირს. თუ რამე საკამათოა, ვკამათობთ კიდეც."**

იყო თუ არა სააკაშვილსა და ბურჯანაძეს შორის საუბარი მომავალი პარლამენტის თავმჯდომარის კანდიდატურის შესახებ? - ამ კითხვას ბურჯანაძემ გუშინ პირდაპირ არ უპასუხა. როგორც განაცხადა, რაიმე გარანტიების შესახებ მას პრეზიდენტთან არ უსაუბრია და - არც აპირებს, თუმცა, ფიქრობს, რომ მისი პარლამენტის თავმჯდომარის პოსტზე არჩევის საკითხი კითხვის ქვეშ არ დამდგარა. ხოლო თუ მომავალი მოწვევის პარლამენტში ბურჯანაძისათვის სპიკერის ადგილი თავისუფალი არ აღმოჩნდა და იგი სხვამ, უფრო ღირსეულმა დაიკავა, მაშინ ქვეყნისათვის ეს დიდი ტრაგედია ნამდვილად არ იქნება.

# იტალიელებს მეტალურგიის ჯართი გააქვთ

## გუბერნატორს კი სპეცოპერაცია ჩაეშალა

მაია მოსიაშვილი

რამდენიმე დღის წინ სარკინიგზო ექსპედიტორმა ფირმამ "ტრანს იბერია ტრანზიტმა" შპს "რუსთავი არეს მეტალურგიული კომბინატისგან" მიიღო დაკვეთა 10 ვაგონზე, რომელიც "რამკ"-ს 600 ტონა შავი ლითონის, ანუ ჯართის ფოთში გადასატანად სჭირდებოდა. გუშინ ექსპედიტორს მეტალურგიული კომბინატისთვის პირველი სამი ვაგონი უნდა მიეწოდებინა, თუმცა ქალაქის პოლიციისა და მერის აქტიური ჩარევის შედეგად, ქარხნის ტერიტორიიდან ჯართის გატანა აღარ მოხდა.

რუსთავის მერმა მერაბ ტყეშელაშვილმა განგაში ატეხა და საკმაოდ გაანაწყენა ქვემო ქართლის გუბერნატორი სოსო მაზმიშვილი, რომელიც აცხადებს, რომ პოლიციის არაკომპეტენტურობის გამო, მას საგანგებოდ დაგეგმილი სპეცოპერაცია ჩაეშალა. **"არსებობდა დადასტურებული ეჭვი, რომ ჯართი, რომლის გატანაც, ჩემი ინფორმაციით, ამაღამ უნდოდათ იტალიელებს, მათ არ ეკუთვნოდათ. როგორც კი დატვირთული ვაგონი გამოვიდოდა ქარხნიდან, სამართალდამცველები მას გააჩერებდნენ და დააფიქსირებდნენ, რომ იტალიელებს მეტალურგიული კომბინატის კუთვნილი ჯართი უკანონოდ გააქვთ. ეს შესაძლო ოპერაცია ჩაიშალა რუსთავის პოლიციის უფროსის არაკომპეტენტურობის გამო. მას მიღებული ინფორმაცია თავისი ზემდგომისათვის უნდა გაეცნო და გაერკვია მისი საჯაროდ გავრცელების მიზანშეწონილობა,"** - ასეთი განცხადება გააკეთა გუბერნატორმა. მისი შენიშვნა, ფაქტობრივად, რუსთავის მერსაც ეკუთვნოდა, რადგან ინფორმაციის გახმაურება მისი ინიციატივით მოხდა.

მერაბ ტყეშელაშვილს თავისი სიმართლე აქვს. ის ეჭვობს, რომ არანაირი სპეცოპერაცია დაგეგმილი არ იყო. **"ასეთ ოპერაციას ქალაქისა და სამხარეო სტრუქტურები ერთობლივად უნდა ატარებდნენ. ქალაქის მერი საქმის კურსში უნდა იყოს, როცა ასეთი რამ ხდება. ჩვენთვის არავის არაფერი უცნობებია. მე ქალაქის ინტერესებს ვიცავ და ყველას ვურჩევ, დამალობანას თამაშს თავი დაანებონ,"** - ამბობს რუსთავის მერი.

**"ჩვენს სახელმწიფოში ჯართის გატანა აკრძალული არ არის. ინვესტორებმა გატაწყვიტეს 15 ათასი დოლარის ღირებულების ჯართის გატანა, რადგან სწორედ ამდენი სჭირდება პენსიონერების დავალიანების გასტუმრებას,"** - განუცხადა "24 საათს" შპს "რამკ"-ის გენერალური დირექტორის მოვალეობის შემსრულებელმა ირაკლი ჟორდანიამ. მისივე ინფორმაციით, გუშინ ქარხნიდან ვაგონებით ჯართით გატანა არ იგეგმებოდა და აჟიოტაჟი ტყუილუბრალოდ ატყდა.

"24 საათის" ინფორმაციით, ჯართის გატანის შესახებ ბრძანებულება მართლაც არსებობს და მას ხელს "არესის" წარმომადგენელი ალექსანდრე სერიოგინი აწერს. რატომ წუხდება ასე ინვესტორი იმ დავალიანების გასასტუმრებლად, რომლის ვალდებულება ხელშეკრულებით არ ეკისრება, უცნობია. თუმცა ცნობილია ის, რომ იტალიელები საქართველოს ხელისუფლებისაგან კეთილგანწყობასა და მათ საქმიანობაში ჩაურევლობის გარანტიას ელიან. იტალიურ მხარეს ჯერაც არ გაუსაჩივრებია რუსთავის საქალაქო სასამართლოს გადაწყვეტილება, რომლის თანახმადაც მათთვის წილის დათმობის ხელშეკრულება გაუქმდა. **"მათ დიდი რაოდენობით დანადგარები აქვთ გამზადებული და საბაჟო შეღავათებს ითხოვენ. რაც შეეხება საპასუხო სარჩელს, თუ მთავრობა მხარს არ დაგვიჭერს, რა აზრი აქვს გასაჩივრებასო, ასე ამბობენ,"** - აცხადებს ირაკლი ჟორდანია.

"არესმა" ქარხნის ტერიტორიაზე დასაწყობებული მზა პროდუქციის, 5 ათასი ტონა გაგლინული მილის გატანა შეაჩერა. არსებობს ინფორმაცია, რომ ამის მიზეზი კომპანია "ქართული შაქრის" მიერ "არესისადმი" დაგროვილი დავალიანებაა და ეს ყველაფერი საქართველოს მხრიდან თურქმენეთისადმი არსებულ ბუნებრივი აირის დავალიანებას უკავშირდება. "24 საათი" ამ გარიგების თაობაზე ინფორმაციას უახლოეს დღეებში მოგაწვდით.

# ორი თავისუფალი სავარძელი

პირველი გვერდიდან

**პოლიტიკურ ნებას გამოხატავს და დათმობაზე მიდის. საოლქო და საუბნო კომისიებში პრეზიდენტი მხოლოდ სამ წევრს დანიშნავს. ამით უმცირესობასა და უმრავლესობაზე საუბარი უნდა დასრულდეს."** "გაერთიანებული დემოკრატების" ერთ-ერთი ლიდერი მიხეილ მაჭავარიანი ხაზგასმით აღნიშნავს, რომ **"თუ ოპოზიცია ამ წინადადებას არ დათანხმდება, ეს ორი ადგილი თავისუფალი დარჩება, რადგან ასეთ შემთხვევაში ორ კვოტას არც პრეზიდენტი შეავსებს. ამით ხელისუფლება მაინც უმცირესობაში დარჩება, რადგან მას კომისიებში ექვსი წევრი ეყოლება, ხოლო ოპოზიციას – შვიდი**", – ასეთ "პარიტეტს" სთავაზობენ ხელისუფლების წარმომადგენლები ოპონენტებს.

მაია ნადირაძე აცხადებს, რომ ოპოზიციის მხრიდან დღემდე არ ყოფილა არც ერთი კონკრეტული შეთავაზება საარჩევნო ადმინისტრაციის დაკომპლექტებასთან დაკავშირებით და "ბრალდება, თითქოს ხელისუფლება მარტო იმას აკეთებს, რაც სურს, მხოლოდ და მხოლოდ პოპულიზმია".

აქ კი მაია ნადირაძე აშკარად ცდება, რადგან ჯერ კიდევ ორი თვის წინ "ახალმა მემარჯვენეებმა" პარლამენტს წარუდგინეს საარჩევნო ადმინისტრაციების, უფრო ზუსტად, ცენტრალური საარჩევნო კომისიის დაკომპლექტების წესი, რომლის თანახმადაც, კომისიის ერთ წევრს ნიშნავს პრეზიდენტი, თითო-თითოს – ავტონომიური რესპუბლიკების ხელმძღვანელობა, ასევე თითო-თითოს – 1999 წლის საპარლამენტო არჩევნებში გამარჯვებული სამი პარტია ("მოქალაქეთა კავშირი", "აღორძინება", "მრეწველობა გადაარჩენს საქართველოს") და ის ხუთი პარტია, რომელთაც 2002 წლის ადგილობრივ არჩევნებში თბილისში ოთხპროცენტიანი ბარიერი დაძლიეს ("ლეიბორისტული პარტია", "ნაციონალური მოძრაობა", "გაერთიანებული დემოკრატები", "ახალი მემარჯვენეები", "ერთობა").

ეს საკანონმდებლო ინიციატივა, რატომღაც, დაუყოვნებლივ მიეცა დავიწყებას. არადა, თუ პარიტეტზე ვისაუბრებთ, ეს მოდელი, ნებისმიერ შემთხვევაში, ყველა იმ პოლიტიკური სუბიექტისათვის მისაღები უნდა აღმოჩენილიყო, ვინც ცენტრალური საარჩევნო კომისიის დაკომპლექტების დღევანდელ წესს ეწინააღმდეგებოდა. ამის მიუხედავად, კანონპროექტი პარლამენტში ისე "ჩაიკარგა", რომ იგი არც კომიტეტებში და არც ინტერფრაქციულ ჯგუფში არ განხილულა.

მორიგ შემოთავაზებას ოპოზიცია კვლავ სკეპტიკურად ხვდება. ასე მაგალითად, "ლეიბორისტები" აცხადებენ, რომ ხელისუფლება დათმობებზე წასვლის სურვილს მხოლოდ სიტყვით გამოხატავს, რეალურად კი, ამ ინიციატივას განხორციელება არ უწერია. თუმცა, აქვე "ლეიბორისტები" უარს არ ამბობენ კონსულტაციებში მონაწილეობაზე, თუ, რა თქმა უნდა, ოპოზიციონერები საერთო ენას გამონახავენ და მოლაპარაკებების მაგიდას მიუსხდებიან.

ხელისუფლების წარმომადგენელთა ინიციატივას "ახალი მემარჯვენეებიც" სკეპტიკურად უყურებენ. ჯერ კიდევ პირველი შემოთავაზების შემდგომ პარტიის ერთ-ერთი ლიდერი დავით საგანელიძე აცხადებდა, რომ **"ეს ორი ადგილი ხელისუფლებამ ოპოზიციას საჯიჯგნად შემოუგდო, რადგან გაუგებარია, ამ სკამების განაწილება რა ნიშნით უნდა მოხდეს".**

საკმაოდ რადიკალურები არიან "სოციალისტები". ზაქარია ქუცნაშვილის თქმით, ინიციატივა სახელისუფლებო პარტიებისაგან ან თავად პრეზიდენტისაგან კი არ უნდა მოდიოდეს, არამედ საჭიროა შესაბამისი საკანონმდებლო ცვლილებები და დაკომპლექტების წესის მთლიანად შეცვლა.

რაც შეეხება ბლოკ "ედპ-ტრადიციონალისტებს", მისი ერთ-ერთი ლიდერის ბაჩუკი ქარდავას თქმით, "ხელისუფლებას "ედპ-ტრადიციონალისტებისთვის" საოლქო და საუბნო საარჩევნო ადმინისტრაციებში გამოთავისუფლებული ადგილებიდან არც ერთი არ შეუთავაზებია. ამიტომ, ხელისუფლების წარმომადგენლების მხრიდან ამის შესახებ გაკეთებული განცხადება "ბლეფია". მისივე თქმით, **"ხელისუფლებას ადგილების შევსების არანაირი მექანიზმი არ წარმოუდგენია, რადგან სურს, რომ ბლოკი მას გაურიგდეს. ხელისუფლებასთან გარიგებას არ ვაპირებთ და მასთან დიალოგი საარჩევნო ადმინისტრაციების დაკომპლექტების საკითხს არ გასცდება**".

და აქვე საკმაოდ საინტერესო დეტალი: მას მერე, რაც "ახალი მემარჯვენეები" და "მრეწველები" საარჩევნო ბლოკში გაერთიანდნენ, საარჩევნო კომისიებში ერთი ადგილი გამოთავისუფლდა, რადგან კანონის თანახმად, ბლოკს კომისიაში მხოლოდ ერთი წარმომადგენელი უნდა ჰყავდეს. ბლოკმა ცესკო-ში "ახალი მემარჯვენეების" წარმომადგენელი დატოვა, ხოლო "მრეწველების" ორი ადგილი "სპორტულ საქართველოს" და "ქრისტიან-კონსერვატორებს" უბოძა. საგულისხმოა, რომ ადგილისთვის "ედეპე-ტრადიციონალისტებიც" იბრძოდნენ. მათ სასამართლოში ცესკო-ს ის დადგენილება გაასაჩივრეს, რომლის მიხედვითაც ბლოკის წარმომადგენლებს კომისიის წევრობაზე უარი ეთქვა.

**"ყოველივე ეს გვაიძულებს, რომ საარჩევნო კამპანიის სტრატეგია შევცვალოთ ანუ დემოკრატიის დასაცავად ჩვენ ყველა მშვიდობიან პოლიტიკურ ხერხს მივმართავთ... ხელისუფლება მოვიდა ე.წ. ვარდების რევოლუციით, მაგრამ ახლა ჩვენ ვასწავლით მათ, როგორი იქნება რევოლუცია პირობების შეუსრულებლობის შემთხვევაში,"** – იმუქრებიან "ეროვნულ-დემოკრატები".

მოკლედ, როგორც ჩანს, არჩევნებამდე დარჩენილ პერიოდში საარჩევნო კომისიებში "გამოთავისუფლებულ" ორ ადგილს შედარებით მსხვილი ოპოზიციური გაერთიანებები ვერ გაინაწილებენ. ორ ვაკანტურ ადგილს კი უფრო "წვრილი" პარტიები "წაეპოტინებიან". როგორც კულუარებში ვარაუდობენ, ეს ის პოლიტიკური პარტიები იქნებიან, რომლებიც დღევანდელ ხელისუფლებას აშკარად სწყალობენ. ერთ ასეთ პოლიტიკურ გაერთიანებას უკვე ასახელებენ კიდეც – ეს ჯუმბერ პატიაშვილის "ერთობაა".

# საპრესკონფერენციო სპრინტი მოსკოვში

## ასლან აბაშიძის, კოტე კემულარიას და გოგა ხაინდრავას შეხვედრები ჟურნალისტებთან

რუსუდან ნიკურაძე
*საქ. კორ. მოსკოვში*

ზუსტად იმ დროს, როცა საინფორმაციო სააგენტო "რია-ნოვოსტი"-ში ქართველი სახელმწიფო მინისტრისა და მოსკოვში საქართველოს ახალი ელჩის პრესკონფერენცია უნდა დაწყებულიყო, მეორე სააგენტო "ინტერფაქსში" ბრიფინგი მოულოდნელად დანიშნა აჭარის ლიდერმა. იმ დროს, როცა "რია-ნოვოსტის" დარბაზში კემულარიამ და ხაინდრავამ ჟურნალისტებთან საუბარი დაიწყეს, ასლან აბაშიძემ, ასევე მოულოდნელად, ბრიფინგი ნახევარი საათით ადრე დაიწყო. "ინტერფაქსიდან" რამდენიმე რუსი და უცხოელი კოლეგა კისრისტეხით მოვარდა "რია-ნოვოსტიში".

- წარმოგიდგენია, რა ეშმაკია ეს თქვენი აბაშიძე? სპეციალურად ადრე დაიწყო, - ამბობს რადიო "თავისუფლების" კორესპონდენტი, - ისე, დიდი არაფერი დაგიკარგავთ: აბაშიძემ ტვინები დაგვიპუდრა და ტროლეიბუსების ყიდვაზე მეტი არაფერი უთქვამს."

ჟურნალისტებს არც "რიაში" მიუღიათ იმაზე მეტი ინფორმაცია, ვიდრე სააკაშვილის ვიზიტის დროს გაჟღერდა მოსკოვში. რუსი ჟურნალისტები ნოვაციებს არც ელოდნენ და ამიტომაც პასიურობდნენ. მათთვის საინტერესო ნებისმიერ თემაზე სააკაშვილის მგზნებარე მონოლოგების შემდეგ ვინმეს მოსმენა ადვილი არ არის.

პრინციპში, ყველა თემა რუსეთ-საქართველოს ურთიერთობებში უკვე გაცვეთილია, დაღეჭილია და უინტერესო. ერთადერთი საინტერესო შეკითხვა საქართველოს შინაგან ჯარში ჩატარებულ ღამის შოუზე იყო, რაზეც ჩვენმა ელჩმა უპასუხა: **"რატომ აღიქმება ეს ფაქტი მუქარად? ჩვენ საკუთარი ტერიტორიისა და საზღვრების კონტროლს ვაპირებთ. მსგავსი სწავლებები ნორმალური მოვლენაა".**

ხაინდრავას ციტატამ - "მოსკოვი ისევ პრიორიტეტია" - ვერ აუჩქარა გული რუსულ მედიას.

პრესკონფერენციის მთავარი ნიუსი: თბილისში ჩატარდება რუსული კულტურის არნახულად დიდი დეკადა, სექტემბერში კი პუტინი საქართველოს ეწვევა.

შემდეგ ბატონი მინისტრი ჩვენთან მოდის და ყველა მოსაწყენ ლოზუნგს თავიდან იმეორებს:

- საქართველო რუსეთისათვის საფრთხეს აღარ წარმოადგენს. დადაგა ახალი ეტაპი რუსეთ-საქართველოს სტრატეგიული პარტნიორობისა. პანკისის სერიოზული პრობლემა აღარ არსებობს. ის, რაც ემოციურობის სფეროდან იყო და ხელისუფლების არალეგიტიმურობას უკავშირდებოდა, რუსეთი ივიწყებს. "გაზპრომის" ხელმძღვანელობა შემხვედრ ნაბიჯებს დგამს, - ამბობს ხაინდრავა "24 საათისთვის" მიცემულ კომენტარში.

**- არ გაფიქრებთ, რომ მოსკოვში პრორუსული განცხადებების გამო ვიღაცა თბილისში შემოგწყრებათ?**

- პრორუსული? მაშინ ბუშის განცხადებაც პრორუსული გამოდის. აშშ-ში ყველა შეხვედრაზე რუსეთთან კეთილმეგობრობაზე კეთდებოდა აქცენტი.

# "ამერიკული ცდუნება" აპროტესტებს

პირველი გვერდიდან

კატეგორიული ტონი ყოველთვის სიმართლეზე არ მეტყველებს. ამას ისიც ადასტურებს, რომ "24 საათში" დაბეჭდილ მასალაზე გამოხმაურებით "მეტრომედიამ" ახალი საფიქრალი მასალაც მოგვცა. მაგალითად, კომპანიის თავმჯდომარე და მთავარი აღმასრულებელი დირექტორი მარკ ჰაუფი, რომელიც წერილის ყოველ აბზაცში ამერიკული კომპანიის გამჭვირვალობაზე ამახვილებს ყურადღებას, ამავე წერილშივე გვაწვდის საკმაოდ ბუნდოვან ცნობებს იმის შესახებ, თუ როგორ აიძულებდნენ "მეტრომედიას", მიეტოვებინა ბიზნეს-საქმიანობა საქართველოში.

ამონარიდი ამ წერილიდან: **"მეტრომედიას" ფინანსური თვალსაზრისით ძალზე წარმატებული საწარმოებიდან ზოგიერთის წართმევა ადგილობრივი ბიზნეს ან პოლიტიკური ინტერესების მიერ მოხდა, რის შემდეგაც "მეტრომედია" იძულებული გახდა, დაეტოვებინა ეს კომპანიები და ამგვარად დაეკარგა მის მიერ ჩადებული ინვესტიციები მთლიანად ან მათი დიდ ნაწილი."**

მარკ ჰაუფი არაფერს ამბობს კონკრეტული დანაკარგების შესახებ და ბუნებრივად ჩნდება ეჭვი, რომ "მეტრომედიას" საქართველოში არასდროს არაფერი დაუკარგავს. პირიქით, თავისი ბიზნეს-პარტნიორების (ექსპრეზიდენტის სიძის) დახმარებით "მეტრომედიას" საქართველოს საკომუნიკაციო ბაზრის კარიბჭე ფართოდ გახსნილი დახვდა. ლიცენზია, რომლის საფასურიც ასი ათასობით ლარია, "მაგთიკომმა" 40 ლარად მიიღო; "საქართველოს ტელეკომში" "მეტრომედია" იმ დროისათვის არანაკლებ გავლენიანი ფიგურის, კავშირგაბმულობის მაშინდელი მინისტრის ბიზნეს-პარტნიორი გახდა და ამ კომპანიის წილის 30 პროცენტის მფლობელი შეიქმნა. "24 საათთან" საუბრებში "საქართველოს ტელეკომის" ხელმძღვანელები ღიად აცხადებენ, რომ "მაგთიკომთან" მოლაპარაკებებში "მეტრომედია" არ აქტიურობდა და იქმნებოდა ისეთი შთაბეჭდილება, რომ ეს კომპანია უფრო მეტად "მაგთიკომის" ინტერესებს იცავდა (სადაც იგი წილის 49 პროცენტს ფლობდა).

მკითხველს კი შეავხსენებთ, რომ საუბარია 90-იან წლებში მოქმედ ხელშეკრულებებზე, რომელთა საფუძველზეც "მაგთიკომი" "საქართველოს ტელეკომს" მიზანმიმართულად აკოტრებდა. ამ კონკრეტულ საკითხზე "მეტრომედიას" წარმომადგენელი, რატომღაც, დუმს. სამაგიეროდ, მარკ ჰაუფი ასე ხსნის საქართველოს ბაზარზე შემოსვლის ფაქტს (ამონარიდი მისივე წერილიდან): **"მეტრომედიამ" თქვენს სტატიაში ჩამოთვლილ ქვეყნებში ამ ქვეყნების მთავრობების მონაწილეობით ლეგალური, თეთრი ბიზნეს-საწარმოები ჩამოაყალიბა, თუმცა ასეთი სქემა "მეტრომედიას" არჩევანი სულაც არ გახლდათ – ადრეულ პოსტ-საბჭოთა პერიოდში ასეთი ერთობლივი საწარმოების შექმნა ბიზნესის განვითარების ერთადერთი** (!!!) **შესაძლებლობა იყო."**

"24 საათიც" თავის პუბლიკაციაში სწორედ ამაზე ამახვილებდა ყურადღებას: **"კომპანია ყველა ქვეყანაში ერთი სცენარით მოქმედებდა. მისი მიზანი მარტივი იყო: ის განვითარებად სახელმწიფოებში ადგილობრივ ხელისუფლებასთან სხვადასხვა სახის საფუძველზე შედიოდა და, ამავე ხელისუფლების მხარდაჭერით, ბაზარზე ერთპიროვნული ლიდერი ხდებოდა. მოქმედების სქემის მიხედვით, "მეტრომედია"-ს პარტნიორები (პირდაპირ ან ირიბად) ხდებოდნენ ადგილობრივი ხელისუფლების მაღალჩინოსნები ან მათი ოჯახის წევრები, რის შედეგადაც "მეტრომედია"-ს მონაწილეობით შექმნილი კომპანიები ადვილად ღებულობდნენ ლიცენზიებს და მონოპოლიურ მდგომარეობას ბაზარზე."**

მარკ ჰაუფი თავის წერილში ადგილობრივ მაღალჩინოსნებთან "მეტრომედიას" კავშირებზე "ტაქტიანად დუმს". არაფერს ამბობს იმ პრობლემებზეც, რომელიც მას საქართველოს ბაზარზე აუცილებლად შეექმნებოდა იმ შემთხვევაში, თუ მის მფარველობას გავლენიანი წრეები არ ითავებდნენ.

კიდევ ერთი ამონარიდი მარკ ჰოუფის წერილიდან: **"მეტრომედია", იმ დროის სხვა ბევრი ინვესტორისგან განსხვავებით, ყოველთვის განუხრელად იცავდა მის საქმიანობაში აბსოლუტური გამჭვირვალობის პრინციპს და არასოდეს მიუმართავს სხვადასხვა კორუფციული პრაქტიკისთვის, რაც ასე გავრცელებული იყო იმ დროს. უფრო მეტიც, კომპანიამ ძალინ ბევრ ბიზნეს-შესაძლებლობაზე თქვა უარი, რადგან ეს არალეგალურ საქმიანობაში მონაწილეობას გულისხმობდა."**

ეს ამონარიდი პირდაპირ მიუთითებს იმას, რომ "მეტრომედიას" საქმიანობა სრულიადაც არ არის გამჭვირვალე, რადგან, თუ კომპანიას "არალეგალურ საქმიანობაში მონაწილეობის" შეთავაზებები ჭარბად ჰქონდა, მისთვის არავის დაუშლია, რომ ამის თაობაზე ფართო საზოგადოებისათვის თუ არა, სამართალდამცველთათვის მაინც ეცნობებინა.

სხვათა შორის, ამავე წერილში მარკ ჰაუფი "დაინტერესებულ ჟურნალისტებს" მიგვითითებს, რომ "ფინანსური მაჩვენებლები "მეტრომედიას" ოფიციალურ ვებ-გვერდზე" ვნახოთ. თუმცა, ეს მცდელობა, როგორც პირველი წერილის მზადებისას, ისე ამ წერილზე მუშაობის დროს, წარუმატებლად დამთავრდა. საქმე ისაა, რომ "მეტრომედიას" ინტერნეტგვერდიდან ამ მონაცემების მიღება შეუძლებელია – შესაბამისი ინფორმაცია "საიტზე", უბრალოდ, არ დევს.გარდა ამისა, "მეტრომედია" თავის წერილში ადასტურებს "24 საათის" ხელთ არსებულ ინფორმაციას, რომ დივიდენდი მათ მხოლოდ 2003 წელს მიიღეს. "24 საათი" თავის პუბლიკაციაში წერდა: **"მას შემდეგ, რაც 1996 წელს 5 მილიონი დოლარის ოდენობის საწესდებო კაპიტალის მქონე "მაგთიკომმა" "მეტრომედია"-სგან თითქმის 40 მილიონი დოლარის ოდენობის კრედიტი მიიღო (რომლის დაფარვასაც თითქმის 7 წელი დასჭირდა და დივიდენდების განაწილება მხოლოდ 2003 წლიდან, ანუ, ფაქტობრივად, შარშან დაიწყო), პრეზიდენტის სიძე ფორმალურად "უსასყიდლოდ" მფარველობდა კომპანიას. ის პირადად ლობირებდა "მაგთიკომისთვის" ძალზე მომგებიან და სხვა კომპანიებისათვის აშკარად კაბალურ პირობებს, იქნებოდა ეს ხელოვნურად გაყინული ტარიფები, "მაგთიკომის" ანძების შემოტანა-განთავსება თუ იძულებითი გარიგებების დადება სხვა კომპანიებთან."**

მარკ ჰაუფის წერილში, პრინციპში, იგივე წერია, ოღონდ აკლია ცნობები, რომ 2003 წლამდე "მაგთიკომი" "მერტომედიას" ვალებს ისტუმრებდა, პარალალურად კი, კაბალური ხელშეკრულებებით გია ჯოხთაბერიძე საკუთარ და, ალბათ, მის ბიზნეს-პარტნიორთა ჯიბეებზე ზრუნავდა. ყოველივე ამის შემდეგ მარკ ჰაუფის წერილის მიხედვით ვერც კი გაარკვევ, ვინაა წერილის ავტორი - ბიზნესმენი, რომელიც მოგებაზეა ორიენტირებული, თუ დედა ტერეზას ორდენის მონაზონი: **"მეტრომედიას" სწამდა საქართველოს მომავლისა, ამიტომაც აქვე დატოვა თავისი მოგება, რომელიც თანამედროვე და მაღალხარისხოვანი საკომუნიკაციო ინფრასტრუქტურის აგებაში დააბანდა. საქართველოს ბევრ კუთხეს დღეს მხოლოდ იმიტომ შეუძლია გარე სამყაროსთან კავშირის დამყარება, რომ "მაგთიკომმა" "მეტრომედიის" უწყვეტი ინვესტირების დახმარებით შექმნა ქსელი, რომელიც ამ საქმეს ემსახურება."**

მორიგი ამონარიდი: **"გასული წლების განმავლობაში თავად საქართველოს მთავრობამ გასცა ლიცენზიები საერთაშორისო და საქალაქთაშორისო კავშირგაბმულობის წარმოების თაობაზე, რამაც ძირი გამოუთხარა "საქართველოს ტელეკომის" საქმიანობას."**

თუმცა, ამის თაობაზე თავის დროზე "მეტრომედიას" ხმა არ ამოუღია. ნება მოგვეცით, ვივარაუდოთ: იქნებ იმის შიშით მოხდა, რომ სამართალდამცველ ორგანოებს თავად "მეტრომედიას" მიერ იოლად მიღებული ლიცენზიების საქმე არ ამოექექათ?

და ბოლოს: "24 საათმა" მარკ ჰაუფის "გამანადგურებელი" გამოხმაურება "მაგთიკომის" გენერალურ დირექტორად დევიდ ლის დანიშვნის შემდეგ მიიღო. "მაგთიკომის" ახალი გენერალური დირექტორი ოფიციალურად პრესას კომპანიის ერთ-ერთმა დამფუძნებელმა, "მეტრომედიის" გენერალურმა დირექტორმა მარკ ჰაუფმა გუშინ წარუდგინა. მან ეს საკადრო ცვლილება კომპანიის მუშაობისა და შესაძლებლობების გაფართოებით გამოწვეული აუცილებლობით ახსნა და განაცხადა, რომ კომპანიის გენერალური დირექტორის შეცვლა არანაირად არ უკავშირდება ბოლო დროს "მაგთიკომის", კერძოდ კი, **"მისი პარტნიორის გია ჯოხთაბერიძის გარშემო წარმოქმნილ პრობლემებს"**. მისი თქმით, ეს გადაწყვეტილება **"ბევრად უფრო ადრე იყო მიღებული"**. ეს ცნობა კი პირდაპირ ამყარებს "24 საათის" ვერსიას იმის შესახებ, რომ ჯოხთაბერიძე ამერიკაში საკუთარი წილის გასაყიდად მიემგზავრებოდა.

სხვათა შორის, "მაგთიკომის" გენერალური მენეჯერის შეცვლის კანონიერება ეჭვქვეშ დგას და ამ ეჭვის ავტორი "24 საათი" კი არა, გენერალური პროკურორი ირაკლი ოქრუაშვილია. როგორც გენერალურმა პროკურორმა განაცხადა, **"მაგთიკომის" აქციების 51 პროცენტის მფლობელ გია ჯოხთაბერიძეს არც პროკურატურისათვის და არც თავისი ადვოკატებისთვის არავითარი მსგავსი დავალების შემცველი დოკუმენტი არ გადაუცია."** არადა, მისი მონაწილეობისა, ან, გნებავთ, საგანგებო ნებართვის გარეშე აქციონერთა კრება, უბრალოდ, უფელბამოსილი არ იყო, რომ გენერალური მენეჯერის შეცვლის გადაწყვეტილება მიეღო. ექსპრეზიდენტის სიძე 20 თებერვალს დააკავეს. "მაგთიკომის" მთავარი მენეჯერის შეცვლის შესახებ ცნობა კი სწორედ ჯოხთაბერიძის დაპატიმრების შემდეგ გავრცელდა. ამდენად, გენერალური პროკურორი "მაგთიკომის" გენერალური დირექტორის შეცვლის საკითხის კანონიერების შესწავლას გეგმავს.

# შესაძლოა, თბილისს გაზი გაეთიშოს

*თბილისი ბუნებრივი გაზის შეწყვეტის საშიშროების წინაშე დგას. გუშინ "თბილგაზმა" გაზის ექსკლუზიური მომწოდებლის, "გაზპრომის" შვილობილი "გაზექსპორტისგან" ოფიციალური შეტყობინება მიიღო. რუსული გაზის გიგანტი იტყობინება, რომ თუ "თბილგაზი" ორი კვირის ვადაში არ დაფარავს მოხმარებული გაზის საფასურს – 7 მილიონ 532 ათას დოლარს, "გაზექსპორტი" გაზმომარაგებას ჯერ გაანახევრებს, შემდეგ კი საერთოდ შეწყვეტს. ჯერჯერობით, პრობლემები არ ემუქრებათ გაზის იმ საწარმოებს, რომელთაც ბუნებრივი აირით "იტერა" ამარაგებს.*

ნიკა მარიამიძე

როგორც გაირკვა, დავალიანება "თბილგაზის" მმართველ "ახალ მენეჯმენტს" 2003 წლის 1 ოქტომბრიდან, ანუ მას შემდეგ დაუგროვდა, რაც "გაზექსპორტი" საქართველოსთვის გაზის ექსკლუზიურ მომწოდებლად იქცა.

მანამდე საკრებულომ "თბილგაზის" მართვის უფლება "ახალ მენეჯმენტს" საკმაოდ რეზონანსული სკანდალების ფონზე გადაულოცა. პოლიტიკური წრეების მღელვარებას ის პირობები იწვევდა, რომელთა თანახმადაც, "ახალ მენეჯმენტს" ფინანსური ვალდებულებები არ აწუხებდა. მაშინ "ახალი მენეჯმენტის" ხელმძღვანელებმა თბილისის უწყვეტი გაზმომარაგების პირობა დადეს და ეს პირობა ეკონომიკური გათვლებით დაასაბუთეს. მათი მტკიცებით, "თბილგაზში" შესვლისთანავე ისინი მომწოდებლისათვის დავალიანების გასასტუმრებელი თანხების მობილიზებას შეძლებდნენ, მოგვიანებით კი, ანუ მას შემდეგ, რაც გაზის საფასურის ამოღების მაჩვენებლები შთამბეჭდავად გაიზრდებოდა, დედაქალაქის გამრიცხველიანებასა და ტექნიკურ რეაბილიტაციას შეუდგებოდნენ.

მიუხედავად ამ დაპირებისა, "თბილგაზის" ხელმძღვანელობა პრობლემების წინაშე აღმოჩნდა. ახლა "ახალი მენეჯმენტი" და, შესაბამისად, თბილისის გაზმომარაგებაც იმ დაპირებული თანხების იმედადაა, რომელიც კომპანიამ ცენტრალური და დედაქალაქის ბიუჯეტებიდან უნდა მიიღოს. მართვის ხელშეკრულების თანახმად, "თბილგაზს" 15-15 მილიონი ლარი ადგილობრივმა და ცენტრალურმა ბიუჯეტებმა საბიუჯეტო ორგანიზაციების გაზმომარაგებისა და იმ შეღავათების ანგარიშში უნდა გადაურიცხოს, რომელსაც კომპანია სოციალურად დაუცველ მოსახლეობას უწევს. ამ თანხაში შედის პედაგოგებისათვის დარიგებული გაზის ვაუჩერების ღირებულებაც.

**"თბილგაზში" "ახალი მენეჯმენტის" შესვლის დღიდან ხუთი თვე გავიდა. ამ ხნის განმავლობაში ჩვენ 5 მილიონ ლარამდე უნდა მიგველო, მაგრამ ერთი თეთრიც არ მიგვიღია. ჩვენ ეს საკითხი თბილისის საკრებულოს თავმჯდომარესთან ზაზა ბეგაშვილთან წამოვჭერით და იგი დაგვპირდა, რომ თბილისის ბიუჯეტი დავალიანების ნაწილს მაინც დაფარავს,"** – განუცხადა "24 საათს" "თბილგაზის" გენერალურმა დირექტორმა ნოდარ გობიანიძემ. მისი ინფორმაციით, "თბილგაზს" "გაზექსპორტისთვის" გადახდილი აქვს 2 მილიონ 200 ათასი ლარი, მაგრამ ეს საკმარისი არ არის. გაზის საფასურის ამოღების მაჩვენებლებს კი "თბილგაზის" გენერალური დირექტორი ვერ აკონკრეტებს: **"ჩვენ სულ რაღაც 9 დღეა, რაც ბანკების საშუალებით დავიწყეთ თანხების აკრეფა. თანხებმა შემოსვლა ახლა დაიწყო და, წინასწარი მონაცემებით, ვითარება უმჯობესდება,"** – აცხადებს იგი.



*მედვედევმა გილაურს გაზის საფასურის გადახდა მოსთხოვა.*

თუმცა, სანამ ვითარება გაუმჯობესდება, კომპანია ცაიტნოტშია. მას "გაზექსპორტისგან" ნაბოძები ვადა ათიოდე დღეში ეწურება. თანხები კი არ არის.

სხვათა შორის, ეს საკითხი გუშინ სათბობ-ენერგეტიკის მინისტრმა ნიკა გილაურმა "გაზექსპორტის" გენერალურ დირექტორ ალექსეი მედვედევთან შეხვედრისას განიხილა. რა შეთანხმებას მიაღწია მინისტრმა, ჯერჯერობით, უცნობია. სამაგიეროდ, უკვე ცნობილია, რომ "გაზპრომის" სათაო ოფისში კომპანიის მმართველთა საბჭოს თავმჯდომარე ალექსეი მილერთან შეხვედრისას გილაურმა საქართველოსთვის ბუნებრივი აირის მოწოდებისა და "მოწოდებული ბუნებრივი აირის საფასურის გადახდებში არსებული მიმდინარე მდგომარეობის" საკითხებზე ისაუბრა. გარდა ამისა, მილერი საქართველოს მაგისტრალური გაზსადნების თემას კვლავ მიუბრუნდა და "საქართველოში გაზის რეალიზაციის პროცესში "გაზპრომის" მონაწილეობის საკითხიც" წამოჭრა.

გარდა ამისა, მინისტრს "გაზპრომთან" კიდევ ერთი საკითხი აქვს მოსაგვარებელი. საქმე ისაა, რომ ვინაიდან "გაზპრომი" "იტერას" თურქმენული გაზის ტრანზიტის საშუალებას არ აძლევს, კომპანია თავის ქართველ მომხმარებლებს "გაზექსპორტის" გაზით ამარაგებს. "გაზექსპორტის" გენერალური დირექტორის ალექსეი მედვედევის განმარტებით, ამჟამად "გაზპრომსა" და "იტერას" შორის მიმდინარეობს "იტერასათვის" მისაწოდებელი გაზის ოდენობის შეთანხმება. სავარაუდოდ, მოლაპარაკების პროცესში "იტერას" ქართული მხარის ოფიციალური ნებაც დაეხმარება. როგორც "24 საათს" აცნობეს, იმ შემთხვევაში, თუ ენგურჰესის გაჩერების გამო დღის წესრიგში დადგება თბილსრესის სახელმწიფო ბლოკების ამოქმედების საკითხი, არ არის გამორიცხული, სადგურის გაზით მომარაგება "იტერამ" ითავოს. ამ შემთხვევაში ქართულ მხარეს "იტერასათვის" მოსაწოდებელი გაზის მოცულობის გაზრდაზეც მოუწევს საუბარი.

# ლარის კურსის გამყარება დროებითი მოვლენაა

## ექსპერტები ქართული ვალუტის შესახებ

*უკვე ორი დღეა, საქართველოში ლარის კურსი უპრეცედენტოდ გამყარებულია - ლარის კურსმა აშშ დოლარის მიმართ სამწლიან მაქსიმუმს მიაღწია. თბილისის ბანკთაშორის სავალუტო ბირჟაზე სამშაბათს გამართული ვაჭრობის შედეგად საქართველოს ეროვნული ვალუტის კურსი აშშ დოლართან მიმართებაში 1, 9800 ლარის ნიშნულზე დაბალანსდა. გუშინ საქართველოში უქმე დღე იყო, ამიტომ კურსის ცვლილება არ მომხდარა. ამ საკითხთან დაკავშირებით "განგაშის ზარი" სამშაბათსვე შემოკრა ფინანსთა მინისტრმა ზურაბ ნოღაიდელმა. თუმცა, ეროვნული ბანკის წარმომადგენლები, ექსპერტები და თავად მეწარმეებიც აცხადებენ, რომ, რეალურად, საქართველოში ამ მხრივ სიტუაცია საგანგაშო, ყოველ შემთხვევაში - ჯერჯერობით, ნამდვილად არ არის.*

თამარ ხორბალაძე
დიანა ჩაჩუა

უპირველესად უნდა აღინიშნოს, რომ ამჯერად ლარის "გამყარების" მიზეზი არა ხელოვნური "ჩარევა", არამედ გარკვეულ ობიექტურ ფაქტორთა თანხვედრაა:

ეროვნული ბანკის განმარტებით, ამ პროცესს ეკონომიკის ლეგალიზაციის პროცესის დაწყებამ და საინვესტიციო კლიმატის გაუმჯობესებამ შეუწყო ხელი. ანუ, მარტივად რომ ვთქვათ, ლარზე მოთხოვნა გაიზარდა, რადგან გაიზარდა ბიუჯეტში გადახდილი თანხების ოდენობა. ამასთან ერთად, აღსანიშნავია, რომ ბიუჯეტში შესული თანხები ჯერ სრულად არ მოხვედრილა მიმოქცევაში, ანუ არ გადასულა მომხმარებლის ხელში, რადგან ჯერ არ არის დამტკიცებული გაზრდილ ხარჯებიანი 2004 წლის ბიუჯეტი და ამიტომ ბიუჯეტიდან თანხების ხარჯვა, კანონის შესაბამისად, გასული წლის ერთი მეთორმეტედის გეგმის მიხედვით ხდება.

ეროვნულ ბანკში ამბობენ, რომ ბაზარზე დღეს შემცირებულია ლარის შემოდინება და ამიტომ ბანკი ახდენს ლარის კურსის გამყარებას.

ბანკში ირწმუნებიან, რომ ამის საშუალებას ლარის რეალური კურსის (ინფლაციის გათვალისწინებით დათვლილი კურსი) დინამიკაც იძლევა, რომელიც, საბოლოო ჯამში, გავლენას ახდენს ექსპორტ-იმპორტის თანაფარდობაზე. კერძოდ, უკანასკნელი ერთი წლის განმავლობაში ლარი, რეალურად, 7 პროცენტით არის გაუფასურებული. შესაბამისად, ლარის კურსის აწევა აშშ დოლარის მიმართ ზიანს არ აყენებს ქვეყნის საგარეო კონკურენტუნარიანობას. მით უმეტეს, რომ ლარი ევროსთან მიმართებაში თითქმის ისევა გაუფასურებული, როგორც თავად დოლარი; ანუ ეს ნიშნავს, რომ ქართულ ექსპორტს მსოფლიო ბაზარზე ლარის კურსის ბოლოდროინდელი გამყარება დამატებით პრობლემებს ვერ შეუქმნის.

ამასთან, ლარის განსაკუთრებული სიმყარის პროცესი გრძელვადიანი რომ არ იქნება, ამის წინაპირობა დღეს საქართველოში თუნდაც ისაა, რომ ფინანსთა მინისტრმა მარტში მიმდინარე თვის ხელფასების, პენსიებისა და გასული წლის სახელფასო დავალიანების დაფარვის დაპირება გასცა, რაც ნიშნავს, რომ ლარი საფინანსო ბაზარზე გამოვა. თავად ეროვნულ ბანკშიც მიიჩნევენ, რომ ლარის გამყარება დროებითი, ანუ სეზონური მომენტია. ექსპერტების აზრით კი, სავარაუდოდ, ლარის კურსი მომავალში 1 აშშ დოლარი - 2,1 ლარზე დაბალანსდება.

"24 საათმა" აღნიშნულ საკითხთან დაკავშირებით კომენტარი ეკონომიკის ექსპერტებს და "ექსპორტიორებს" სთხოვა.

**რომან გოცირიძე, პარლამენტის საბიუჯეტო ოფისი** – ლარი არ გამყარებულა, რეალურად იქმნება ვალუტის გამყარების ილუზია. თუ შარშან ლარის კურსი ევროსთან მიმართებაში 2,3 ლარი იყო, დღეს ერთი ევრო 2,6 ლარი ღირს, ანუ ლარის კურსი ევროსთან მიმართებაში ზომიერად, აბსოლუტურად მისაღებ ფარგლებში ეცემა. სწორედ ამან შექმნა ლარის გამყარების ილუზია. საქართველოს სავაჭრო სივრცე არ არის, ასე ვთქვათ, ის ადგილი, სადაც მხოლოდ დოლარით ვაჭრობენ. რაც შეეხება ექსპორტს, აქ არანაირი არსებითი ძვრები არ მომხდარა. საქართველოს ბაზარზე ლარის გამყარება იმით არის გამოწვეული, რომ პირველი - ეცემა დოლარი და მეორე - საქართველოში დიდი რაოდენობით დოლარი შემოედინება. ვალუტის შედარებითი გამყარება ასევე განპირობებულია თვის ბოლოს ბიუჯეტის შევსებისათვის გატარებული ღონისძიებებით და ასევე იმ ფირმების მიერ ბიუჯეტში თანხების გადახდით, რომლებიც აქამდე არ იხდიდნენ. ამჟამად არავითარი ცვლილებები არ არის საჭირო. განსაკუთრებული არაფერი ხდება.

**ვახტანგ ხომეზურაშვილი, თბსბ** – გააჩნია, ლარის გამყარებას რა პერიოდში განვიხილავთ. მოკლე პერიოდისთვის საშიშროება არ არსებობს, ვგულისხმობ, დაახლოებით, ერთ თვეს. მაგრამ თუ ეს მოვლენა გაგრძელდა, მაშინ ექსპორტიორები, რბილად რომ ვთქვათ, უხერხულ მდგომარეობაში ჩავარდებიან. ლარის კურსის მთავარი მარეგულირებელი ეროვნული ბანკია. ვფიქრობ, რომ დღევანდელ სიტუაციაში მან დამატებითი ემისიები უნდა განახორციელოს. დღეს ბანკში ფულადი მასის გამოშვება შეზღუდულია; ამასთან, ნათელია, რომ ეკონომიკას ფული სჭირდება. დაწყებულია ჩრდილოვანი ეკონომიკის ლეგალიზაცია, ესეც დამატებით ლარებს მოითხოვს. ეროვნული ბანკი ამ შემთხვევაში ადეკვატურად უნდა მოქმედებდეს. საერთოდ, ნებისმიერი ვალუტის კურსის მკვეთრი რყევა ძალიან ცუდია ეკონომიკისათვის. ეროვნულმა ბანკმა ბანკთაშორის სავალუტო ბირჟაზე წარმოდგენილი ყველა მოთხოვნა უნა შეასრულოს და ასეთი ხერხით დაარეგულიროს კურსი. იგი ოპტიმალური სადღაც 2, 2,0 , 2,1-ის ფარგლებში იქნება. დღეს საქართველოში, ძირითადად, დოლარია მიმოქცევაში. ერთი მხრივ, ლარი დოლართან მიმართებაში მყარდება, მეორე მხრივ, საერთაშორისო საფინანსო ბაზრებზე დოლარი ევროსთან მიმართებაში უფასურდება. ჩვენთან იმპორტირებული საქონელი კი, ძირითადად, ევროზეა ნაყიდი. ჩემი აზრით, მიუხედავად იმისა, რომ ჩვენთან, ძირითადად, დოლარი ბრუნავს, აქცენტი მაინც ევროზე უნდა გავაკეთოთ.

არის მოსაზრება, რომ ლარის გამყარება ილუზიაა და ლარი მხოლოდ დოლართან მიმართებაშია გამყარებული. არ იქნება მიზანშეწონილი, რომ ჩვენ ფუნტ სტერლინგთან ან სხვა ფულად ვალუტასთან გავავლოთ პარალელი. მიზეზი მარტივია, ეს ვალუტები ჩვენთან მიმოქცევაში არ არის.

**რეზო შავიშვილი, ექსპერტი** – ლარის კურსის გამყარება ექსპორტს, რა თქმა უნდა, უქმნის საშიშროებას - ამ დროს ხომ ექსპორტი მცირდება, მაგრამ მთავარი ზრდა ან შემცირება კი არ არის, მთავარი სტაბილურობაა. აი, რას უნდა მივაღწიოთ. ჯერჯერობით, ლარი გამყარების პროცესშია. თუმცა აღვნიშნავ, რომ ლარის კურსის სწრაფი ზრდა, პრინციპში, ექსპორტს ხელს არ უნდა უშლიდეს.

**სანდრო თვალჭრელიძე, ექსპერტი** – ლარის გამყარება არასოდეს არ არის საშიში. შიდა ბაზარზე ამ ფაქტმა, წესით, დადებითი შედეგები უნდა გამოიღოს, ხოლო საექსპორტო ბიზნესს შეიძლება ცოტა პრობლემები შეექმნას, მაგრამ არც ასეა საქმე - ფასები საქართველოში ჯერ ხომ არ შეცვლილა?! ერთადერთი ცუდი ექსპორტში ის შეიძლება მოხდეს, რომ, მაგალითისთვის, თუ ბიზნესმენი გარკვეულ ფასად იყიდის პროდუქციას, ექსპორტის შემდეგ 10 პროცენტით ნაკლებ მოგებას მიიღებს.

თვენახევარში კურსი გამყარდება და არავითარ შემთხვევაში ამ მიმართულებით მკვეთრი ცვლილებები არ უნდა განხორციელეს. ეს სეზონური კურსია, მე ამ საკითხს ინტენსიურად ვსწავლობდი და საგანგაშოს ვერაფერს ვხედავ; პირიქით, კარგიც კი არის.

**თამაზ აგლაძე, ექსპორტიორთა ასოციაცია** – ლარის კურსის გამყარება, ჩემი აზრით, ცუდად აისახება საქართველოს საექსპორტო ბიზნესზე. ეს მოვლენა იმპორტის ხელშეწყობაა, მაგრამ ამავდროულად ჩვენს ექსპორტს უშლის ხელს. ჩვენს ქვეყანაში ისედაც მაღალი ლარის კურსი გვაქვს. მეზობელ ქვეყნებს რომ გადახედო, არც ერთს არ აქვს ასეთი მაღალი ვალუტის კურსი. რუსეთში 1 დოლარი 29 მანეთია, თურქეთში 1 650 ათასი ლირა, აზერბაიჯანში - დაახლოებით 30 მანათი. ყველა ცდილობს, ისეთი კურსი შემოიღოს, რომ ხელი შეუწყოს თავისი ქვეყნის ექსპორტს.

**ზურაბ ტყემალაძე, დეპუტატი** – როგორ შეიძლება ადამიანმა ვალუტის გამყარება ცუდად შეაფასოს. ეს დადებითი მომენტია, მაგრამ გააჩნია, თუ რითი მყარდება ლარი. თუ ვალუტა ხელოვნურად მყარდება, მაშინ ეს არასწორი კურსია. ლარის კურსის ხელოვნური გამყარებით ვახდენთ ექსპორტის და ადგილობრივი წარმოების ჩახშობას. ადგილობრივ ნედლეულზე მომუშავე მეწარმეები ძალიან ცუდ დღეში ვარდებიან; მაგალითისათვის, მეწარმემ შეიძინა ნედლეული. რა თქმა უნდა, იგი რეალიზაციას ექსპორტზე აკეთებს. ამის შემდეგ ხდება ლარის კურსის გამყარება. ამ შემთხვევაში ხდება ის, რომ თუ ნედლეული მეწარმემ მაღალ ფასში შეიძინა, ექსპორტის შედეგად ვერ მიიღებს მოგებას. ქვეყანამ, რომელიც ექსპორტის გაზრდაზეა ორიენტირებული, არ შეიძლება ინფლაცია ხელოვნურად მოთოკოს.

**ლევან კობერიძე,** GVS – ჯერჯერობით, ამ მხრივ ვერანაირ საშიშროებას ვერ ვხედავ. ჩვენთვის ამ მოვლენას პრობლემები არ შეუქმნია.

# ჯონ კერი - ჯორჯ ბუშის უპირობო მეტოქე

პირველი გვერდიდან

სამშაბათს, მასაჩუსეტელმა სენატორმა ათ შტატში გამართული პრაიმერიზებიდან - ცხრა სუფთა მოგებით დაასრულა. დემოკრატიული პარტიის პრაიმერიზები – წინასწარი არჩევნები, შემდეგ შტატებში ჩატარდა: ოჰაიო, მერილენდი, მასაჩუსეტი, კონექტიკუტი, ნიუ-იორკი, როდ-აილენდი, ჯორჯია, ვერმონტი, კალიფორნია და მინესოტა. კერის მეტოქემ ასევე დემოკრატიული პარტიიდან ჰოვარდ დინმა გამარჯვება მხოლოდ ვერმონტის შტატში მოიპოვა და ამით ნოემბრის არჩევნებში გასვლის შანსები მთლიანად დაკარგა. კერის მეორე მეტოქე ჯონ ედვარდსი კი, საარჩევნო მარათონიდან გასვლის თაობაზე უახლოეს მომავალში განაცხადებს. რაც შეეხება ჰოვარდ დინს, მან უკვე აღიარა დამარცხება და თანაპარტიელ ჯონ კერის ჯორჯ ბუშის დამარცხება უსურვა.

მიუხედავად იმისა, რომ ჯონ ედვარდსმა ასპარეზი კერის დაუთმო, ის შესაძლოა, მასაჩუსეტელი სენატორის გვერდით ვიცე-პრეზიდენტობის კანდიდატად ვიხილოთ. ეს ხმები უკვე დიდი ხანია, დადის დემოკრატიული პარტიის კულუარებში, თუმცა ჯონ ედვარდსი ამას თავიდანვე უარყოფდა. ამ ხმების რეალურობა კი თავად ჯონ კერიმ დაადასტურა, როდესაც განაცხადა, რომ ის ჯონ ედვარდსს ვიცე-პრეზიდენტის პოსტზე საუკეთესო კანდიდატურად განიხილავს. **"თუკი მე დემოკრატიული პარტია ნდობას გამომიცხადებს, შევეცდები, ვიცე-პრეზიდენტობის კანდიდატად საუკეთესო ადამიანი დავასახელო. მე ულრმესი პატივისცემით ვარ ჯონ ედვარდსის მიმართ გამსჭვალული. მან წინასაარჩევნო კამპანია შესანიშნავად წარმართა,"** - განაცხადა ჯონ კერიმ.

ჯონ კერის ტრიუმფი იმდენად შთამბეჭდავი აღმოჩნდა, რომ მას ეს გამარჯვება თავად აშშ-ს პრეზიდენტმა ჯორჯ ბუშმა მიულოცა. **"ჩვენ ძალზე სასიამოვნო საუბარი გვქონდა,"** - განაცხადა ჯონ კერიმ. თუმცა, ამას მასაჩუსეტელი სენატორისათვის სრულებით არ შეუშლია ხელი, რათა თეთრი სახლის ბატონ-პატრონი კრიტიკის ქარცეცხლში გაეტარებინა. ამჯერად, ჯონ კერიმ ჯორჯ ბუშის საგარეო პოლიტიკა გააცამტვერა და ამომრჩეველს პირობა მისცა, რომ გამარჯვების შემთხვევაში აღადგენს აშშ-ს თბილ და პარტნიორულ ურთიერთობებს ევროპასთან და "მსოფლიოს ერთა თანამეგობრობაში" ვაშინგტონის ღირსეულ დაბრუნებას შეძლებს.

თუკი ჯონ კერი პირველი წარმატებების მოპოვების შემდეგ ძირითად კონკურენტად ჯორჯ ბუშს მიიჩნევდა, აშშ-ს პირველი პირის კრიტიკას ამჯერად უფრო დიდი მონდომებით შეუდგა. "სუპერ სამშაბათის" პრაიმერიზებში გამარჯვებისთანავე ჯონ კერი თავისი მხარდამჭერების წინაშე წარდგა და ბუშის საგარეო პოლიტიკის გაცამტვერებას შეუდგა. **"ეს არის ყოვლად უსარგებლო, ყველაზე უპასუხისმგებლო, ამპარტავნული და იდეოლოგიზირებული პოლიტიკა თანამედროვე აშშ-ს ისტორიაში,"** - განაცხადა ჯონ კერიმ.


ჯონ კერის უკვე 28 შტატი უჭერს მხარს

REUTERS

მასაჩუსეტელი სენატორის გეგმით, უფრო ქმედითი და აგრესიული ნაბიჯები უნდა გადაიდგას ტერორისტების საფინანსო ანგარიშების გამოსავლენად და პირდაპირ უნდა დასახელდეს ის ბანკები და ქვეყნები, რომლებმაც აშშ-სთან თანამშრომლობაზე უარი განაცხადეს. დემოკრატების ფავორიტი ამ მიზნით აპირებს შექმნას ოფისი, სადაც მაღალი დონის ოფიციალური პირები იმუშავებენ და მათ მხოლოდ ერთადერთი დავალება ექნებათ მიცემული - ტერორისტთა ჯგუფებში მასობრივი განადგურების იარაღის გავრცელების აღკვეთა.

ჯონ კერი აცხადებს, რომ ჯორჯ ბუშის პოლიტიკამ ჩრდილოეთ კორეის და ირანის საკითხებში ფიასკო განიცადა, რადგან თეთრმა სახლმა ფხენიანის და თეირანის ბირთვული ამბიციების განეიტრალება ვერ შეძლო.

თავად ჯორჯ ბუში ჯონ კერისთან ორთაბრძოლის დაწყებას მოუთმენლად ელის. ბუშის წინასაარჩევნო კამპანია დღეს სატელევიზიო რგოლების ჩართვით დაიწყება, რომელთა მომზადებაზეც უკვე დახარჯულია რამდენიმე მილიონი ამერიკული დოლარი.

რგოლების ჩართვამდე კი სენატორ ჯონ კერის ვიცე-პრეზიდენტი დიკ ჩეინი დაუპირისპირდა. **"უკანასკნელ წლებში მან საკმაოდ გახსნილად გამოხატა თავისი დამოკიდებულება ისეთ საკითხებში, რომლებიც ღიად მიუთითებენ მის სურვილზე - შემცირდეს საბიუჯეტო ხარჯები თავდაცვისა და დაზვერვის სფეროებზე და ასევე დაიხუროს მთელი რიგი მსხვილი პროექტები იარაღის შექმნასთან დაკავშირებით,"** - განაცხადა დიკ ჩეინიმ. მან ასევე დაადასტურა, რომ კვლავ დააყენებს თავის კანდიდატურას ვიცე-პრეზიდენტის პოსტზე.

დიკ ჩეინის კრიტიკის მიუხედავად, ჯონ კერი მზარდი პოპულარობით სარგებლობს. ჯერჯერობით, მის წინააღმდეგ მხოლოდ ერთი კომპრომატის ამოქქვა შეძლეს, რამაც დემოკრატთა ფავორიტის რეიტინგზე ვერავითარი გავლენა ვერ მოახდინა, რაც იმაზე მიუთითებს, რომ რესპუბლიკელებს საფიქრალი აშკარად აქვთ.

# გერმანიაში საპრეზიდენტო არჩევნები ახლოვდება

მიმდინარე წლის 23 მაისს გერმანიაში სახელმწიფოს ახალი მეთაური - პრეზიდენტი უნდა აირჩიონ. დღეს ეს პოსტი მმართველი სოციალ-დემოკრატიული პარტიის წარმომადგენელს, იოჰანეს რაუს უკავია. ოპოზიციური პარტიები სახელმწიფოს მეთაურის პოსტზე საკუთარი კანდიდატურის გაყვანას გეგმავენ. მართალია, გერმანიის საპარლამენტო რესპუბლიკაში პრეზიდენტის ფუნქციები მხოლოდ წარმომადგენლობითია, მაგრამ ოპოზიცია იმედოვნებს, რომ ქვეყნის უმაღლესი თანამდებობის გაკონტროლებით, პოლიტიკურ პროცესებზე მნიშვნელოვან ზეგავლენას მოახდენს.

დღემდე საპრეზიდენტო პოსტზე ქრისტიან-დემოკრატების კადრი და მათი საპარლამენტო ფრაქციის ლიდერი ვოლფგანგ შოიბლე განიხილებოდა. თუმცა, თავდაპირველი მოლოდინის მიუხედავად, ლიბერალების თავისუფალმა დემოკრატიულმა პარტიამ შოიბლეს მხარდაჭერაზე უარი თქვა. არადა, ქრისტიან-დემოკრატებს საკუთარი კანდიდატურის გასაყვანად სწორედ ლიბერალების მხარდაჭერა სჭირდებათ. გერმანიის პრეზიდენტს საგანგებოდ ამ მიზნით შეკრებილი ფედერალური კრება ირჩევს, სადაც ქვეყნის პარლამენტის ქვედა პალატის – ბუნდესტაგის წევრები და მხარეებში საგანგებოდ არჩეული ამავე რაოდენობის წარმომადგენლები შედიან. მხარეების პარლამენტები ფედერალური კრების დელეგატებს ადგილობრივ საკანონმდებლო ორგანოში წარმოდგენილი პარტიებიდან პროპორციულად ირჩევენ.

ვოლფგანგ შოიბლეს კარიერულ აღმასვლას მუდამ თან ახლდა "გაუთვალისწინებელი მომენტები". 1990 წელს, გერმანიის გაერთიანების პროცესის აქტიურ მონაწილეს სულით ავადმყოფმა ერთ-ერთი საარჩევნო კამპანიის დროს ესროლა, რის შემდეგაც შოიბლე ეტლს მიეჯაჭვა. მან პოლიტიკური კარიერა მაინც არ შეწყვიტა. ჰელმუტ კოლის მარჯვენა ხელს კანცლერობას უწინასწარმეტყველებდნენ და "გერმანელ რუზველტსაც" კი უწოდებდნენ. 1998 წლის არჩევნებში, ბევრი ფიქრობდა, რომ კოლი ლიდერობას სწორედ მას დაუთმობდა. თუმცა, ეს ასე არ მოხდა და ქრისტიან-დემოკრატებმა არჩევნები პირწმინდად წააგეს. შემდეგ იყო პარტიული ფინანსების ირგვლივ ატეხილი სკანდალი, როცა კოლის დროს ქრისტიან-დემოკრატების უკანონო შემოწირულობებს აეხადა ფარდა. მართალია, შოიბლემ მაქინაციებში მონაწილეობა უარყო და გამოძიებამ მას ბრალი ვერ დაუმტკიცა, მაგრამ სკანდალმა არა მხოლოდ პარტიის, არამედ შოიბლეს ავტორიტეტიც შებღალა და მის პოლიტიკურ ლიდერობას საბოლოოდ დაუსვა წერტილი.


ვოლფგანგ შოიბლე დაიწუნეს

ახლა კი შოიბლეს კანდიდატურას ქრისტიან-დემოკრატების პოტენციური მოკავშირეები, ლიბერალები უარყოფენ. ოფიციალურად ნათქვამია, რომ პარტიის ხელმძღვანელობამ მისი წევრები შოიბლეს მხარდასაჭერად ვერ განაწყო. შოიბლეს მხარს ქრისტიან-დემოკრატების მეგობარი პარტია, ქრისტიან-სოციალური კავშირი უჭერდა. გასულ საპარლამენტო არჩევნებში ოპოზიციის ლიდერი და ბავარიის პრემიერ-მინისტრი, ედმუნდ შტოიბერი მომხდართან დაკავშირებით სინანულს გამოთქვამს. ამასთან, იგი იმედოვნებს, რომ ლიბერალებთან საერთო კანდიდატზე შეთანხმება მაინც მოხერხდება. საერთო კანდიდატს ემხრობა ქრისტიან-დემოკრატების ლიდერი ანგელა მერკელიც. იგი ამბობს, რომ კონკრეტულ კანდიდატურაზე საუბარი ჯერ ნაადრევია. ამ დღეებში სამი პარტია კონსულტაციებს გააგრძელებს და საერთო ენის გამონახვას შეეცდება. გერმანულ მასმედიაში სავარაუდო კანდიდატად ბადენ-ვიურტემბერგის კულტურის მინისტრს, ქრისტიან-დემოკრატ ანეტე შავანს ასახელებენ. მისი კანდიდატურა ლიბერალებისთვისაც მისაღები ჩანს, თუმცა, ჯერჯერობით, უარყოფითი პოზიცია ედმუნდ შტოიბერს აქვს. სხვა ინფორმაციით კი, ერთობლივი კანდიდატი შეიძლება საერთაშორისო სავალუტო ფონდის გენრალური დირექტორი, ჰორსტ კიოლერი გახდეს, რომელიც ჰელმუტ კოლის მთავრობაში სახელმწიფო მინისტრი იყო.

საინტერესოა, რომ შოიბლეს კანდიდატურის ირგვლივ არც გერმანიის მოსახლეობაშია ერთიანი პოზიცია. ჟურნალ "შტერნი"-ს ცნობით, შოიბლეს კანდიდატურას მისაღებად მოსახლეობის 44 პროცენტი მიიჩნევს, ხოლო 48 პროცენტი მას უარყოფითად აფასებს. პრეზიდენტი ქვეყნის ერთიანობას განასახიერებს, - ნათქვამია გერმანიის კონსტიტუციაში. ამდენად, ექსპერტები მიიჩნევენ, რომ ამ პოსტს ისეთი ადამიანი შეეფერება, რომელიც საზოგადოების დიდი მხარდაჭერით სარგებლობს.

# ჩრდილოეთ კორეის კრიზისი

## წარმატებული დიპლომატია თუ შანტაჟის პოლიტიკა

ლაშა გიორგიძე

მიუხედავად იმისა, რომ ჩინეთის დედაქალაქ პეკინში გამართულ ექვსმხრივ შეხვედრაზე ჩრდილოეთ კორეას მნიშვნელოვანი განცხადებები არ გაუკეთებია და არც ერთიანი დეკლარაცია შედგენილა მის ატომურ პროგრამებთან დაკავშირებით, აშშ ამ შეხვედრას წარმატებულს უწოდებს. მოლაპარაკების შედეგმა მოლოდინს გადააჭარბა, - ასეთი იყო აშშ-ს ოფიციალური პირების განაცხადი.

ჩინეთის მხარის თქმით, სერიოზული წინააღმდეგობები და განსხვავებები მხარეებს შორის კვლავაც გადაულახავი დარჩა, თუმცა ერთადერთი, რაზეც შეთანხმდნენ, დიალოგის გაგრძელების აუცილებლობაა. შეიძლება ითქვას, რომ მოლაპარაკების მხარეების ვექტორები ხშირ შემთხვევაში სხვადასხვა მიმართულებით იყო მიმართული. ჩრდილოეთ კორეა ატომური პროგრამების სანაცვლოდ კომპენსაციას ითხოვს. აშშ-ს განცხადებით, ეს საკმარისი არ არის და აუცილებელია უარის თქმა ურანის გამდიდრების პროგრამებზეც. ასეთი პროგრამების არსებობას კი ჩრდილოეთ კორეა საერთოდ უარყოფს. თავის მხრივ, იაპონიაც პრეტენზიებს გამოთქვამს და ატომური პროგრამების შეჩერებასთან ერთად გატაცებული იაპონელების დაბრუნებას მოითხოვს. ჩრდილოეთ კორეა აღნიშნავს, რომ ამას ატომურ მოლაპარაკებებთან საერთო არაფერი აქვს.

მოლაპარაკებებს კიდევ უფრო ართულებს ის გარემოება, რომ პროცესში ჩართულ ექვსივე ქვეყანას საკუთარი ინტერესები და ამბიციები გააჩნია. ყველა თავისას ცდილობს, რაც საფრთხის განეიტრალებას არაფრით უწყობს ხელს.

### ჩრდილოეთ კორეა

ჩრდილოეთ კორეის მოთხოვნები, შეიძლება ითქვას, ტრადიციულია - ეკონომიკური და ენერგეტიკული დახმარების მიღება და უსაფრთხოების გარანტიები ვაშინგტონისაგან. მუშაობა საერთო დეკლარაციაზე დღესაც მიმდინარეობს, თუმცა ყველა მხარის ინტერესების გათვალისწინება ამ ეტაპზე არ ხერხდება. ასეთი სახის დეკლარაცია, ჩვეულებრივ, კონსენსუსთა ერთობლიობაა, დათმობაზე წასვლა კი არც ერთ მხარეს არ უნდა. როგორც ჩინეთის საგარეო საქმეთა მინისტრმა განაცხადა, სერიოზული წინააღმდეგობები დღემდე არსებობს. თუმცა, იგი მიიჩნევს, რომ დიალოგი კონსტრუქციული იყო. მისი აზრით, საბოლოო მოლაპარაკებამდე გზა საკმაოდ გრძელი და წინააღმდეგობებით აღსავსე იქნება. მართალია, ჯერ გარკვეული არ არის, როდის შედგება მოლაპარაკების შემდეგი რაუნდი, თუმცა თავად შეთანხმება დიალოგის გაგრძელებისა და სამუშაო ჯგუფის შექმნის თაობაზე შეიძლება უკვე წარმატებად ჩაითვალოს.

საკამათოა ის, თუ რისთვის სჭირდება ჩრდილოეთ კორეას ატომური იარაღი. შეიძლება ეს არის სურვილი, შეაჩეროს უცხო ქვეყნების აგრესია, თუმცა საფუძველს მოკლებული არ არის ის ვერსიაც, რომ ქვეყანამ ეს ვაჭრობის საგნად აქციოს დამატებითი დახმარების მისაღებად. როგორც გამოჩნდა, ქვეყნის წარმომადგენლები მოლაპარაკებების წარმოების დროს ორ რაიმეს ისახავდნენ მიზნად – ქვეყანაზე დაწესებული სანქციების მოხსნა და აშშ-საგან თავდაუსხმელობის გარანტიის მიღება. ჯერ კიდევ გაურკვეველია, დაარწმუნებენ თუ არა თვით ჩრდილოეთ კორეას, უარი თქვას ატომურ პროგრამებზე, და რის სანაცვლოდ. ასევე ღიად რჩება საკითხი, მოაწერს თუ არა იგი ხელს რაიმე შეთანხმებას (და როდის დაარღვევს მას). როგორც ცნობილია, ჩრდილოეთ კორეა ყოველგვარი დიპლომატიური რევერანსების გარეშე გავიდა საერთაშორისო შეთანხმებიდან, რაც ატომური იარაღის გავრცელების აკრძალვას (Nuclear Non-Proliferation Treaty) ითვალისწინებდა.

### სამხრეთ კორეა

ჩრდილოეთ კორეის ბირთვული პროგრამების აღდგენა რეგიონში დაძაბულობას კიდევ უფრო ზრდის. დამატებითი ზეწოლის შემთხვევაში კი სიტუაცია შესაძლოა, კონტროლიდან აბსოლუტურად გამოვიდეს. ეს მდგომარეობა განსაკუთრებით შემაშფოთებელია მისი სამხრეთელი მეზობლისათვის. სამხრეთ კორეა მოსახლეობით ორჯერ მეტია ჩრდილოეთზე, თუმცა, ორჯერ ნაკლები სამხედრო მოსამსახურე ჰყავს. მათ შორის ზავს ხელი არ მოეწერა 1950 წლის ომის შემდეგ. ერთი მხრივ, სამხრეთ კორეის პრეზიდენტმა ჩრდილოეთთან ურთიერთობის მოგვარება პოლიტიკურ მიზნებს შორის პრიორიტეტად დაისახა, თუმცა ღიად აშშ-ს ოპონირებასაც ერიდება. ამ ორ პოლუსს შორის "ოქროს შუალედის" დაცვა კი დიდ დიპლომატიურ ხელოვნებასთანაა დაკავშირებული.


ჩრდილოეთ კორეის კრიზისის მოგვარებაში მრავალი ქვეყნის დიპლომატები ჩაერთვებიან.

### ჩინეთი

ყველა იმ ქვეყანას შორის, რომლებიც ჩაბმულნი არიან მოლაპარაკებების პროცესში, ჩინეთი ყველაზე ფრთხილი დიპლომატიით გამოირჩევა. ჩინელი ჯარისკაცები ჩრდილოეთ კორეელების მხარდამხარ იბრძოდნენ აშშ-ს ჯარების წინააღმდეგ კორეის ომის დროს. დღემდე პეკინი მათი ერთ-ერთი საიმედო მოკავშირეა. მოლაპარაკების მასპინძელი ქვეყანა საკვებისა და ნავთობის ყველაზე მსხვილი მიმწოდებელია. თუმცა, ჩრდილოეთ კორეის მიერ ატომური იარაღის ფლობით ისიც შეშფოთებულია. ამ ქვეყანას ჩინეთში უკვე აღიქვამენ, როგორც საშიშროებას რეგიონული უსაფრთხოებისათვის.

### იაპონია

რაც შეეხება იაპონიას, იგი აშშ-ს მსგავსად, პირდაპირ მოუწოდებს ჩრდილოეთ კორეას, შეწყვიტოს ატომური პროგრამები. ჯერ კიდევ 1998 წელს ატომური იარაღის ტესტირების შედეგად წარმოქნილმა ტალღამ იაპონიის კუნძულებამდე მიაღწია, რამაც, თავის მხრივ, დააჩქარა იაპონიის ბალისტიკური თავდაცვითი სისტემის შექმნა. მასსა და ჩრდილოეთ კორეას შორის ბარიერად რჩება 20-30 წლის წინ მძევლად აყვანილი იაპონელები, რომელთა გამოშვებასაც იაპონია დაჟინებით ითხოვს და აცხადებს, რომ ამ მოთხოვნის გარეშე, ნორმალურ ურთიერთობებზე და, მით უმეტეს, დახმარებაზე ლაპარაკიც ზედმეტია.

### რუსეთი

რუსეთის მიერ ჩრდილოეთ კორეის დახმარება უმნიშვნელოა. იგი, შეიძლება ითქვას, არ არის დაინტერესებული ამ ქვეყნით, როგორც სტრატეგიული პარტნიორით, თუმცა რუსეთის შორეული საზღვრების უსაფრთხოება მჭიდროდ არის დაკავშირებული ჩრდილოეთ კორეის ატომურ ამბიციებთან. გარდა ამისა, რუსეთს განსახორციელებელი აქვს ეკონომიკური პროგრამები ამ რეგიონში, რამაც სასურველია, კორეის ნახევარკუნძულიც მოიცვას.

### აშშ

მას შემდეგ, რაც აშშ-მ ჩრდილოეთ კორეა ბოროტების ღერძის ქვეყნებში მოიხსენია, ანტიკორეული კამპანია ახალ ფაზაში გადავიდა. უპირველესი მოთხოვნა, რაც ამერიკას აქვს, ბირთვული პროექტების შეჩერებაა. აშშ წარმატებად თვლის იმას, რომ ჩრდილოეთ კორეამ მრავალმხრივ მოლაპარაკებებში მონაწილეობაზე თანხმობა განაცხადა, მაშინ, როდესაც ერთი-ერთზე აშშ-სთან მოლაპარაკების გამართვას ყოველთვის გაურბოდა. სავარაუდოა, რომ ვაშინგტონი ყველა წინაპირობას შეუქმნის ჩრდილოეთ კორეას, რათა იგი ბირთვული იარაღისაგან "გათავისუფლდეს". არ არის გამორიცხული, აშშ-მ პირობა დადოს თავდაუსხმელობის შესახებაც.

დაპირისპირება და ამით წარმოქმნილი გამოუვალი მდგომარეობა ჩრდილოეთ კორეასა და აშშ-ს შორის რეალურად დიდ საშიშროებას უქმნის აღმოსავლეთ აზიის უსაფრთხოებას. რეგიონის ქვეყნებს შორის გაუგებრობა და წინააღმდეგობა ყოველთვიურად იზრდება. ჩრდილოეთ კორეა აცხადებს, რომ ამ პერიოდს იგი არაჩვეულებრივად იყენებს ატომური შესაძლებლობების დასახვეწად. ასეთი წინაპირობების ფონზე, რაიმე სერიოზულ წარმატებებზე საუბარიც ზედმეტია. ერთადერთი, რისი იმედიც შეიძლება ვიქონიოთ, არის უფრო ხშირი შეხვედრები და ხშირი დიალოგი. მიუხედავად იმისა, რომ ჩრდილოეთ კორეა საკმაოდ ბევრს ითხოვს საკუთარი ბირთვული პროგრამების შეჩერების სანაცვლოდ, დანამდვილებით არავინ იცის, თუ რა მასშტაბები გააჩნია ფხენიანის ბირთვულ პოტენციალს. თავად ჩრდილოეთ კორეის ოფიციალური პირები ირწმუნებიან, რომ ატომური იარაღის პროგრამები არსებობს და თანდათან იხვეწება. ამ რწმენას ამყარებს ისიც, რომ 2002 წელს ქ. იონგბიონში განაახლეს ბირთვულ იარაღზე მუშაობა, ხოლო გაერო-ს ორი ინსპექტორი აიძულეს, ქვეყანა დაეტოვებინათ. ანალიტიკოსების თქმით, თუკი იმ დროიდან ატომური რეაქტორი სრული დატვირთვით იმუშავებდა, ჩრდილოეთ კორეელებს შეეძლოთ, ყოველწლიურად თითო ატომური იარაღი მიეღოთ.

ვაშინგტონი არა მარტო დარწმუნებულია იმაში, რომ ჩრდილოეთ კორეა ფლობს ატომურ იარაღს, არამედ იმის შემოწმებასაც ითხოვს, ატომურ პროგრამებს სხვებს ხომ არ აწვდის. საინტერესოა, შეძლებს თუ არა საერთაშორისო დიპლომატია ამ პრობლემის გადაჭრას.

### დასკვნა

ალბათ, ყველა ქვეყანა, ჩრდილოეთ კორეის გარდა, ეთანხმება იმ აზრს, რომ ამ საიდუმლოებით მოცულმა სახელმწიფომ უნდა შეაჩეროს ატომური პროგრამები. დიპლომატიამ შესაძლოა წარმატებას მიაღწიოს ამ ქვეყნის მძიმე ეკონომიკური მდგომარეობის გამოყენებით. თუმცა, როგორც ჩანს, ქვეყნის პირველი პირი საკუთარი თავისა და საკუთარი სამხედრო გარემოცვის უსაფრთხოებაზე უფრო ზრუნავს, ვიდრე ხალხის კეთილდღეობაზე.

მიუხედავად ჩრდილოეთ კორეასა და სხვა ქვეყნებს შორის მანძილისა, მიუხედავად მასთან კარგი თუ ცუდი ურთიერთობისა, საფრთხის ქვეშ, შესაძლოა, ნებისმიერი რეგიონი და ნებისმიერი ქვეყანა აღმოჩნდეს. ეს ის შემთხვევაა, როდესაც საქმე გვაქვს მასობრივი განადგურების იარაღის გამოყენებასთან იმ ქვეყნის მიერ, რომლის მოქმედებაც აბსოლუტურად არაპროგნოზირებადია, რომელიც აბსოლუტურად ჩაკეტილია სხვა ქვეყნების მიმართ და რომელსაც მართავს კატასტროფის პირას მისული ხელისუფლება. ასეთი არამყარი რეჟიმის პირობებში, მასობრივი განადგურების იარაღი, შესაძლოა, ნებისმიერი მიმართულებით და ნებისმიერი რაოდენობით გავრცელდეს.

# ისევ ჩვენ და აფხაზები

*"24 საათის" რედაქციაში "აფხაზური კლუბის" გუშინდელი შეხვედრა ყველაზე ხალხმრავალი და ხანგრძლივი გამოდგა. ცხოველი ინტერესი გამოიწვია თავად თემამ (საერთაშორისო ორგანიზაციების როლი აფხაზეთის კონფლიქტის მოგვარების საკითხში) და მოწვეულმა სტუმრებმა – აფხაზეთის საკითხში გაერო-ს წარმომადგენლის მოადგილემ მარიან სტაშევსკიმ და ბრიტანული ორგანიზაციის "შერიგების რესურსების" კავკასიის პროგრამების დირექტორმა, კონფლიქტოლოგმა ჯონათან კოენმა.*

ზაზა ფაჩუაშვილი

ბატონმა სტაშევსკიმ ბევრი ისაუბრა აფხაზეთის პრობლემის მოგვარების საკითხში გაერო-ს წარმომადგენლების მეცადინეობის შესახებ, რომელთა შორის ყველაზე მნიშვნელოვანი წარმატებისთვის დიტერ ბოდენს მიუღწევია. ესაა ცნობილი "ბოდენის დოკუმენტი", რომელიც გულისხმობს აფხაზეთის პოლიტიკური სტატუსის განსაზღვრას საქართველოს შემადგენლობაში და რომელიც, ჯერჯერობით, ფურცელს არ გასცდენია. სტაშევსკის მონოლოგს ლონდერ ცაავას მხრიდან მოჰყვა სრულიად ბუნებრივი კითხვა – 10-12 წელია, ჩვენ ვტრიალებთ მოჯადოებულ წრეზე, ამ ფაქტის გათვალისწინებით, ფიქრობს თუ არა გაერო საკითხისადმი ახალი მიდგომებისა და იმის შესახებ, რომ რაღაც აუცილებლად უნდა შეიცვალოს. აღნიშნულ კითხვას და კიდევ სხვა კითხვებს სტაშევსკიმ მობოდიშებით და წასვლით უპასუხა, - გადაუდებელი შეხვედრა მაქვსო.

სამაგიეროდ, აუდიტორიის მოთხოვნილება სრულიად დააკმაყოფილა ჯონათან კოენმა, რომელმაც თავდაპირველად დეტალურად ისაუბრა აფხაზეთის საკითხში საერთაშორისო ორგანიზაციების უფლებამოსილების შესახებ, შემდეგ კი მოისმინა ყველა კითხვა და თავისი კომპეტენციის ფარგლებში უპასუხა.

აუდიტორიის მხრიდან საფუძვლიანი მსჯელობის შედეგად გამოიკვეთა საერთო აზრი იმის თაობაზე, რომ ჩვენსა და აფხაზებს შორის ძირითად და დღემდე გადაულახავ ბარიერს ქმნის რუსეთი.

ამ მოსაზრებასთან ერთად კიდევ ერთი საჭირბოროტო საკითხი წამოჭრა საგარეო საქმეთა სამინისტროს საგანგებო დავალებათა ელჩმა კოტე ჟღენტმა, რომელმაც ყველასთვის სამწუხარო ფაქტი გაგვახსენა – საქართველოს ხელისუფლებას დღემდე არ შეუმუშავებია აფხაზეთის საკითხის მოგვარების სახელმწიფო სტრატეგია და არ შეუქმნია კონკრეტული სამოქმედო



*დისკუსიის მონაწილენი.*

პროგრამა. ამ პრობლემას გამოეხმაურა ლაშა ბაქრაძეც. "საერთაშორისო ორგანიზაციებს ისე ვთხოვთ პასუხს, რომ ჯერ ჩვენ თვითონ არ ჩამოგვიყალიბებია, რა გვინდა," – თქვა ლაშამ, რომელსაც დისკუსიის მონაწილენი თავის დაქნევით დაეთანხმნენ. ბოლოს კოენის რეკომენდაციების ჯერი დადგა:

"თქვენ ამბობთ, რომ მთავარი დაბრკოლება რუსეთია, მაგრამ ისიც უნდა გახსოვდეთ, რომ რუსეთი არც გაქრება და არც შეიცვლება. არ გირჩევთ, რომ ამას ელოდოთ, ძალიან დიდ დროს დაკარგავთ. ამიტომ პირდაპირ აფხაზებზე უნდა გახვიდეთ. მათთან ურთიერთობების დამყარება გაცილებით უფრო ადვილია, ვიდრე რუსეთის შეცვლა.

მაგრამ, ამისათვის თქვენ უნდა მოიფიქროთ, თუ რა შესთავაზოთ აფხაზებს, რით მოხიბლოთ და მიიზიდოთ ისინი, რათა აფხაზებმა რუსეთთან ურთიერთობების აგებას საქართველოში დარჩენა ამჯობინონ.

დღეს აფხაზებს ძალიან რთული პერიოდი უდგათ. ისინი მძიმე არჩევანის წინაშე დგანან – რუსეთი თუ საქართველო. მე წელიწადში 4-5-ჯერ ჩავდივარ სოხუმში და კარგად ვიცი აფხაზების განწყობილება. მათ ძალიან კარგად ესმით, რომ რუსეთს აინტერესებს აფხაზეთის ტერიტორია და არა აფხაზი ხალხი. ამიტომ, მათ არ სურთ რუსეთის შემადგენლობაში შესვლა, მაგრამ არც საქართველოს შემადგენლობაში დარჩენა უნდათ. თქვენ აფხაზები უნდა დაარწმუნოთ, რომ მათთვის სასარგებლო იქნება საქართველოს შემადგენლობაში ყოფნა. ამისათვის, პირველ რიგში, საჭიროა თავად საქართველოს სახელმწიფოებრივი მოწყობა და შემდეგ აფხაზებთან კონკრეტული წინადადებებით მისვლა.

თქვენ ამბობთ, რომ აფხაზებს გაფართოებულ ავტონომიას სთავაზობთ, მაგრამ ოფიციალურად არავინ ამბობს, რას ნიშნავს ეს.

დღეისათვის საქართველოს ახალ პრეზიდენტს, რომელსაც მოსახლეობის 96% უჭერს მხარს, აქვს შანსი მნიშვნელოვან წარმატებას მიაღწიოს აფხაზეთის საკითხში. მას, წინამორბედთან შედარებით, სრულიად ახალი შესაძლებლობები გაუჩნდა. მის გადაწყვეტილებას ელოდებიან აფხაზეთშიც. მასზეა დამოკიდებული, თუ როგორი იქნება სახელმწიფო სტრატეგია, რომელიც ჯერ კიდევ არ ჩანს, მაგრამ იმედი მაქვს, რომ მალე იქნება შემუშავებული. თქვენთვის ეს ძალიან მნიშვნელოვანია. თუ გინდათ, რომ მოვლენების განვითარებაზე რეალური გავლენა იქონიოთ, უნდა იცოდეთ, ამაზე უკეთეს დროს ვერ ნახავთ. ეს თქვენი დროა და გახსოვდეთ, რომ "ფანჯარა იკეტება".

# ახალი მინისტრის პირველი "მოგზაურობა"

*შრომის, ჯანმრთელობისა და სოციალური დაცვის ახალმა მინისტრმა სამედიცინო დაწესებულებების მონახულება 3 მარტს დაამთხვია და დედათა და ჩვილთა თავშესაფრიდან დაიწყო. ამის შემდეგ ყვავილების თაიგულითა და საჩუქრებით ხელდამშვენებულმა გიგი წერეთელმა სამშობიარო სახლსა და სამკურნალო-დიაგნოსტიკურ ცენტრში გადაინაცვლა.*

ნანა ქადაგიშვილი

დედათა და ჩვილთა თავშესაფარი, რომელსაც "იუნისეფი" აფინანსებს, 2003 წლის აპრილიდან ფუნქციონირებს და ძალიან კეთილ საქმეს აკეთებს. მისი წყალობით, უკვე 20-მა დედამ გადაიფიქრა ახალშობილის მიტოვება. ამ თავშესაფარში დედები და შვილები 3 თვის განმავლობაში ერთად ცხოვრობენ. ამასობაში თავშესაფრის თანამშრომლები მათ დასაქმებაზე ზრუნავენ, რათა დედა-შვილი სამი თვის შემდეგ ისევ ქუჩაში არ დარჩეს და იგივე პრობლემის წინაშე არ აღმოჩნდეს.

ჩვილ ბავშვთა სახლსა და ქალთა საკონსულტაციო ცენტრებში მუშაობენ თავშესაფრის სოციალური მუშაკები და კონტიგენტს - მარტოხელა დედებს, ამ დაწესებულებებიდან არჩევენ. თუმცა, ზოგიერთი თავშესაფარს თვითონვე აკითხავს. **"ამ თავშესაფრის არსებობის შესახებ ტელევიზორიდან გავიგე და, 12 დღეა, აქ ვარ. ორი შვილი მყავს - ბიჭი ერთი წლის არის, გოგონა – შვიდი თვის. მეუღლემ 2 თვის წინათ მიგვატოვა. რა მექნა, არ ვიცოდი. თავშესაფარმა გადაგვარჩინა მეც და ჩემი შვილებიც. ფანტასტიური პირობებია და ძალიან თბილად გვექცევიან. სამ თვეს მაინც ამოვისუნთქავთ. თუმცა, უყურადღებოდ არც შემდეგ დაგვტოვებენ. ვინც აქედან წავიდა, ყველა დაასაქმეს. ჩემს დასახმარებლადაც მოიფიქრებნ რამეს,"** – გვითხრა ლალიმ.

დასაქმებისა და მცირე ბიზნესის ხელშეწყობის ცენტრის საშუალებით, თავშესაფარში მოხვედრილმა 16-მა მარტოხელა დედამ მცირე ბიზნესის დასაწყებად გრანტი მიიღო. ერთ-ერთმა სავაჭრო ჯიხური გახსნა, მეორემ ლილოს ბაზრობაზე ადგილი იყიდა. ამის გარდა, 5-მა დედამ კონდიტერის, კოსმეტოლოგისა და სტილისტის პროფესიაში გადამზადების კურსები გაირა, 11 კი უკვე დასაქმდა.

მინისტრისა და უამრავი ჟურნალისტის გუშინდელმა სტუმრობამ თავშესაფრის ბინადარნი ოდნავ დააბნია, მაგრამ ყურადღება მაინც



*გიგი წერეთელი პირველად ბავშვებთან მივიდა.*

ესიამოვნათ. სტუმრებს წინ ყვავილების უზარმაზარი თაიგულით ხელდამშვენებული გიგი წერეთელი მიუძღოდა. სამინისტროს წარმომადგენლებმა დედებს ფარმაცევტული ფირმების საჩუქარი - მედიკამენტები, სათამაშოები, პამპერსები და საწოვარა ბოთლებიც მიუტანეს.

თავშესაფრის მონახულების შემდეგ გიგი წერეთელმა, ამალითურთ, №3 სამშობიარო სახლში გადაინაცვლა. დაფაცურებული სამედიცინო პერსონალი ველარ გარკვეულიყო, სამშობიარო სახლის ორ შესავლელი კარიდან მინისტრი რომლით ისარგებლებდა. ბოლოს მაინც ცენტრალური შესასვლელი არჩიეს და იქ დაუდარაჯდნენ; მაგრამ, გუმანმა უმტყუნათ - გიგი წერეთელი მეორე კარიდან შევიდა და ახლად დაბადებული სამი ბავშვის დედებს ყვავილების თაიგული და საჩუქრები პალატებში შეუტანა; შემდეგ კი მათი პაწიებიც მოინახულა.

3 მარტისადმი მიძღვნილი ღონისძიება ისრაელი-საქართველოს სამკურნალო-სადიაგნოსტიკო ცენტრის მონახულებით დასრულდა. გუშინ ამ ცენტრში 100 მრავალშვილიან დედას უფასოდ მოემსახურნენ. ჯანმრთელობისა და სოციალური დაცვის საქალაქო სამსახურმა სოციალურად ყველაზე დაუცველი დედები შეარჩია.

# უთეთრეულო საწოლები და უსაკეტო საშხაპეები

## ახალმა მინისტრმა დიღმის ბავშვთა სახლს ახალი დირექტორი წარუდგინა

*ჩვენი გაზეთის მკითხველისათვის ბოლო დროს დიღმის ბავშვთა სახლში განვითარებული ამბები ცნობილია. "მწვანე ტალღის" მიერ ჩატარებულმა საახალწლო აქციამ ლაკმუსის ქაღალდის როლი ითამაშა და ამ საჩვენებელი ბავშვთა სახლის ადმინისტრაციის რეალური სახე გამოაჩინა. აღმოჩნდა, რომ ბავშვებისათვის მიტანილი ძვირფასი საჩუქრები 2-3 ლარად გაიყიდა, ან დაიკარგა. დროთა განმავლობაში ბევრი სხვა დარღვევაც აღმოაჩნდა. საქმეში შინაგან საქმეთა მინისტრი გია ბარამიძეც ჩაერია, რომელიც, როგორც დიდუბის რაიონის დეპუტატი, დიღმის ბავშვთა სახლს წლების განმავლობაში პატრონობდა. ამას საბოლოოდ ბავშვთა სახლის დირექტორის, ნონა მაღრაძის გადადგომა მოჰყვა.*

ნინო ცინცაძე

მახსოვს, როდესაც მე და "მწვანე ტალღის" თანამშრომელი ქეთი ბეჟიაშვილი გია ბარამიძეს საქმის ვითარებას ვაცნობდით, მისი პირველი რეაქცია ასეთი იყო – კარგით, ეს ქალი წავა, მაგრამ ვინ მოვა?! **"თუ თქვენ იცნობთ ვინმე პატიოსან, ბავშვების მოყვარულ ადამიანს, რომელიც ასეთ საპასუხისმგებლო მოვალეობას შეეჭიდება, მე მზად ვიქნები, მას რეკომენდაცია გავუწიო,"** - გვითხრა მაშინ ბარამიძემ. საბედნიეროდ, ასეთი ადამიანი გამოჩნდა. გუშინწინ იგი განათლების ახალმა მინისტრმა კახა ლომაიამ ბავშვებს წარუდგინა; სწორედ ბავშვებს, რადგან კახა ლომაიას სიტყვიერი განცხადების საფუძველზე ბავშვთა სახლის უკლებლივ ყველა თანამშრომელი თანამდებობიდან გათავისუფლდა.

გუშინ ქალბატონმა ნინო ყანდარელმა, სახლის ახალმა დირექტორმა, საქმის გადაბარების რთული პროცედურა დაიწყო. თუმცა, სანამ ქალბატონ ნინოსა და მისი გეგმების შესახებ მოგითხრობთ, ორი სიტყვით იმ შთაბეჭდილებების შესახებ უნდა მოგიყვეთ, რომელიც განათლების ახალმა მინისტრმა "მწვანე ტალღელებსა" და ბავშვებზე დატოვა.

**"ასეთი არაფერი გვინახავს, ამ ბავშვთა სახლში ყველა რანგის სახელმწიფო მოხელე ყოფილა, მაგრამ ასეთი გულწრფელი სითბო ბავშვების მიმართ არავის გამოუხატავს. ზოგი ხელზე ებღაუჭებოდა, ზოგი ფეხზე. ლაპარაკის დროს როგორც კი ხელის განთავისუფლებას შეეცდებოდა, პიჯაკზე მომენტალურად ის ბავშვი ეკიდებოდა, ვინც ყველაზე ახლოს იდგა. ისინი მიხვდნენ, რომ რაღაც მართლაც იცვლება,"** - ამბობს ქეთი ბეჟიაშვილი. განათლების მინისტრმა ბავშვთა სახლში სრული ოთხი საათი დაჰყო, დაათვალიერა ყოველი კუთხე-კუნჭული, შეიხედა საკუჭნაოში, საშხაპეებში, სასადილოში, საძინებლებში, ნახა საწოლები, რომელზეც თეთრეულიც კი არ იყო გადაფარებული. **"ზოგს სიცხე ჰქონდა. ერთ-ორს წითელა უკვე გამოვლენილი აქვს, თვალები ბევრს დაწითლებული ჰქონდა, თუმცა კახა ამას არ შეუშინებია, ყველა ბავშვს სათითაოდ გაესაუბრა. თუ წითელა არა აქვს გადატანილი, ნამდვილად ვერ გადაურჩება,"** - იცინის "მწვანე ტალღის" დირექტორი მაკა ჯახუა.

**"თქვენ ხართ ის ახალი თაობა, რომლის ხათრითაც მოხდა რევოლუცია. მე ყოველთვის თქვენს მხარეზე ვიქნები. თქვენ შეგიძლიათ, ნებისმიერ დროს მოითხოვოთ შეხვედრა არა მხოლოდ ჩემთან,**



*დიღმის ბავშვთა სახლი.*

**არამდე პრეზიდენტთანაც. დღეს თქვენს სახლში ახალი ცხოვრება იწყება და ჩვენ ყველანი ამის მონაწილეები ვართ,"** - ასე მიმართა ბავშვებს კახა ლომაიამ, შემდეგ კი სათითაოდ ისმენდა მათ პრობლემებს და ოთახებშიც მათთან ხელჩაკიდებული დადიოდა.

რაც შეეხება დირექტორს, ქალბატონ ნინო ყანდარელს, მან პირველივე პრობლემის მოგვარება გუშინვე მოახერხა. ერთ-ერთ ბავშვს წამლის ფული სჭირდებოდა. ახალმა დირექტორმა იგი იქვე საკუთარი ჩანთიდან დააფინანსა. ბავშვისათვის ეს იმდენად მოულოდნელი აღმოჩნდა და ისე დაიბნა, რომ გაიქცა, თუმცა შემდეგ მალევე მობრუნდა და მადლობა გადაიხადა. როგორც ბავშვებს ქალბატონმა ნინომ უთხრა, მასთან ყველანაირ პრობლემაზე და ყველა საკითხზე ღიად და პირდაპირ შეიძლება დალაპარაკება, თანაც ეს იმდენად უშუალოდ მოახერხა, რომ ბავშვები მის გულწრფელობაში ნამდვილად დარწმუნდნენ.

საერთოდ, უნდა ითქვას, რომ ახალი დირექტორი ამ ბავშვთა სახლში იმიტომ არ მისულა, რომ ან სამსახური სჭირდებოდა, ანდა ხელფასი. მხატვარი ნინო ყანდარელი, რომელსაც 18 წლიანი პედაგოგიური სტაჟი აქვს, ბოლო წლებში სამხატვრო აკადემიის ქსოვილების კათედრის ლაბორატორიის ხელმძღვანელი იყო. **"ქველმოქმედება მისი ხასიათის თვისებაა. რამდენიმე წლის წინ, როდესაც ძეგვის ბავშვთა სახლის შესახებ ტელევიზიით მოისმინა, მე დამიკავშირდა და წლების განმავლობაში მათ ანონიმურად ეხმარებოდა,"** – ამბობს მაკა ჯახუა. ნინო ყანდარელი ფინანსურად უზრუნველყოფილი, საქმიანი, თანამედროვე ადამიანია, რომლის პირად საქმეშიც წერია, რომ კარგად ფლობს ინგლისურსა და სხვადასხვა კომპიუტერულ პროგრამებს. აქვე ისიც წერია, რომ მას პროგრამული და ფინანსური ანგარიშების მომზადების მრავალწლიანი გამოცდილება აქვს. თითქოს არაფერი, მაგრამ ისიც ხომ ცხადია, რომ საქართველოში ჯერ არც ერთ ბავშვთა სახლს ამ უნარების მქონე დირექტორი არ ჰყოლია, და რომ ამ უნარების ქონა სხვადასხვა პროექტების განხორციელებისა და უცხოელ დონორ ორგანიზაციებთან საქმის დაჭერის შესაძლებლობას ნიშნავს. გუშინ საღამოს იგი და მაკა ჯახუა საერთაშორისო ორგანიზაციის წარმომადგენლებს უკვე ესაუბრებოდნენ დიღმის ბავშვთა სახლის პრობლემებზე.

არსებობს იდეა ამ სახლის ბაზაზე ბავშვთა სახლების თვისობრივად ახალი მოდელი ჩამოყალიბდეს. უნდა შეიქმნას სამეთვალყურეო საბჭო, რომლის ერთ-ერთი წევრი მედია ინსტიტუტი იქნება მუდმივი საინფორმაციო მხარდაჭერისათვის, ამ ბორდში ასევე უნდა შედიოდნენ მდიდარი ორგანიზაციის წარმომადგენლები და გამოცდილი მენეჯერები, რომლებიც დირექტორის საქმიანობაზე კონტროლსაც განახორციელებენ და მას სტრატეგიის დასახვასა და შემუშავებაში დაეხმარებიან. თუ ამ პროექტმა გაამართლა, საერთაშორისო ორგანიზაციები უკვე გამოთქვამენ მზადყოფნას, იდეის ავტორებს მის სხვა ბავშვთა სახლებში დანერგვაში დაეხმარონ.

P.S. ზემოთ მოგახსენეთ, რომ კახა ლომაიამ გუშინწინ დიღმის ბავშვთა სახლის უკლებლივ ყველა თანამშრომელი სამსახურიდან გაათავისუფლა, თუმცა, როგორც ირკვევა, გუშინ ისინი სამსახურის დატოვებაზე უარს აცხადებდნენ. როგორც ჩანს, საქმეში გამოძიების ჩართვა გახდება საჭირო, როგორც ამას, თავის დროზე, შინაგან საქმეთა მინისტრი გია ბარამიძე მოითხოვდა.

# "გამოძიება ბრალის წაყენებამდეა მისული"

პირველი გვერდიდან

„ომეგა-ჯგუფის“ საქმის გამომძიებლის ბაკურ ჩიქოვანის განმარტებით კი, ჯერჯერობით, არ არის გადაწყვეტილი, სასამართლოს სანქციის ვადის ამოწურვის შემდეგ (10 მარტი) მიეცემათ თუ არა „ომეგა-ჯგუფის“ თანამშრომლებს მუშაობის გაგრძელების უფლება. ჩიქოვანის განცხადებით, ამჟამად მიმდინარეობს ოფისებში დოკუმენტების შემოწმება, რომლის შემდეგაც ჩატარდება ინვენტარიზაცია.

შეგახსენებთ, რომ “ომეგაჯგუფის“ საწარმოები თბილისის მთაწმინდა-კრწანისის სასამართლოს სანქციის საფუძველზე 2004 წლის 19 თებერვალს დაილუქა. ამ დღეს გამომძიებლები ტელეკომპანია „იბერიას“ შენობაშიც შევიდნენ, თუმცა ამ ფაქტს გაუგებრობა დაერქვა და შენობა სპეცრაზმმა რამდენიმე საათში დატოვა.

დღემდე დალუქულია სტამბა „ომეგა-თეგი“ და თამბაქოს ფაბრიკა.

„ომეგა-ჯგუფის“ ოფისებში მოსალოდნელ ინვენტარიზაციას ადასტურებს გენერალური პროკურატურის საგამოძიებო ნაწილის უფროსი მოადგილე პაატა ჯაველიძეც. მისი თქმით, ”ომეგაჯგუფის” ოფისებში ინვენტარიზაციის შემდეგ შესაბამისი პროცესუალური პირების (მათ შორის – ადვოკატების) თანდასწრებით გაგრძელდება დაკითხვები და სხვა საგამოძიებო მოქმედებები. **”ინვენტარიზაციის ჩატარება აქამდეც უნდა მომხდარიყო, მაგრამ ეს პროცესი გაიწელა ”ომეგა-ჯგუფის” დამფუძნებლების მიერ მოწყობილი საპროტესტო აქციების გამო. ამ გამოსვლებს ჩვენ პასუხი არ გავეცით; უბრალოდ, არ ჩავთვალეთ საჭიროდ. არადა, იმისთვის, რომ მათთვის პასუხი გაგვეცა, საკმარისზე მეტი საფუძველი გაგვაჩნდა,”** – აცხადებს პაატა ჯაველიძე, რომლის ინფორმაციითაც: ”ომეგა-ჯგუფის” დამფუძნებელთა და მმართველთა დანაშაულებრივი საქმიანობის თაობაზე, გარდა კონტრაბანდის შესახებ აღძრული 32-ტომიანი საქმისა, სხვა საქმეებიცაა აღძრული და გამოძიება მიმდინარეობს. პაატა ჯაველიძის განცხადებით, გამოძიებას საკმარისზე მეტი მტკიცებულება მოეპოვება იმისთვის, რათა ”ომეგა-ჯგუფის” დამფუძნებლებს, რომელთაც აქამდე ხელშეუხებლობის იმუნიტეტი, ხოლო მანამდე ქვეყანაში არსებული პოლიტიკური რეჟიმი იცავდათ, ბრალი წაუყენონ და პასუხისგებაში მისცენ. **”საგამოძიებო მოქმედებები თითქმის ამოწურულია და გამოძიება ბრალის წაყენებამდეა მისული. მტკიცებულებები მოგვეპოვება ”ომეგა-ჯგუფის” დამფუძნებლებზე, მათ შორის - ზაზა ოქუაშვილზეც, რომლის წინააღმდეგ პროკურატურაში სხვა საქმეცაა აღძრული და მას სხვა საგამოძიებო ჯგუფი იძიებს,”** – ”24 საათთან” საუბრისას განაცხადა პაატა ჯაველიძემ.

გენერალური პროკურატურის მიერ ”ომეგა-ჯგუფის” კონტრაბანდობაზე აღძრულ საქმეში ახლა ზაზა ოქუაშვილისა და მისი მხარდამჭერების ადვოკატად ქცეული ირინა სარიშვილი-ჭანტურიას მიერ პროკურატურისთვის გადაცემულ იმ კასეტებსაც შეხვდებით, რომელზე დაყრდნობითაც სარიშვილი-ჭანტურიამ მაშინდელი შს მინისტრი კახა თარგამაძე სიგარეტის კონტრაბანდისტთა მფარველობაში დაადანაშაულა. გემახსოვრებათ, მაშინ ირინა სარიშვილის მძიმე ბრალდებების გამო (სარიშვილი მას უშუალოდ ”ომეგას” მფარველობაში ადანაშაულებდა) კახა თარგამაძე საიმპიჩმენტო პროცედურასაც კი ძლივს გადაურჩა. ”ომეგას” ახლანდელი ბატალიებისას კახა თარგამაძის სახელმა კვლავ გაიჟღერა. ხანგრძლივი დუმილის შემდეგ ამჟამად საზღვარგარეთ მყოფი შინაგან საქმეთა ყოფილი მინისტრი კახა თარგამაძე კატეგორიულად უარყოფს ”ომეგა-ჯგუფთან” რაიმე კავშირს და აცხადებს, რომ ბრალდებები, თითქოს ეს ფირმა სიგარეტის კონტრაბანდას ეწეოდა, ხოლო ამ საქმეში მას თარგამაძე მფარველობდა, ერთხელ და სამუდამოდ უნდა დასრულდეს.

**”ამ ფირმის ხელმძღვანელს თითქმის არ ვიცნობ და სულ ორჯერ მყავს ნანახი, ისიც ოფიციალურ შეხვედრებზე. ამიტომ ჩემსა და მას შორის რაიმე კავშირზე საუბარი აბსურდი და სისულელეა. და საერთოდ, ერთხელ და სამუდამოდ ეს თემა უნდა ამოიწუროს,** - აცხადებს ყოფილი შინაგან საქმეთა მინისტრი, - **მე თავის დროზე არჩევნებში აჭარის ხელმძღვანელობის საზიანოდ მოქალაქეთა კავშირის დახმარებასაც კი მაბრალებდნენ. ფირმა ”ომეგა” ბათუმშია რეგისტრირებული და ვეღარ გამიგია, რატომ უნდა დავხმარებოდი ამ ჯგუფს, თუკი არჩევნებში აჭარის ხელისუფლების დამარცხებისთვის ვზრუნავდი”.**

კახა თარგამაძე ”ომეგა-ჯგუფის” მიმართ პროკურატურის მიერ გატარებული ღონისძიებების შეფასებებისგან თავს იკავებს და აცხადებს, რომ საზღვარგარეთ იმყოფება და თითქმის არ იცის, რა ხდება საქართველოში.


*”საგამოძიებო მოქმედებები თითქმის ამოწურულია და გამოიება ბრალის წაყენებამდეა მისული.”*

*24 საათი*

# საქართველოში მცხოვრები ჩეჩენი ლტოლვილები ხელისუფლებისგან პასუხს ელიან

**”საქართველოში მცხოვრები ჩეჩენი ლტოლვილებისათვის ვარდების რევოლუცია ძალიან ეკლიანი აღმოჩნდა. საქართველოს ხელისუფლება რუსეთთან ურთიერთობის დათბობას ჩეჩენი ლტოლვილების გადაცემის ხარჯზე აპირებს”,** - ეს განცხადება ჩეჩენი ლტოლვილების სახელით გუშინ არასამთავრობო ორგანიზაცია „ყოფილი პოლიტპატიმრები — ადამიანის უფლებებისათვის“ ოფისში “კავკასიური სახლის“ ერთ-ერთმა წევრმა მექა ხანგოშვილმა გაახმოვანა.

მექა ხანგოშვილის თქმით, სამი კვირის წინათ თბილისიდან გამქრალი, მართლმსაჯულების მიერ გამართლებული ჰუსეინ ალჰანოვი და ბეკხან მულკოევი ესენტუკის საპყრობილეში იმყოფებიან. ამ ინფორმაციის წყაროდ მექა ხანგოშვილი დაკარგული ყოფილი ჩეჩენი პატიმრის მულკოევის დედას ასახელებს.

შეგახსენებთ, რომ იმ დროს, როდესაც ქართველ სამართალდამცველებს უშიშროების საბჭომ უგზოუკვლოდ დაკარგული ყოფილი პატიმრების პოვნის ვადად ერთი კვირა მისცა, რუსულმა საინფორმაციო სააგენტო „ინტერ-ფაქსმა” გაავრცელა ინფორმაცია, რომ ალხანოვი და მულკოევი ზემო ლარსის საკონტროლო გამშვებ პუნქტთან, საქართველო-რუსეთის საზღვარზე რუსმა სამართალდამცველებმა დააკავეს. არასამთავრობო ორგანიზაციის ”ყოფილი პოლიტპატიმრები – ადამიანის უფლებებისთვის” ოფისში შეკრებილებმა გუშინ კატეგორიულად გამორიცხეს რუსული საინფორმაციო საშუალებით გაჟღერებული ინფორმაციის სისწორე.

**”ალხანოვისა და მულკოევის მობილური ტელეფონები სახლიდან გასვლის შემდეგ ორ საათში უკვე გამორთული იყო, ხოლო მათ სულ ორი ლარი ჰქონდათ და საკუთარი ძალებით ვერ მოახერხებდნენ ზემო ლარსის საკონტროლო გამშვებ პუნქტამდე მისვლას, მით უმეტეს, რომ ამის სურვილი არც გააჩნდათ”,**- აცხადებს მექა ხანგოშვილი. იგი, ჯერჯერობით, ვერ აკონკრეტებს, მულკოევი და ალხანოვი ქართველმა სამართალდამცავებმა დააკავეს, თუ რუსეთის სპეცსამსახურის თანამშრომლებმა, თუმცა ირწმუნება, რომ ალხანოვისა და მულკოევის საზღვართან მიახლოება მათი ნებით არ მომხდარა.

მექა ხანგოშვილისვე ინფორმაციით, ქართულმა მხარემ 20 იანვარს რუსეთს სამი ლტოლვილი ჩეჩენი გადასცა, რომლებმაც საქართველოს თავშესაფარი სთხოვეს. ესენი არიან: ვისიტ კაზი მაგამედოვი, ადამ უმხანოვი და ახმეტ აკვულატოვი. ხანგოშვილის თქმით, არსებობს ინფორმაცია, რომ რუსეთში ექსტრადირება ემუქრება ყველა იმ ჩეჩენ ლტოლვილს, რომელიც ჩეჩნეთში მიმდინარე საომარ მოქმედებაში მონაწილეობდა. ამის დასტურად ხანგოშვილსა და ჩეჩენ ლტოლვილებს კვლავ ის ფაქტი მოჰყავთ, რომ მიმდინარეობს ჩეჩენ მამაკაცთა ახალი რეგისტრაცია, რომელიც აბსოლუტურად განსხვავდება ადრე ჩატარებული რეგისტრაციებისგან.

ჩეჩნები საქართველოს პრეზიდენტისადმი მიმართვის ტექსტს ამზადებენ და აცხადებენ, რომ საქართველოს უახლოეს ხანში დატოვებენ, თუ ხელისუფლება დაადასტურებს, რომ მათი უსაფრთხოების დაცვას ველარ ახერხებს.

**"თუკი ქვეყნის პირველი პირები რუსეთისთვის ჩეჩნების ამგვარი გზით გადაცემას ისევ აპირებენ, განაცხადოს ხელისუფლებამ, რომ დევნილების უსაფრთხოების დაცვა აღარ შეუძლია და საკუთარი ნებით სამ დღეში დატოვებენ საქართველოს,"** – აცხადებს ჩეჩენი ლტოლვილების სახელით მექა ხანგოშვილი.

საქართველოში ამჟამად 500 ჩეჩენი და 1000 ქისტი დევნილი იმყოფება. ძალოვანები კვლავ კატეგორიულად უარყოფენ ჩეჩნების რუსეთის მხარისთვის გადაცემის ფაქტს.

*24 საათი*

# შსს-მ რეფორმისკენ სვლა დაიწყო

*შსს-ში რეფორმის პირველი ეტაპი დაიწყო. ორასზე მეტმა თანამდებობის პირმა (მათ შორის - მინისტრის მოადგილეებმა, სამმართველოს უფროსებმა და მათმა მოადგილეებმა) მინისტრის ბრძანება შეასრულა და თანამდებობიდან გადადგომის შესახებ განცხადებები დაწერა. ამჟამად ყველა თანამდებობის პირი საქმიანობას მოვალეობის შემსრულებლის სტატუსით განაგრძობს.*

შსს-ში აცხადებენ, რომ გადადგომის პროცესი სისტემის რეორგანიზაციასთანაა დაკავშირებული და არ ნიშნავს იმას, რომ ყველა თანამდებობის პირს, ვისაც განცხადება აქვს დაწერილი, სამსახურიდან გაუშვებენ. თუმცა, კადრების შემცირება გარდაუვალი იქნება, ვინაიდან დაგეგმილი რეორგანიზაცია ზოგი სამსახურისა და სამმართველოს გაერთიანებას, ზოგის კი, საერთოდ გაუქმებას ითვალისწინებს. კადრების შემცირების პროცესი, გარდა თანამდებობის პირებისა, სხვა თანამშრომლებსაც შეეხებათ, მათ შორის - ტექნიკურ მუშაკებსაც. თუმცა, როგორც შსს-ში აცხადებენ, მასიური დათხოვნა არ განხორციელდება. რეორგანიზაციის პროცესი მოკლე ვადაში ჩატარდება, ხოლო თანამშრომელთა დანიშვნა ხელახალი გასაუბრების საფუძველზე მოხდება.

ბოლო პერიოდამდე შსს-ში 29 ათასი თანამშრომელი მუშაობს, მათ შორის არიან შინაგანი ჯარის მოსამსახურეები.

შინაგან საქმეთა მინისტრმა გიორგი ბარამიძემ დამჯერე ხელქვეითებს - პოლიციის სამმართველოს უფროსებსა და მათ მოადგილეებს, მათ - ვინც მისი ბრძანება პროტესტის გარეშე შეასრულეს, მადლობა გადაუხადა. მინისტრის განცხადებით, რეორგანიზაციის პროცესი საკადრო ცვლილებებსაც ითვალისწინებს და ამ პროცესს ყველა თანაბარ პირობებში უნდა შეხვედროდა. შს მინისტრი პოლიციის ზოგადი მუშაობით უკმაყოფილოა. მისი თქმით, შინაგან საქმეთა სამინისტროს უწყება ჯერ კიდევ არ არის რეფორმირებული და იგი ქვეყანაში ერთ-ერთ კორუმპირებულ სისტემად კვლავ რჩება, ამიტომაც, მისი თქმით, უწყება კორუფციისგან უნდა გათავისუფლდეს და საზოგადოებაში პოლიციისადმი ნდობა ამაღლდეს.

ბარამიძე აცხადებს, რომ მის მიერ განხორციელებული საკადრო ცვლილებები რადიკალური არ იქნება, რადგან მისი მინისტრად დანიშვნის შემდეგ პოლიციის ყველა განყოფილებისა და სამმართველოს უფროსი თითქმის ასი პროცენტით შეიცვალა. მისივე თქმით, ახლა შეიცვლება მხოლოდ რამდენიმე სამსახურის უფროსი. კონკრეტული კანდიდატურების დასახელებისგან მან, ჯერჯერობით, თავი შეიკავა.

ჩვენ ხელთ არსებული ინფორმაციით, საგზაო პოლიციის ახალი უფროსი ვასილ მარგალიტაძე გახდება. მან შეთავაზება უკვე მიიღო და, სავარაუდოდ, უახლოეს დღეებში მისი დანიშვნაც განხორციელდება. ვასილ მარგალიტაძე ნუგზარ საჯაიას კადრია, იგი უშიშროების საბჭოში, ხოლო შემდეგ უშიშროების სამინისტროს აპარატის უფროსად მუშაობდა. მარგალიტაძე წესიერი პროფესიონალის იმიჯით სარგებლობს.


*ბარამიძე აცხადებს, რომ მის მიერ განხორციელებული საკადრო ცვლილებები რადიკალური არ იქნება*

*24 საათი*


როგორი უნდა იყოს სკოლა რომელშიც ჩვენი შვილები სწავლობენ?

ეს უპირველეს ყოვლისა ჩვენ თავად უნდა გადავწყვიტოთ!

საქართველოს არაერთ სკოლაში მშობლებმა უკვე აირჩიეს სამეურვეო საბჭოები და ჩაერთნენ სასკოლო ცხოვრებაში.
თუ თქვენ გსურთ, რომ იმ სკოლაში სადაც თქვენი შვილი სწავლობს შეიქმნას ასეთი საბჭო, გაინტერესებთ საბჭოების მუშაობის პრინციპი და პრაქტიკა

დაგვიკავშირდით ტელეფონზე
93 66 15
თავისუფლების ინსტიტუტთან არსებულ იურიდიულ სამსახურში.

პროექტს ახორციელებენ: "ასოციაცია ALPE", "თავისუფლების ინსტიტუტი" და "სამართლიანი არჩევნები", ფედერაცია "გადავარჩინოთ ბავშვები"-სა და "USAID" ის მხარდაჭერით;

ერთად ავაშენოთ ჩვენი სკოლა

ALPE

USAID

Save the Children


# ვალერი ხაბურძანია მოპარულ ტრიპტიკონს საქართველოში რამდენიმე დღეში ჩამოიტანს

*გენერალური პროკურორის პირველი მოადგილე ვალერი ხაბურძანია უახლოეს დღეებში შვეიცარიაში გაემგზავრება და ცხინვალის მუზეუმიდან წლების წინ მოპარულ მეათე საუკუნის ტრიპტიკონს საქართველოში დააბრუნებს.*

ვალერი ხაბურძანიას განცხადებით, ცხინვალის მუზეუმიდან დაკარგული მეათე საუკუნის სპილოს ძვლით შემკული ტრიპტიკონი 2001 წლის თებერვალს, შვეიცარიაში გამართულ კრისტის აუქციონზე აღმოაჩინეს.

შეგახსენებთ, რომ ტრიპტიკონი შვეიცარიის კრისტის აუქციონზე ხუთმა უცნობმა მიიტანა. აუქციონის თანამშრომლებმა, რომლებიც მიხვდნენ, რომ საკმაოდ ძვირადღირებულ ხელოვნების ნიმუშთან ჰქონდათ საქმე, ექსპერტები მოიწვიეს, რომლებმაც დაადგინეს, რომ ხატი ცხინვალის მუზეუმის საგანძურის კუთვნილება იყო. ექსპერტთა შეფასებით, ხატის ღირებულება მილიონი გირვანქა სტერლინგია.

კრისტის აუქციონმა შეტყობინება ჟენევის პოლიციას მიაწოდა, რის შემდეგაც შვეიცარელმა სამართალდამცველებმა ხატის აუქციონზე მიმტანი ხუთი პიროვნება დააკავეს და აღძრეს სისხლის სამართლის საქმე. მომხდარის თაობაზე ინფორმაცია საქართველოს ინტერპოლსაც მოუვიდა, რის შემდეგაც სისხლის სამართლის საქმე საქართველოშიც, უშიშროების სამინისტროშიც აღიძრა. გამოძიებამ ცხინვალის მუზეუმის დირექტორი და თანამშრომლები დაკითხა. მათი თქმით, ტრიპტიკონი მუზეუმში მართლაც იყო, მაგრამ იგი ათი წლის წინ დაიკარგა.

**“ტროპტიკონი იმ დროს დაიკარგა, როცა ველარ ვაკონტროლებდით ცხინვალს. მართალია, საქმე აღიძრა, მაგრამ მას, ფაქტობრივად, პერსპექტივა არ გააჩნია. შვეიცარიის მთავრობამ კეთილი ნება გამოიჩინა და ტრიპტიკონი საქართველოს დაუბრუნა. ამან ცხინვალის სეპარატისტული მთავრობა ძალზე გაალიზიანა, რადგან განაცხადეს, რომ ხატი მათი კუთვნილებაა,”** – ჩვენთან საუბრისას განაცხადა ვალერი ხაბურძანიამ, რომლის უშიშროების მინისტრად მუშაობის დროსაც მოხდა წლების წინ მოპარული ტრიპტიკონის საქართველოსთვის დაბრუნება.

*24 საათი*

# როგორ დაინგრა ქართული განათლება

ოთარ ქირია

ამჟამინდელი ხელისუფალნი თავის დროზე საქართველოს განათლების სამინისტროს და სფეროს მესვეურთა მოღვაწეობას თავგამოდებით აკრიტიკებდნენ. სააკაშვილი კარტოზიას წინააღმდეგ შიმშილობისა და აქციების მთელი სერიალის ავტორად მოიაზრებოდა. ჟვანიას თანაგუნდელმა მაღლაფერიძემ, რომელიც დღესაც პარლამენტის განათლების ქვეკომიტეტის თავმჯდომარეა, განათლების სამინისტროს ხელმძღვანელობა ათობით კანონდარღვევაში ამხილა. იყო სხვა ექსპერტული თუ საუწყებო დასკვნები. კარტოზიასა და მისი მოადგილეების მაკომპრომეტირებელი დოკუმენტები მედიაში ლამის ყოველდღე ფრიალებდა, მათ პრეზიდენტთანაც ასმენდნენ. თუმცა - არაფერი. განათლების ექსმინისტრი, რომელსაც, სხვათა შორის, ჟვანიას კადრად მოიაზრებდნენ, მხოლოდ "ვარდების რევოლუციამ" მოხსნა.

დღეს განათლების მინისტრის პოსტი უკავია ადამიანს, რომელიც განათლების სამინისტროს წინააღმდეგ წარმართული კამპანიის საფინანსო წყაროს - "სოროსის ფონდს" - ხელმძღვანელობდა. აღსანიშნავია, რომ კარტოზიას კორუფციისა და უნიათობის გარდა სერიოზულად აკრიტიკებდნენ იმ 60-მილიონიანი კრედიტის გამო, რომელიც განათლების სამინისტროს მსოფლიო ბანკმა გამოუყო. არასამთავრობო ორგანიზაციები, პარლამენტართა დიდი ნაწილი და ექსპერტები მიიჩნევენ, რომ კრედიტი მიმართულია ქვეყნის განათლების სისტემის განადგურებისაკენ. მდგომარეობა იქამდეც კი მივიდა, რომ დეპუტატები მსოფლიო ბანკის კრედიტის შეჩერებაზე ალაპარაკდნენ. თუმცა, ეს არ მოხდა.

დღეს, როცა ხელისუფლებაში სხვა ძალაა მოსული, რა თქმა უნდა, საინტერესოა, რა ბედი ელის მსოფლიო ბანკის პროექტს, თუმცა, ამაზე საუბარი ჯერ ნაადრევია. არც უმაღლეს ხელისუფლებას, არც თავად სამინისტროს განცხადებები ამ საკითხთან დაკავშირებით არ გაუკეთებიათ. ჯერ ამისთვის არ სცალიათ. რისთვის უნდა მოიცალოს კახა ლომაიამ ამჯერად, როგორ დაინგრა საქართველოს განათლების სისტემა და რამდენ მილიონს მოგვთხოვს მსოფლიო ბანკი?

მაშ ასე, დღევანდელი მდგომარეობით, საქართველოს განათლების სისტემაში არსებული დარღვევების, საკანონმდებლო შეუსაბამობებისა და ვაკუუმის ჩამონათვალი ასეთია:

1. 1997 წლამდე უნდა დამტკიცებულიყო სახელმწიფო საგანმანათლებლო პროგრამებისა და სტანდარტების შემუშავების დებულება, 1999 წელს კი - თავად პროგრამები და სტანდარტები. სასწავლებლებს კანონით ევალებოდათ სტანდარტის შესაბამისად ფუნქციონირება, მაგრამ სტანდარტი არ არსებობდა. აღნიშნულის გამო, გამოიცა პრეზიდენტის სპეციალური ბრძანებულებაც "განათლების სფეროში 2000-2001 სასწავლო წლის სახელმწიფო დაკვეთის შესახებ". არც ერთი მათგანი არ აღსრულებულა.

პროგრამები და სტანდარტები მხოლოდ ნაწილობრივ შეიქმნა, თუმცა, ექსპერტების აზრით, ისინი იმდენად არაპროფესიონალურადაა მომზადებული, მათ არსებობას არც აქვს მნიშვნელობა. მაშინდელი განათლების მინისტრი კარტოზია აცხადებდა, რომ სტანდარტებისა და პროგრამების შემუშავება, გარკვეულწილად, მსოფლიო ბანკის კრედიტზე იყო დამოკიდებული, თუმცა სამინისტრო არ აკონკრეტებდა არც ვადებს, არც ვალდებულების აღსრულების გეგმებს. აღსანიშნავია, რომ ქვეყანას არც პროგრამებისა და სტანდარტების შემუშავების წესი გააჩნია.

2. 1998 წელს, ერთი წლის დაგვიანებით, შეიქმნა და დამტკიცდა უმაღლეს სასწავლებელთა აკრედიტაციის საბჭოს დებულება და პერსონალური შემადგენლობა. 31 კაციან საბჭოს უნდა შეემუშავებინა და დაემტკიცებინა სასწავლებელთა ევრო-აკრედიტაციის საკითხები. თუმცა, საბჭო არც ერთხელ არ შეკრებილა. "24 საათის" ინფორმციით საბჭოს წევრები ერთმანეთსაც არ იცნობდნენ. აკრედიტაციის პროცესი, ფაქტობრივად, ჩაიშალა. საბჭო ვერც ამ ფაქტმა შეკრიბა. მოგვიანებით, გამოიცა პრეზიდენტის სპეციალური ბრძანებულება, რომელსაც წარმოქმნილი ვაკუუმი უნდა ამოევსო და განათლების სამინისტროს 2002-2001 სასწავლო წლის სახელმწიფო დაკვეთის საკითხებთან ერთად აკრედიტაციის პრობლემის მოგვარებასაც ავალდებულებდა. აღნიშნული არ შესრულებულა.

საგულისხმოა, რომ "განათლების რეფორმის" პროექტის ფარგლებში, აკრედიტაციის საკითხებზე 382867 ლარი დაიხარჯა, განათლების სამინისტროს ინფორმაციით იმავე მიმართულებით 459063 ლარი დაიხარჯა. ნებისმიერ შემთხვევაში, საქართველოში უმაღლესი სასწავლებლების აკრედიტაციის პროცესი ადილიდან არ დაძრულა. ერთადერთი სასწავლებელი, რომელიც ევროსტანდარტებს ოდნავ მიუახლოვდა, სახელმწიფო სამედიცინო უნივერსიტეტია, ესეც საკუთარი ძალისხმევით, თორემ განათლების სამინისტროს ამ პროცესში წვლილი არ მიუძღვოდა.

3. სახელმწიფოს ფინანსური სისუსტის გარდა, განათლების სისტემაში არსებულ ქაოსს ფინანსების მართვის მექანიზმების არარსებობა იწვევს. მექნიზმი განსაზღვრავს თანხის რაოდენობას, რომელიც საჭიროა სისტემის გამართული მუშაობისთვის. შედეგად მტკიცდებოდა გეგმები და ნორმატივები, რომელიც არარეალური, უკონტროლო და, რაც მთავარია, კანონსაწინააღმდეგოა.

კანონის თანახმად, სახელმწიფო პროგრამებისა და სტანდარტების დამტკიცებიდან ექვსი თვის ვადაში უნდა დამტკიცდეს მათი ფინანსური ნორმატივები. გამომდინარე იქიდან, რომ ზემოხსენებული არ შემუშავებულა, კანონგარეშე აღმოჩნდა ყველა ის ფინანსური ნორმატივი, რომელიც განათლების სამინისტრომ ფინანსთა სამინისტროსთან ერთად მიიღო.

4. გამომდინარე იქიდან, რომ ქვეყანას არ გააჩნდა სახელმწიფო სტანდარტები და პროგრამები, ასევე - (კანონის ფარგლებში მოქცეული) ფინანსური ნორმატივები, ქვეყანას არ გააჩნია სახელმწიფო დაკვეთა. მას, კანონით, განათლების სამინისტრო ეკონომიკის, ფინანსთა და სხვა დარგობრივ სამინისტროებთან ერთად შეიმუშავებს და პრეზიდენტს წარუდგენს დასამტკიცებლად. 2000 წელს პრეზიდენტმა ამ საკითხის რეგულირებისათვის გამოსცა სპეციალური ბრძანებულება, თუმცა, ტრადიციულად, არც ის შესრულებულა. პასუხი არც არავის მოუთხოვია. შესაბამისად, არათუ დაკვეთა, არამედ მისი შემუშავების წესიც არ გაგვაჩნია. არადა, წესით, სწორედ ამ მაჩვენებელზეა დამოკიდებული, რამდენი მოსწავლე, სტუდენტი იქნება ქვეყანაში; რამდენით დააფინანსებს ერთ მოზარდს სახელმწიფო და ა.შ. ამ საკითხის მოუგვარებლობა, ალბათ, იმისთვის იყო საჭირო, რომ უმაღლეს სასწავლებლებში აბიტურიენტთა განუსაზღვრელი რაოდენობა მოხვედრილიყო, რაც, როგორც წესი, შავი შემოსავლების სერიოზული წყაროა უმაღლესებში.

5. სრულიად გაურკვეველი ვითარებაა პედაგოგთა ატესტაციისა და კვალიფიკაციის ამაღლების სფეროში. ერთი მხრივ ის, პრიორიტეტადაა ცნობილი, მეორე მხრივ კი განათლების მესვეურები აცხადებდნენ, რომ პროცესს სამართლებრივი საფუძველი არ გააჩნია და შესაბამისად, წარუმატებლად წარიმართა. ატესტაცია 1996 წელს დაიწყო, თუმცა ამ დროისთვის განათლების შესახებ კანონი ძალაში არ იყო შესული. დადგა ატესტაციის ახალი პირობების შემუშავების აუცილებლობა. აღნიშნული 1998 წლის აგვისტომდე უნდა მიღებულიყო, თუმცა სამინისტრომ ეს ვერ მოახერხა და შესაბამისად, პროცესი მომავალშიც უკანონოდ წარიმართა. ამგვარი წინააღმდეგობრიობის გამო რიგ რაიონებში ატესტაცია საერთოდ არ ჩატარებულა, ზოგან კი ატესტაცია კორუფციისა და მოსყიდვის კერად იქცა. დაირღვა განათლების შესახებ კანონის რიგი მუხლები, შეფერხდა პედაგოგთა კვალიფიკაციის ამაღლების პროცესი, რამაც, ექსპერტების შეფასებით, საფრთხის წინაშე დააყენა ქვეყანაში საერთოდ განათლების პროცესის განვითარება.

6. გამომდინარე იქიდან, რომ აკრედიტაციის პროცესი არ დაიწყო, 2000 წლის 27 ივნისის შემდეგ გაცემულ არც ერთ სერტიფიკატს სახელმწიფო სტატუსი არ გააჩნია. ამასთან, არ დაკმაყოფილდა კანონის მოთხოვნა სერტიფიკატების ახალი ნიმუშის შემუშვების თაობაზე. ექსპერტების აზრით, შექმნილი საკანონმდებლო ვაკუუმი, აუცილებლად წარმოშობს სერიოზულ გაუგებრობას საგანმანათლებლო დაწესებულებებსა და სტუდენტებს თუ მოსწავლეებს შორის. კანონის მოთხოვნათა შეუსრულებლობის გამო ზარალდება სტუდენტი, ზიანის ანაზღაურება კი, კანონით, დაწესებულებას ეკისრება. აღნიშნული გაუგებრობა სასწავლებლების ბრალი არაა და კანონის თანახმად მათ შეუძლიათ, ზიანის ანაზღაურების შესახებ უკუმოთხოვნა სახელმწიფოს წარუდგინონ. ანუ, ერთ დროს, როცა სტუდენტები გააცნობიერებენ, რომ მათ დიპლომ-სერტიფიკატებს (2000 წლის 27 ივნისის შემდეგ გაცემული) სახელმწიფო სტატუსი არ გააჩნია და პროტესტით უმაღლესებს მიმართავენ, სასწავლებლები აუცილებლად ამ ტვირთს სახელმწიფოს დააკისრებენ და ესეც განათლების ახალი მინისტრის თავსატეხი იქნება.

ძალიან რომ არ გაგვიგრძელდეს, რამდენიმე საკითხს უბრალოდ ჩამონათვალის სახით გთავაზობთ. მოკლედ, არ დამტკიცებულა: 1. ქართული ენის, საქართველოს ისტორიისა და საქართველოს გეოგრაფიის სწავლების სახელმწიფო ფორმები; 2. არ შემუშავებულა ატესტაციის კრიტერიუმები, წესი და დისციპლინათა ნუსხა, რომლებიც განაპირობებენ პედაგოგის მოღვაწეობის უფლებას; 3. არ დამტკიცებულა სასწავლო დაწესებულებათა სტატუსი და ტიპური დებულებები; 4. არ შექმნილა განათლების განყოფილების ტიპური დებულება; 5. არ განსაზღვრულა სახელმწიფო საგანმანათლებლო ცენზი, აკადემიური ხარისხები და მათი მინიჭების წესი; 6. არ შემუშავებულა როგორც პედაგოგთა, ისე მოსწავლეთა ატესტაციის და სერტიფიკაციის დებულებები, ასევე ექსტერნატის ფორმით მიღებული განათლების სერტიფიცირების და უცხოეთში მიღებული განათლების დამადასტურებელი სერტიფიკატისთვის სახელმწიფო საგანმანათლებლო ცენზის მინიჭების დებულებები.

ამ და სხვა უამრავი დარღვევების შესახებ დასკვნები დევს პარლამენტის განათლების ქვეკომიტეტში, საგამოძიებო კომისის არქივში, კონტროლის პალატაში, სხვადასხვა არასამთავრობო ორგანიზაციაში და ა.შ. ერთი სიტყვით, სანამ ახალი მინისტრი ამ ყველაფერში გაერკვევა, დიდი დროც გავა. მას ასევე მოსაგვარებელი აქვს საკადრო საკითხები, რომელიც უმძიმეს მდგომარეობაშია. სისტემაში დღემდე ღრმადაა ფესვგადგმული კორუფცია სხვადასხვა სახით - ე.წ. შემოწირულობის სახელით მიღებული მოსაკრებლები, დირექტორთა დანიშვნები, მაფიის დონემდე მისული სახელმძღვანელოების "ბიზნესი", კაპიკებში განიავებული განათლების სისტემის ბალანსზე რიცხული შენობები და ა.შ. სხვათა შორის, კანონით განათლების ობიექტების პრივატიზება აკრძალულია, თუმცა სამინისტროს და ქალაქის ხელისუფლებას არაერთხელ "ჩამოუწერიათ" სხვადასხვა საინტერესო ნაგებობები. მაგალითად, კრწანისში არსებული მოსწავლეთა სასახლე, რომელიც აშენებიდან 30 წელსაც არ ითვლის, მშვენივრად გამოიყურება, თუმცა განათლების ექსმინისტრის მოადგილემ სანაძემ და თბილისის ხელისუფლებამ ვინმე მოსიაშვილს მიყიდეს – "აქაოდა ინგრევაო".

ერთი სიტყვით, მდგომარეობა უმძიმესია. მსოფლიო განათლებაზე სულ უფრო და უფრო მეტ თანხებს გამოყოფს, ქართული განათლება კი უკუნეთისკენ მიექანება. ამაზე მეტყველებს გაეროს ბავშვთა ფონდის მიერ შარშან გამოქვეყნებული ციფრები. მაშინ, როცა 1989 წლიდან ლიტვაში 63 პროცენტით, ლატვიაში 60-ით, ესტონეთში 56-ით, პოლონეთში 55-ით, ხოლო ჩეხეთში 34 პროცენტით იზრდებოდა განათლების ხარჯი ერთ მოსაწავლეზე, საქართველოში ამ ციფრმა 98 პროცენტით ანუ ნულამდე დაიწია. ალბათ ამიტომაც, გასაკვირი არ უნდა იყოს, რომ დღევანდელი ხელისუფლება უცხოეთში მიღებულ განათლებას ანიჭებს უპირატესობას, თუმცა ეს ცალკე პრობლემაა, რამეთუ ბევრს ჯავახიშვილის, ჭავჭავაძის, გოგებაშვილის, ვეკუას, თოიძის, ნიკოლაძის თუ სხვათა შეურაცხყოფად მიაჩნია. ამ ყველაფრის შედეგად ე.წ. "მაწანწალა ბავშვების", ბავშვთა კრიმინალის, მოზარდებში თრეფიქინგის და სხვათა მაჩვენებლები ერთი ათად მაღალია, ვიდრე ეს, თუნდაც, 10 წლის წინათ იყო. არ გვინდა დავიჯეროთ, რომ ქვეყანას განათლებული ახალგაზრდები აღარ სჭირდება.

# კიდევ ერთხელ გამოცდების შესახებ

კახა ჭამბურია
"შეფასების ცენტრის"
ქართული ენისა და ლიტერატურის ჯგუფის ხელმძღვანელი

განათლების მინისტრმა, ბატონმა კახა ლომაიამ უკვე არა ერთხელ განაცხადა, რომ უმაღლესი სასწავლებლების მისაღები გამოცდების მოდელი უნდა შეიცვალოს. ეს აშკარად თანხვდება საზოგადოების დაკვეთას: დიდი ხანია ყველას მობეზრდა ის, რაც ხდება მისაღებ გამოცდებზე ჩვენს უმაღლეს სასწავლებლებში. ამის შესახებ უკვე იმდენჯერ ითქვა, რომ თავიდან გამეორებას აზრი არა აქვს. ცხადია, რომ არსებული სიმახინჯე უნდა შეიცვალოს მთელ ცივილიზებულ მსოფლიოში კარგად აპრობირებული სახელმწიფო გამოცდების ტესტური მოდელით, რომელიც, სხვათა შორის, უკვე პოსტსაბჭოთა (ვთქვათ, ყირგიზეთში, ან ბალტიისპირეთის) ქვეყნებშიც საკმაოდ დიდი წარმატებით მუშაობს.

დარწმუნებული ვარ, ვერავინ იკამათებს იმის თაობაზე, რომ მისაღები გამოცდების ახალი მოდელის შემუშავების დროს უაღრესად დიდი მნიშვნელობა ექნება ქართული ენისა და ლიტერატურის გამოცდას, რომლის ჩაბარებაც, ალბათ, ლოგიკური იქნება, ყველა აბიტურიენტს მოეთხოვოს. ამ თვალსაზრისით უკვე არსებობს გარკვეული გამოცდილება, რაც შესაძლოა, ფართო საზოგადოებისთვისაც საინტერესო იყოს.

მახსენდება ყველაფერი ის, რაც უკანასკნელი ოთხი წლის მანძილზე მოვისმინე ტესტირების მოწინააღმდეგეთაგან: ჩვენი კულტურა საფრთხეშია, ებრძვიან ჩვენს სულიერ საუნჯეს! - ასეთი იყო პირველი რეაქცია, როდესაც საზოგადოებას წარვუდგინეთ მშობლიური ენისა და ლიტერატურის ცოდნის შეფასების ახალი მეთოდი - ტესტური გამოცდა.

კარგა ხანი (მრავალი წერილი, დისკუსია და საჯარო განხილვა) დასჭირდა იმ შედეგის მიღწევას, რაც ბოლოდროინდელმა სოციოლოგიურმა გამოკვლევამ აჩვენა: პედაგოგებისა და მოსწავლეების უმრავლესობა მიიჩნევს, რომ ტესტირება, გამოცდის ძველ ფორმასთან შედარებით, გაცილებით უკეთ ავლენს ბავშვის ცოდნასა და შესაძლებლობებს, თანაც უდავოდ უფრო ობიექტური მეთოდია, ვიდრე მანამდე არსებული გამოკითხვის წესი (ის პედაგოგი კი, რომელმაც პირველმა მკაცრად გაგვაკრიტიკა პრესაში, დღეს ძალზე ნაყოფიერად თანამშრომლობს ჩვენს ჯგუფთან).

იმთავითვე ვცდილობდი ჩემი კოლეგების - ქართულის მასწავლებლებისა და ცნობილი ლიტერატორების - დარწმუნებას იმაში, რომ თანამედროვე პედაგოგიკის მიღწევებისა და ევროპული მოდელების გათვალისწინება თავისთავად არავითარ საფრთხეს არ შეიცავს. საშიში მხოლოდ ბრმა ეპიგონობაა ან მისი საწინააღმდეგო პოლუსი - პროვინციული ამპარტავნობა: რაკი უძველესი კულტურის ერი ვართ, ამიტომ არავისგან არაფერი გვესწავლება.

სავსებით გასაგებია, საიდან მოდის უცხოელებისა ან მათი კულტურული ექსპანსიის შიში: ორი საუკუნის მაძილზე იცავდა ჩვენი ერი თავის კულტურულ თავისთავადობას და არ უნდა იყოს გასაკვირი, რომ დღემდე გრძელდება ეს ინერცია. მაგრამ, დღეს დასავლური კულტურისთვის სრულიად უცხოა ასეთი აგრესიულობა და სწრაფვა სხვა ერების ასიმილაციისკენ.

არც მსოფლიო ბანკის კონსულტანტებთან ურთიერთობა შეიცავს რაიმე საფრთხეს ამ თვალსაზრისით. ბოლოს და ბოლოს, ეს კონსულტანტები რომელიმე ქვეყნის საიდუმლო სამსახურების აგენტები კი არ არიან, არამედ საუკეთესო პროფესიონალები და მსოფლიოში აღიარებული განათლების ექსპერტები. როდესაც ქართულის ჯგუფმა დაასრულა თავისი თანამშრომლობა ჰოლანდიელ კოლეგებთან (შეფასების სისტემის შესწავლა სწორედ იქ დავიწყეთ და მერე გავეცანით სხვა ქვეყნების გამოცდილებას), მსოფლიო ბანკმა შემოგვთავაზა საერთაშორისო ექსპერტების დაქირავება. ქართულის ჯგუფის კონსულტანტად საგანგებოდ შეარჩიეს ქართველი სპეციალისტი - არნოლდ ჩიქობავას მოსწავლე, წლების განმავლობაში ენათმეცნიერების ინსტიტუტის წამყვანი თანამშრომელი, პროფესორი ნათელა სტურუა, რომელიც უკვე კარგა ხანია განათლების საერთაშორისო ამერიკული საბჭოების ექსპერტია. სწორედ მისი უშუალო კონსულტაციების შედეგად მოახერხა ჩვენმა ჯგუფმა ისეთი წერითი დავალების შემუშავება, რომელიც წერის კულტურასთან ერთად ამოწმებს არგუმენტირების უნარს, დამოუკიდებელ აზროვნებას და, რაც მთავარია, ასეთი ნაწერი სტანდარტიზებული და უნიფიცირებული შეფასების სქემით სწორდება. ანუ, შესაძლებელი აღმოჩნდა ე.წ. თავისუფალი თემა ყველა გამომცდელმა, მიუხედავად გემოვნებისა, ერთნაირად შეაფასოს (ეს დავალება უკვე აპრობირებულია, ჩვენი პედაგოგების ერთსულოვანი მოწონებით სარგებლობს და შეტანილი იქნება IX კლასის საგამოცდო ტესტებში).

ჩვენი უცხოელი კოლეგები ქართულ კულტურას კი არ ემტერებიან, არამედ დიდ პატივს სცმენ, რაც ნათლად ჩანს ამ მაგალითითაც:

როცა უმაღლესი სასწავლებლების მისაღები გამოცდების მოდელის შეცვლაზე საუბრობენ, იგულისხმება სრულიად ახალი ტიპის ტესტური გამოცდები. თუ სხვა საგნებში შეიძლება მოწინავე ქვეყნების გამოცდილება გავიზიაროთ, ერთი შეხედვით თავისთავად ცხადი ჩანს, რომ ასეთი რამ არ მოხერხდება ქართული ენისა და ლიტერატურის გამოცდის მომზადების დროს. მაგრამ, ეს მცდარი აზრია, რადგან ამ გამოცდაზე, თქვენ წარმოიდგინეთ, ევროპაში უკვე მუშაობენ! როგორც არ უნდა გაუკვირდეს ჩვენს მკითხველს, ქართული ლიტერატურის ამ დონის გამოცდა (High Level ან A Level, როგორც ამას უწოდებენ ევროპაში) საქართველოში კი არა, საერთაშორისო ბაკალავრიატის ორგანიზაციაში (IBO) შეიქმნა. ეს ორგანიზაცია თავდაპირველად შვეიცარიაში დაარსდა, მაგრამ დღეს უკვე ამ ტიპის სკოლები მთელ მსოფლიოს მოედო; სათავო ოფისი კი ქალაქ კარდიფში (დიდ ბრიტანეთში) მდებარეობს. დიახ, რამდენადაც პარადოქსულად არ უნდა ჟღერდეს ეს - ქართული ლიტერატურის იმ ტიპის გამოცდის ფორმატი, რომელმაც ჩვენს რეალობაში მისაღები გამოცდების აშკარად მოძველებული ვარიანტი უნდა ჩაანაცვლოს, უკვე მოფიქრებულია და იგი გაერთიანებულ სამეფოში მზადდება.

საქმე ის არის, რომ ევროპელები უაღრესად უფრთხილდებიან საკუთარ კულტურასა და ლიტერატურას, რომელსაც შესანიშნავადაც ასწავლიან და ძალიან ზუსტადაც აფასებენ სწავლების შედეგს. ასეთ ღირებულებებზე ორიენტირებული ადამიანები კი, როგორც წესი, სხვის სულიერ მონაპოვარსაც აფასებენ და პატივს სცემენ. ამიტომაც თვლიან, რომ ყველა ადამიანს, რომელსაც საერთაშორისო ბაკალავრიატის დიპლომის აღება სურს, უფლება აქვს, მშობლიურ ენაზე ჩააბაროს გამოცდა ლიტერატურაში, ანუ დიპლომის ასაღებად აუცილებლად ჩასაბარებელი გამოცდებიდან ერთ-ერთი მშობლიური ლიტერატურაა. რამდენადაც ჩემთვის ცნობილია, წელს მათ ქართული ლიტერატურის გამოცდის ჩაბარების მსურველები არ ეყოლებათ, მაგრამ გაისად უკვე იქნებიან. თავიდან არც ისე ბევრს ელიან, მაგრამ ვარაუდობენ, რომ მათი რიცხვი თანდათან მოიმატებს.

ჩვენც არ გვაწყენს საუკეთესო ექსპერტების მიერ შემუშავებული ამ მოდელის შესწავლა და გათვალისწინება მაშინ, როდესაც ვემზადებით ანალოგიური გამოცდების ჩასატარებლად.

სწორედ ევროპელებისგან ვისწავლეთ ის, თუ როგორ უნდა შეაფასო მოსწავლის კითხვის უნარი და ამ მეთოდის გამოყენებამ IX კლასის სახელმწიფო გამოცდებზე მეტად საგულისხმო დასკვნების გამოტანის საფუძველი მოგვცა: მოსწავლეებმა, რომლებმაც საერთოდ ვერ უპასუხეს აგიოგრაფიულ და "ვეფხისტყაოსნის" მასალაზე დასმულ კითხვებს, მშვენიერი შედეგი აჩვენეს ტესტის იმ ნაწილში, სადაც უცნობი ტექსტის გაგებისა და გააზრების უნარი მოწმდებოდა.

ტესტირების სამივე წელს სურათი ერთგვაროვანი აღმოჩნდა: მთელი წლის მანძილზე ნასწავლი მასალა ბავშვებისთვის დაუძლეველია, პირველად ნანახი ტექსტის ანალიზი კი - სავსებით შესაძლებელი. ვისაც ჩვენი ჯგუფის მიერ მომზადებული ტესტები არ უნახავს, ტყუილად ნუ იფიქრებს, რომ ეს უცნობი ტექსტები ზედმეტად მარტივი იყო მეცხრეკლასელთათვის. სულაც არა: იმ მასწავლებელთა უმრავლესობა, რომლებიც ტესტების აპრობაციებსა და განხილვებში იღებდა მონაწილეობას, თითქმის ერთხმად ამტკიცებდა, რომ დავალება - "წაკითხულის გააზრება" - იმდენად რთული იქნებოდა მოსწავლეთათვის, რომ ვერც ერთ კითხვას ვერ გასცემდნენ პასუხს.

მაგრამ მათი მოლოდინი არ გამართლდა: მოსწავლეებმა წარმატებით შეძლეს ექსპლიციტური თუ იმპლიციტური ინფორმაციის ამოღება ისეთი რთული ტექსტებიდან, როგორებიცაა, ვთქვათ, ვაჟა ფშაველას "კოსმოპოლიტიზმი და პატრიოტიზმი", მიხეილ ჯავახიშვილის "ისევ ქართული ენის შესახებ" ან გაბრიელ ქიქოძის "ამპარტავნობა". ყოველივე ეს კი იმას ნიშნავს, რომ არსებული სასწავლო პროგრამით არ ხერხდება მოსწავლეთა შესაძლებლობების რეალიზაცია სასწავლო პროცესში. ძალიან ცუდად რომ არის საქმე, ეს ტესტირების შედეგების მიხედვითაც ნათლად ჩანს.

პედაგოგიკას თავისი კანონები აქვს და მას ვერავითარ შემთხვევაში ვერ გავაიგივებთ ვერც ლიტერატურულ კრიტიკასა და ვერც ლიტერატურის ისტორიასთან. სხვა არის ტექსტის მეცნიერული (განებავთ, მხატვრული) მნიშვნელობა და სხვა არის პედაგოგიური მიზნები, რომლებსაც შეიძლება აკა მორჩილაძის რომელიმე ტექსტით ანდა ჟურნალისტური სტატიით (თუნდაც რეკლამის ტექსტით) უკეთესად მიაღწიო, ვიდრე რომელიმე მსოფლიო მნიშვნელობის შედევრის სწავლებით. მთავარი იმის გარკვევაა - რისი მიღწევა გინდა? მაგალითად, თუ გინდა, მოსწავლეს გამართულად წერა ასწავლო, ბარათაშვილის "მერანის" ანალიზი კი არ უნდა დააწერინო, არამედ ჩვეულებრივი ინფორმაციული ტექსტი (ვთქვათ, ავტობიოგრაფია, განცხადება ან წერილი მეგობარს). რაც, თავისთავად ცხადია, სულაც არ გამორიცხავს კარგი ლიტერატურის კარგად სწავლების აუცილებლობას.

მე დღემდე არ ვიცი, რატომ ვასწავლით ხუთ აგიოგრაფიულ ნაწარმოებს ერთმანეთის მიყოლებით 14 წლის ასაკში, შემდეგ კი მთელ "ვეფხისტყაოსანს" უშველებელი საზეპიროებით. რას ველით შედეგად, რას უნდა მივაღწიოთ ასეთი სასწავლო პროცესით? ასეთი პროგრამის შედგენისას მიზანი, ალბათ, უაღრესად კეთილშობილური იყო, მაგრამ შედეგი ნამდვილად ასეთი მივიღეთ: არც ერთი მოსწავლე სკოლის დამთავრების შემდეგ ქართულ კლასიკურ ლიტერატურას არ კითხულობს და უმეტესობას საერთოდ აღარა აქვს კითხვის მოტივაცია. კიდევ უარესი ვითარებაა წერის კულტურის განვითარების თვალსაზრისით - მოსწავლეებს უკიდურესად უჭირთ საკუთარი აზრის გამართულად, დალაგებულად და თანმიმდევრულად ჩამოყალიბება.

პირადად მე (ისევე, როგორც ჩემი ჯგუფის წევრებს) მეგონა, რომ სულაც არ იქნებოდა ურიგო, შემოგვეღო ცალკე კურსი - "წერა" და ფორმალიზებული გრამატიკის კურსის ნაცვლად წერის პროცესში (სრულიად სხვადასხვა ჟანრისა და დანიშნულების ტექსტების შექმნით) გვესწავლებინა ბავშვებისთვის ქართული ენის სტრუქტურა. მშობლიური ენის შესწავლას სულაც არ სჭირდება ისეთი ფორმალიზებული გრამატიკის კურსი, რომლის მიხედვითაც მოსწავლეს მოეთხოვება ზმნის ისეთი კატეგორიების ცოდნა, როგორებიცაა: საშუალ-მოქმედებითი და საშუალ-ვნებითი. ჩვენ ფილოლოგთა არმიების აღზრდას ვაპირებთ, თუ ის გვინდა, რომ საქართველოს ყველა მოქალაქეს გამართულად შეეძლოს წერაც, მეტყველებაც და წაკითხული ტექსტისა თუ სხვისი საუბრის სწორად გაგება და გააზრება?

სხვათა შორის, ეს მარტო ქართველ მოსწავლეებს არ ეხება. საბოლოოდ უნდა გაარკვიოს ჩვენმა ხელისუფლებამ - რა მიზანს ისახავს კომპაქტურად დასახლებული არაქართველი მოსახლეობისათვის ქართული ენისა და ლიტერატურის სწავლება? გვინდა მივიღოთ რეზერვაციაში გამოზრდილი პიროვნება, რომელმაც მხოლოდ ორიოდე ქართული სიტყვა იცის და სრულიად უცხოდ გრძნობს თავს ქართულ კულტურულ სივრცეში, თუ სახელმწიფო ენის კარგად მცოდნე პიროვნება, რომელსაც საზოგადოებაში ინტეგრირების არავითარი პრობლემა არა აქვს. ამ შემთხვევაში ენის ფაქტორი გადამწყვეტია, რადგან ენა თავისთავად კულტურული ფენომენია და იგი ამა თუ იმ კულტურულ სივრცეში ადაპტირების თავისებური საშუალებაა.

ყველაზე დემოკრატიული ქვეყნები თავისი მოქალაქეებისგან მოითხოვენ სახელმწიფო ენის სრულყოფილ ცოდნას არა მათი უფლებების შესალახად, არამედ სწორედ ამ უფლებების დასაცავად და განსახორციელებლად. საზოგადოების სრულუფლებიან წევრად ვერ გრძნობს თავს ის პიროვნება, ვინც ამ სახელმწიფოს ენაზე გამართულად ვერ გამოხატავს საკუთარ აზრს, ან სხვისი ნათქვამის გაგება უჭირს. არ შეიძლება საჯარო მოსამსახურე სახელმწიფო ენას ვერ ფლობდეს ისე, რომ სწორად შეადგინოს დოკუმენტი, დაწეროს განცხადება და ა.შ. ამდენად, სახელმწიფო ენის სწავლება უთუოდ უნდა იქცეს ჩვენი განათლების სისტემის ერთ-ერთ ძირითად პრიორიტეტად. სხვათა შორის, "შეფასების ცენტრში" მომზადებულია სახელმწიფო ენის სერტიფიცირების იმგვარივე მოდელი, რომლის მსგავსიც დიდი წარმატებით მოქმედებს მსოფლიოს ცივილიზებულ, დემოკრატიულ ქვეყნებში.

სასკოლო განათლების ერთ-ერთ უმთავრეს პრიორიტეტად უცხო ენების სწავლების გამოცხადება, ჩემი აზრით, ავტომატურად უნდა გულისხმობდეს მშობლიური ენის განსაკუთრებით ღრმად შესწავლასაც, რადგან, როგორც გურამ რამიშვილმა აჩვენა წიგნში "დედაენის თეორია", მშობლიური (პირველი) ენის დაუფლების გარეშე შეუძლებელია უცხო ენების კარგად ათვისება.

უამრავი რამ არის გასათვალისწინებელი ახლავე და სასწრაფოდ. ხოლო თუ 2005 წელს მისაღები გამოცდების არსებული წესი უნდა გაუქმდეს და ცენტრალიზებული სახელმწიფო გამოცდებით შეიცვალოს, მაშინ სწორედ დღეს ყოფილა პრინციპული გადაწყვეტილებები მისაღები (მაგალითად, საკანონმდებლო ბაზის მომზადება). ყველა პრობლემის მოგვარება შეიძლება იმ შემთხვევაში, თუ ამ საშვილიშვილო საქმეს დღესვე დავიწყებთ.



www.24hours.ge 24 B

ნომრის სტუმარი

# ხელოვნური ოპოზიცია

## ჩვენ და ქართველ ხალხს პარლამენტში არ გვჭირდება

A1 გვერდიდან

*ეს რევოლუციის დროს გამოჩნდა კიდეც - პრეზიდენტ შევარდნაძის სათათბირო ორგანო უშიშროების საბჭომ სიტუაციის ესკალაციისას პოზიციები დათმო და იერარქიულად მის საკურატორო შინაგან საქმეთა მინისტრს გადაულოცა.*

*ახალ მდივანს ვანო მერაბიშვილს არც დიპლომატიური გამოცდილება აქვს, არც აღმასრულებელ ხელისუფლებაში უმუშავია და განსაკუთრებით არც საკანონმდებლო ორგანოში გამოირჩეოდა. სამაგიეროდ, მეტად ნაყოფიერი იყო მისი პარტიული მუშაობა და რევოლუციის და მის შემდგომ დღეებში სააკაშვილის ფავორიტთა შორის შემორჩა. თუმცა, სადეპუტატო ჩვევები მას ამ თანამდებობაზეც გადმოჰყვა და სულ რომ არ იყო მისი ძირითადი მოვალეობა - საპარლამენტო სიებთან დაკავშირებულ დავებში ერთ-ერთი გადამწყვეტი როლი შეასრულა. შეიძლება ვიფიქროთ, რომ მისი დანიშვნით სააკაშვილს საბჭოს არც გოროზი იმიჯი და არც ამ საბჭოს ძლიერი, არალოიალური თავმჯდომარე ესაჭიროება - თუ თათბირია, თათბირი იყოს... თუმცა, ალბათ, იმის გარანტია არის, რომ რევოლუციის ტრიუმვირატში შესაძლო პოლიტიკური უთანხმოების დროს მერაბიშვილი ჯაფარიძესავით არ დაიბნევა. მან იცის, სად, ვისთან და როდის უნდა დადგეს.*



**ვანო მერაბიშვილი,**

უშიშროების საბჭოს მდივანი, ახალციხეში დაიბადა და იქვე დაამთავრა სკოლა. უმაღლესი განათლება თბილისის ტექნიკურ უნივერსიტეტში მიიღო - ის გეოდეზისტია. სამი წელი მშობლიურ უნივერსიტეტში მუშაობდა. შემდეგ გახლდათ მიწის მესაკუთრეთა უფლებების დაცვის ასოციაციის პრეზიდენტი, 1999 წლის მოწვევის პარლამენტის წევრი და კომიტეტის თავმჯდომარე, 2003 წლიდან - "ნაციონალური მოძრაობის" გენერალური მდივანი. ბოლო თანამდებობა სახეზეა...

**- ვინ გაგიწიათ რეკომენდაცია ამ თანამდებობაზე?**

- როგორც წესი, კანდიდატს ასეთ თანამდებობაზე პრეზიდენტი არჩევს.

**- ქვეყნის მართვა ზედმიწევნით საპასუხისმგებლო საქმეა. თქვენ ამის გამოცდილება არ გქონდათ. არ შეგაშინათ პასუხისმგებლობამ, რომელიც ამ პოსტზე გექნებათ?**

- არავითარი შიში არ დამუფლებია. უბრალოდ, მუშაობა დავიწყე.

**- შევარდნაძის დროს უშიშროების საბჭო ნახევრად გასაიდუმლოებული, განსაკუთრებული სტრუქტურა იყო, რომელიც სახელმწიფოს გეოპოლიტიკურ სტრატეგიას განსაზღვრავდა, ძალოვან სტრუქტურებს კურირებდა და საკადრო პოლიტიკაშიც აქტიურად ერეოდა. სააკაშვილის უშიშროების საბჭო როგორი იქნება?**

- ჯერჯერობით, უშიშროების საბჭო ბოლომდე ფორმირებული არ არის. პრეზიდენტმა უნდა დაამტკიცოს მისი შემადგენლობა, რომელსაც, ალბათ, უახლოეს დღეებში მოეწერება ხელი. დღეისთვის საბჭოს ოფიციალურად მხოლოდ ერთი წევრი ჰყავს - ეს მე გახლავართ. საბჭოს მუშაობის სტილსა და ვალდებულებებს ახლადშეკრებილი საბჭო განსაზღვრავს.

**- დაახლოებით მაინც ხომ გაქვთ წარმოდგენა სტრუქტურული და შინაარსობრივი სიახლეების შესახებ?**

- მოდით, ორად გავყოთ - არსებობს უშიშროების საბჭო და მისი აპარატი. საბჭოს მუშაობას მისი შემადგენლობა განსაზღვრავს და არა პირადად მე.

აპარატი, პრაქტიკულად, განახევრდა - 84 ადამიანი აპარატის მუშაობას არ სჭირდება. ადრე უშიშროების საბჭოსა და მის მდივანს დამბალანსებლის როლი ენიჭებოდათ, რაც ხშირად ერთი რომელიმე მინისტრის დასაბალანსებლად, ან მსგავს ინტრიგებში მონაწილეობისათვის გამოდგებოდა. ეს შეიცვლება და საბჭო საკუთარი ფუნქციების შესრულებას შეუდგება.

**- თქვენი უწყება ძალოვანთა რეფორმის საკითხში, ალბათ, ისევ ჩაერევა.**

- საბჭო აქტიურად არის ჩართული ძალოვანი სტრუქტურების ყველა რეფორმაში და ეს ერთიანი გეგმის შესაბამისად მიმდინარეობს.

**- უშიშროების საბჭო, ტრადიციულად, აქტიურად ერეოდა ძალოვანთა საკადრო საკითხებშიც...**

- არ ვიცი, ვინ რაში ერეოდა. საბჭო არც ერთ საკადრო გადაწყვეტილებას არ იღებს. თუმცა, ყველა მინისტრსა და თანამდებობის პირს პრეზიდენტთან აქვს კონსულტაციები და, აქედან გამომდინარე, პრეზიდენტიცა და უშიშროების საბჭოს სხვა წევრებიც ინფორმირებულნი არიან ნებისმიერი სერიოზული საკადრო გადაწყვეტილების მიღებისას.

**- საზოგადოება და პრესა აქტიურად საუბრობს იმის შესახებ, რომ უშიშროების სამინისტროს არც ერთი მაღალჩინოსანი პროფესიონალი არ არის. ეს სახელმწიფო სტრატეგიაა თუ...**

- საზოგადოება არ საუბრობს ამის შესახებ. პრესაში არის შეკვეთილი სტატიები. შემკვეთები არიან ისინი, ვინც დაკარგა ძალაუფლება, კონტროლი ნარკოტიკებით ვაჭრობასა და კრიმინალებზე, და - ის ადამიანები, ვინც ამ სტატიების უკან დგანან, უახლოეს მომავალში აგებენ პასუხს თავის დანაშაულებზე.

უშიშროების სამინისტროს ქართველი მაღალჩინოსნების კვალიფიკაცია მხოლოდ იმით ფასდებოდა, თუ რამდენად იყვნენ ისინი ჩართულნი კონტრაბანდაში, რამდენი წილი ჰქონდათ ბიზნესში - ასეთი გამოცდილება არ გვჭირდება.

ამ უწყების მინისტრიც და მისი მოადგილეებიც შერჩეულნი არიან არა მხოლოდ პროფესიონალიზმის, არამედ პატიოსნების, კორუფციაში გაურევლობის, მაფიოზურ-კლანურ-კონტრაბანდულ გარიგებებში არმონაწილეობის ნიშნით. ჩვენ გვჭირდება სუფთა, პატიოსანი ადამიანები და არ გვჭირდება "პროფესიონალები", რომლებიც ყოველ დღე სახელმწიფოსთვის ფულის პარვით, ნარკოტიკების შემოტანით, იარაღით ვაჭრობით და კონტრაბანდით იყვნენ დაკავებულნი.

ამ ჩინოსანთა პასუხისმგებლობის საკითხი მალე დადგება. ყველამ ნახა, როგორ დააკავეს კონტრაბანდასთან და კრიმინალთან დაკავშირებული უშიშროების რამდენიმე თანამშრომელი ზუგდიდში. რა თქმა უნდა, ასეთი ადამიანები არიან თბილისშიც და სხვა რეგიონებშიც. მათი ერთადერთი გამოსავალი არის პრესაში სტატიების შეკვეთა. საზოგადოება თავად დაასკვნის, ვინ არიან პროფესიონალები - უშიშროების სამინისტროს ძველი თანამშრომლები, რომლებიც წილში ისხდნენ კონტრაბანდისტებთან, თუ ისინი, ვინც მტკიცე გადაწყვეტილება მიიღო და არავითარ გარიგებაზე არ წავიდა კრიმინალებთან.

**- თქვენ ახსენეთ შეკვეთილი სტატიები... უშიშროების სამინისტროში საუბრობდნენ ანალიტიკური სამსახურის შექმნის თაობაზე. სამსახურისა, რომელიც უზრუნველყოფს ინფორმაციულ უსაფრთხოებას, ქვეყნის უსაფრთხოებას საერთოდ, გააანალიზებს, რა პოლიტიკური ტენდენციებია ჩვენს მეზობლებში და ა.შ. ისევ დგას დღის წესრიგში ამგვარი სამსახურის შექმნის საკითხი?**

- ეს არ არის უშიშროების საბჭოს აპარატის მოვალეობა...

**- სამინისტროზე გკითხეთ...**

- რა თქმა უნდა, ეს ინფორმაცია არსებობს. ადამიანებს, რომელთაც კონტრაბანდიდან, პენსიონრებისა და მასწავლებლების მოპარული ხელფასებიდან ყოველდღიური შემოსავალი დაკარგეს, სხვა აღარაფერი დარჩენიათ და ისინი შეეცდებიან, ამ გზით ნაშოვნი ფულის ნაწილი პრესაში დააბანდონ, რათა შური მაინც იძიონ იმ დაკარგული შესაძლებლობების გამო, რომელიც მათ გუშინ და გუშინწინ ჰქონდათ. ეს ადამიანები საკუთარ ინტერესებს ემსახურებიან და არა ქვეყნისას.

**- მე უშიშროების სამინისტროში ანალიტიკური ცენტრის ჩამოყალიბების შესახებ გკითხეთ...**

- უშიშროების სამინისტრო კვალიფიციური, განათლებული, პატიოსანი ხალხით დაკომპლექტდა. ისინი გაცილებით მეტ ინფორმაციას ფლობენ, ვიდრე ძველი სამინისტროს მუშაკები. გააჩნიათ ანალიზის გაცილებით კარგი უნარი, ვიდრე ძველ კადრებს, ისინი მათზე გაცილებით გამბედავნი არიან და ქვეყნისთვის სასიკეთო ამოცანები გააჩნიათ.

**- ამ სამინისტროს თემა რომ ამოვწუროთ: რა სტადიაშია უგულავაალექსიძის და მოპარული მანქანის გახმაურებული საქმე? რა ელის ამისთვის მინისტრის მოადგილეს?**

- გამოძიებით ყველაფერი დადგენილია. ეს მანქანა არის მოპარული, არის ნივთმტკიცება და პროკურატურიდან შესაბამის ფარეხში გადაჰყავდათ. უგულავა მანქანაში არ იჯდა, ეს დავალებული ჰქონდა მის მძღოლს და, საერთოდ, მანქანა მძღოლს უნდა გადაეჰყავდეს. მოკვლევა ჩატარებულია და საკითხი მოგვარებული.

**- სანამ "ნაციონალური მოძრაობის" გენერალური მდივანი გახდებოდით, ჯერ კიდევ შევარდნაძის გუნდში ყოფნისას, მის წინააღმდეგ გამოხვედით. მიგაჩნიათ, რომ "ვაშინგტონ პოსტში" მაშინ გამოქვეყნებული ინტერვიუ იმ ბრძოლის დასაწყისი იყო, რომელსაც მიხეილ სააკაშვილმა შემდგომში "გადამწყვეტი ბრძოლა" უწოდა?**

- საკუთარ თავზე ასე დიდი წარმოდგენა არ მაქვს...

**- თქვენ "პარტიული" დავალება შეასრულეთ?**

- პარტია ამ განცხადებიდან წელიწადნახევრის შემდეგ შეიქმნა. ჩემი მეგობრები, ანუ ბირთვი, რომელმაც საბოლოო ჯამში ეს პარტია ჩამოაყალიბა, მას შემდეგ იბრძოდნენ აქტიურად, რაც დარწმუნდნენ, რომ შევარდნაძის რეჟიმი კორუმპირებული და არაეფექტური იყო. ვინ გააკეთა პირველი განცხადება, ვისი ინტერვიუ გახმოვანდა - ეს მეორეხარისხოვანია. ხელისუფლების კრიტიკა, სურვილი, რაღაც შეცვლილიყო ხელისუფლებაში, ყოველთვის იყო. "ნაციონალური მოძრაობის" წევრთა უმრავლესობა არასოდეს ყოფილა შევარდნაძის გუნდში - ეს იყო ერთიანი გუნდი, რომელიც იქ აკეთებდა საქმეს, სადაც იყო. ეს რომ არა, ჩვენ ვერ მივაღწევდით გამარჯვებას არჩევნებში და არც ხალხი წამოგვყვებოდა.

**- კადრებთან დაკავშირებით რეგიონებშიც და თბილისშიც მძიმე სურათია. საზოგადოების საკმაოდ დიდი ნაწილი დანიშვნების პირველი ტალღით იმედგაცრუებულია. სად და როგორ ეძებთ კადრებს? რა ხერხებით არჩევს ხელისუფლება, ვის უნდა საქმის კეთება და ვინ არის მასთან მიტმასნილი?**

- კადრების შერჩევისა და დაწინაურების მთავარი პრინციპი შემდეგია: ის უწყებები და ორგანიზაციები, რომელთა მუშაობაც წარმატებული იქნება, დაწინაურდებიან და წახალისდებიან. პარტიული ნიშნით კადრების შერჩევის დრო წავიდა. რა თქმა უნდა, შეცდომები იქნება, თუმცა, რაიმე სერიოზულ შეცდომას ვერ ვხედავ. ჩვენ ყველა დარგში რადიკალური რეფორმებისთვის ვართ მოწოდებული. უშიშროების სამინისტროში თითქმის ყველა მოადგილე და დეპარტამენტის თავმჯდომარე შეიცვალა. იგივე მოხდა იუსტიციის სამინისტროში, იგივე მიმდინარეობს შინაგან საქმეთა სამინისტროში. 12-ზე მეტმა გენერალმა დატოვა თანამდებობა თავდაცვის სამინისტროსა და გენერალურ შტაბში - ეს არის რევოლუციური ცვლილებები, რომელზეც ბევრი რეფორმატორი ოცნებობდა. ჩვენ ასე გავაგრძელებთ და საქმეს ბოლომდე მივიყვანთ. რა თქმა უნდა, უკმაყოფილება იქნება, განსაკუთრებით მათი მხრიდან, ვინც შემოსავლები და ხალხის ხარჯზე ფულის კეთების საშუალებები დაკარგა. მათი არ შეგვეშინდება. შეუკვეთენ სტატიებს? - არ შეგვეშინდება; გადაკეტავენ გზებს? - არ შეგვეშინდება; წინააღმდეგობას გაგვიწევენ? - კანონის ყველა საშუალებას გამოვიყენებთ, რათა არ დავუშვათ ქაოსი და უზრუნველვყოთ ხალხისა და ქვეყნის კეთილდღეობა.

**- საპარლამენტო არჩევნების წინ არსებობს სერიოზული საშიშროება იმისა, რომ პარლამენტი ერთპარტიული იქნება.**

- უკაცრავად, მაგრამ ოპოზიციური პარტიის წარმატებისთვის ვერ ვიზრუნებ. ოპოზიციას უნდა ეყოს ძალა, ცოდნა და გამოცდილება და თუნდაც სურვილი, რომ აქტიური წინასაარჩევნო კამპანია ჩაატაროს. ვუყურებ ტელევიზორს და გაკვირვებული ვარ - ჩვენი ბლოკის გარდა, არც ერთი ოპოზიციური პარტია საარჩევნო კამპანიას არ აწარმოებს.

**- რა განწყობაა ხელისუფლებაში ოპოზიციის მიმართ?**

- უკაცრავად და პარტია, რომელსაც ნაკლები ხმების აღების სურვილი აქვს, ღირსი არ არის, იყოს ხელისუფლებაში.

რა თქმა უნდა, არ დავუშვებთ იმას, რომ ოპოზიციის წინააღმდეგ ადმინისტრაციული მეთოდები იყოს გამოყენებული. არ დავუშვებთ გაყალბებებს. ჩვენ გადავდგით ნაბიჯი და ყველას დავანახეთ, რომ არ გვსურს არჩევნების გაყალბება - ის ორი ადგილი, რაც პრეზიდენტის წარმომადგენლებს უნდა ჰქონოდათ, ოპოზიციას მივეცით და დღეს საქართველოს არც ერთ საარჩევნო უბანში ე.წ. მმართველ პარტიას უმრავლესობა არ ეყოლება. ამაზე მეტი ჟესტი რა უნდა იყოს? ყველა კომისიაში, პირობითად, ხელისუფლებას 7 წევრი ეყოლება და ოპოზიციურად განწყობილ პარტიებს - 8. ამგვარი რამ არათუ საქართველოში, არსად არ მსმენია.

ხმების აღებაში კი ჩვენ ვერავის მივეხმარებით. მათ უნდა დაანახონ ადამიანებს, რომ ისინი, მართლაც, ხალხის საკეთილდღეოდ იღვწიან. ხელოვნური ოპოზიცია ჩვენ და ქართველ ხალხს პარლამენტში არ გვჭირდება.

**- ასეთ ფონზე როგორ გესახებათ პარლამენტში ძალთა განლაგება?**

- პარლამენტი იმისთვის არ არის, რომ იქ მაინცდამაინც ოპოზიციური პარტია იყოს. ოპოზიციური პარტიები დაქსაქსულნი, დისკრედიტებულნი, არაკომპეტენტურნი და გასვრილები არიან. საკუთარ სიებში ადგილებს ყიდდნენ, ზოგი სესიაზე მიდიოდა და რევოლუციის წინააღმდეგ მოქმედებდა, ზოგი პარტია ჩაფლული იყო კორუფციაში, არასდროს არ უქმნიდნენ პრობლემებს კლანებს, არიან მათი ადვოკატები - ეს პარტიები პარლამენტში ვერ მოხვდებიან და სწორი იქნება. შესაბამისად, პარლამენტში მოხვდებიან ის ადამიანები, რომელთაც არანაირი კავშირი არ აქვთ კრიმინალებთან და დაამტკიცეს, რომ საქმის კეთება შეუძლიათ. აქედან გამომდინარე, არავითარი სურვილი იმისა, რომ ოპოზიციის პარლამენტში გასვლას ხელი შევუწყო, არ გამაჩნია. ჩვენ რაც შეგვეძლო, გავაკეთეთ - არც ერთ კომისიაში უმრავლესობა არ გვაქვს.

**- თქვენი აზრით, ოპოზიციაში რატომ არ არის პოპულარული ის რეკომენდაცია, რომელიც საარჩევნო ბარიერის 5 პროცენტამდე დაწევის შესახებ მათიას იორშმა დატოვა?**

- ოპოზიციად აღიქმება "აღორძინება", რომელსაც ხელს აძლევს მაღალი პროცენტი, რადგან მიაჩნია, რომ აჭარაში არჩევნებს გააყალბებს და, შესაბამისად, ბევრი წარნმომადგენელი ეყოლება პარლამენტში. იგივეს ფიქრობენ მასთან ალიანსში მყოფი პარტიები, რომელთაც ჰგონიათ, რომ ისინი ავტომატურად მიიღებენ რაღაცას. თუმცა, არ მიმაჩნია, რომ რაიმე სერიოზული არგუმენტი არსებობს საარჩევნო ბარიერის დასაწევად. ოპოზიციურმა პარტიებმა ხალხს უნდა დაანახონ, რომ მათი ინტერესების დამცველნი არიან. ამას კი, დარწმუნებული ვარ, ვერ შეძლებენ. იმდენად არიან დასვრილნი კორუფციაში ან იმდენად არიან დამძიმებულნი ძველი ცოდვებით, რომ მნიშვნელობა არ აქვს, ბარიერი 5-პროცენტიანი იქნება თუ 7-პროცენტიანი. შევარდნაძის დროსაც კი, ჩვენ, ღირსეულმა ოპოზიციამ, 20 პროცენტზე მეტის აღება მოვახერხეთ.

**- რევოლუციიდან 100 დღე ტრიუმვირატის უთანხმოებით დასრულდა. ამბობენ, პარტიაში სიტუაცია დაიძაბაო...**

- ეს გაზვიადებული ჭორებია. ვიღაცას რაღაცაზე რომ გული დაწყდა, ეს ჩვეულებრივი მოვლენაა. მაგრამ დარწმუნებული ვარ, ეს წყენა გადალახულია და წინ უფრო სერიოზული საკითხები გვაქვს მოსაგვარებელი. პარლამენტის 150 კაციანი სიის შედგენა საქართველოს ბედს არ წყვეტს.

**- შსს-ში მაღალი ადგილები გათავისუფლდა, ეს ყოველთვის იყო დიდი ფულის კეთების საშუალება...**

- თუ ფულის გამოძალვის მცდელობა არსებობს, საზოგადოების მსჯელობის საგანი უნდა გახდეს. ვიქნები პირველი ადამიანი, ვინც გამომძალველის და გადამხდელის დასჯის მოთხოვნით გამოვალ. მაგრამ, მთავარი მხოლოდ დანიშვნა არ არის - საქმის კეთებაა მთავარი. ვინც თავის მოვალეობას ვერ შეასრულებს, მერწმუნეთ, ფულგადახდილი იქნება ის თუ ფულგადაუხდელი, მაინც დატოვებს თანამდებობას.

**- ხელისუფლებისგან ასეთივე ნდობა ჰქონდა შალვა ოგბაიძესაც. გვაქვს ამდენი ექსპერიმენტის დრო?**

- შეცდომები შეიძლება იყოს და იქნება ცვლილებებიც, რათა წარმატებულების წახალისება მოხდეს. თუ ადამიანი სახელმწიფო მოხელეა, მან ყოველ დღე და ღამე უნდა დაუმტკიცოს საზოგადოებას, რომ ყველაზე ეფექტური და წარმატებული მოხელეა.

**- ცენტრსა და აჭარას შორის სიტუაცია განსაკუთრებით პრეზიდენტის აქ არყოფნის დროს დაიძაბა. რამდენად იყავით ჩართული ამ პროცესებში?**

- ამ პროცესებში ჩართული არ ვყოფილვარ. ერთი რამ ფაქტია - ნებისმიერი დამნაშავე უნდა იყოს დაკავებული. საქმე ბოლომდე უნდა იყოს გამოძიებული და ვინც სასამართლოს გადაწყვეტილებას ეჭვმიტანილთა ქალაქიდან გაუსვლელობის შესახებ იგნორირება გაუკეთა, კანონი დაარღვია და პირდაპირ ვიტყვი, ქრთამი აიღო - იქ უნდა აღმოჩნდნენ, სადაც მათი ადგილია.

**- ამ ეპიზოდში ზურაბ ჟვანიას სახელიც ისმოდა.**

- როგორც ვიცი, ზურაბ ჟვანიამ თხოვნით მიმართა სასამართლოს, რომ აღმკვეთი ღონისძიება გაუსვლელობის ხელწერილით შეცვლილიყო და ეს გაკეთდა კიდეც. მაგრამ, ბატონ ზურაბს არ მიუცია ნებართვა და არ შეუცვლია სასამართლოს დადგენილება. ფაქტია, რომ სასამართლოს დადგენილების უგულებელყოფა პოლიციელმა მოახდინა. მიმდინარეობს გამოძიება და გენპროკურორი რამენიმე დღეში წაუყენებს ბრალს. თუ მასთან სხვა თანამონაწილენიც გამოიკვეთნენ, ისინიც დაისჯებიან და ამის გარანტიას გაძლევთ მე, ვანო მერაბიშვილი.

**- რა ინფორმაციები გაქვთ ე.წ. "რევანშისტული ძალების" მოძრაობის შესახებ?**

- არაერთი, მაგრამ უსუსური მცდელობაა. ჩვენ სრულ ინფორმაციას ვფლობთ. პრეზიდენტმა გადაწყვეტილება მიიღო და შინაგან ჯარებში ღამის პირველ საათზე მივიდა, განგაში გამოაცხადა. ჯარისკაცები ყველა ნორმატივის თანახმად სრული აღჭურვილობით გამოვიდნენ მოედანზე და 19 წუთში ჩასხდნენ მანქანებში. იგივე ჩატარდა რამდენიმე დახურულ ნაწილშიც, სამხედრო ავიაციაშიც. ეს ამტკიცებს, რომ ვართ მობილიზებულნი, ვფლობთ სრულ ინფორმაციას და არ დავუშვებთ არავითარ აჯანყებას და კონტრრევოლუციას. გვაქვს ხალხის ნდობა, არ ვართ დამძიმებული არც კორუფციით, არც გარიგებებით. ეს გვაძლევს იმის გარანტიას, რომ ხალხის საკეთილდღეოდ შევცვლით ცხოვრებას.

**- დარწმუნებული ხართ, რომ პრეზიდენტის მოულოდნელი ვიზიტის შესახებ ინფორმაციამ არ გაჟონა ისევე, როგორც ამ რამდენიმე ხნის წინ პოლიციის რაიონულ განყოფილებებში ჩატარებულმა პროკურატურის "რეიდმა"?**

- ერთი რამ ფაქტია - როცა მივედით, ჯარისკაცებს ეძინათ. წინასწარ ისინი მომზადებულნი იყვნენ თუ არა, ეს მეორეხარისხოვანია, რადგან ისინი დათქმულ ვადაში სრულ მზადყოფნაში იყვნენ. ეს იქნება მუდმივად - ყველა პოლიციელი და ჯარისკაცი მოლოდინში იქნება - ეს აწევს მომზადების დონეს და საზოგადოებაში მობილიზაციას გაზრდის...

**- და მტრებს სამუდამოდ დაძაბავს, არა?**

- რა თქმა უნდა, და ნებისმიერი აქტიურობის ხალისს მოუკლავს.




**თეატრები**

[illegible]
[illegible]
[illegible]
[illegible]: 20:00 [illegible]

[illegible]
[illegible] "[illegible]"
[illegible]
[illegible]: 19:00 [illegible]

[illegible]
[illegible]
"[illegible]"
[illegible]
[illegible]: 19:00 [illegible]

**გამოფენა**

[illegible]
[illegible]
[illegible]: 17:00 [illegible]

[illegible]
[illegible] "[illegible]"
[illegible]

[illegible]
[illegible]

[illegible]

N [illegible]
[illegible] "[illegible]" [illegible]

*დაგეგმილი ღონისძიებების შესახებ შეგიძლიათ მოგვაწოდოთ ინფორმაცია ელექტრონულ მისამართზე:* culture@24hours.ge

## ჩვენ ვეძებთ ფიროსმანს

ნანა ბასილაშვილი

საფრანგეთში აღმოჩენილი ფიროსმანის შედევრის შესახებ, როგორც ხდება ხოლმე, ერთი პირი ატეხილი ხმაური უკვე ჩაცხრა. ქართული საზოგადოებისათვის ცნობილი გახდა, რომ ჩვენს განძს - ფიროსმანის ტილოს, ფრანგი დაპატრონებია და საკუთარი თვალის ჩინივით უფრთხილდება. თუმცა, მისი აღმომჩენის მეოხებით, შესაბამისი საფასურის გადახდის შემთხვევაში, ფრანგი მეპატრონე ფიროსმანის შედევრთან განშორებას შეელეოდა. დაახლოებით, ერთი თვის წინათ, საქართველოს საგარეო სამინისტროს მიერ წამოწყებული მოლაპარაკება, ნახატის სამშობლოში დაბრუნებასთან დაკავშირებით, რატომღაც აღარ განვითარდა. ამასობაში, ფიროსმანის მკვლევარებისთვის ცნობილი ხდება, რომ "არსენალის მთა ღამით", შესაძლოა, საქართველოში ვერასდროს დაბრუნდეს, რადგანაც მისი გამოჩენისთანავე, როგორც გაირკვა ვაჭრობა გაჩაღებულა..

"არსენალის მთა ღამით", 1922 წელს საქართველოდან, კერძოდ ვაგზლის უბნის ერთ-ერთი დუქნიდან, მოსკოვის გავლით პარიზში აღმოჩნდა ("24 საათი" ნახატის ისტორიასა და მისი აღმოჩენის შესახებ ერთი თვის წინათ იუწყებოდა). 1985 წელს ლუი არაგონის სასახლიდან ფიროსმანის ტილოც და მისი კვალიც დაიკარგა. ჟურნალისტი ნელი კობიაშვილი რამდენიმე წლის განმავლობაში ეძებდა მას. ხანგრძლივი ძებნის შემდეგ, პოეტ ჟან რი სტას საკუთრებაში მიაკვლია, რომელმაც კარგად იცოდა რა ტილოს ფასი, მას პარიზის ერთ-ერთი პრესტიჟული ბანკის საცავში ინახავდა.


*ყარამან ქუთათელაძე, ნანა ყირმელაშვილი და ნელი კობიაშვილი*

გუშინ "ლიტერატურულ კაფეში" ჟურნალისტმა ნელი კობიაშვილმა, გალერეა "ნიუ-არტის" დირექტორმა ნანა ყირმელაშვილმა, ხელოვნებათმცოდნე გოგი ხოშტარიამ და მხატვარმა ყარამან ქუთათელაძემ პრესკონფერენცია გამართეს. პრესკონფერენციას ჟურნალისტების გარდა, მწერლები, პოეტები, მხატვრები, რეჟისორები და მსახიობები ესწრებოდნენ. თითოეული მათგანი საკუთარი ხელმოწერით შეუერთდა ფიროსმანის მკვლევარების მიმართვას პრეზიდენტისადმი, სადაც ნათქვამია, რომ ამ სურათს განსაკუთრებული მნიშვნელობა აქვს ჩვენი ქვეყნისთვის, მის აღმოსაჩენად და დასაბრუნებლად 1980-იანი წლებიდან იღწვოდნენ ცნობილი საზოგადო მოღვაწენი, მათ შორის რეზო თაბუკაშვილი და რომ საქართველოს მთავრობამ უნდა მიიღოს ყველა ზომა, რათა ფიროსმანის შედევრი სამშობლოში დაბრუნდეს.

"მას შემდეგ, რაც ამ სურათის არსებობა გახმაურდა, ჩვენი ქვეყნის საზღვრებს გარეთ კოლექციონერებმა, დილერებმა და კერძო პირებმა ამ ტილოს ხელში ჩაგდება მოინდომეს", - ნათქვამია წერილში.

"დღეს, როცა ქვეყანაში შექმნილ სოციალურ-ეკონომიკურ ფონზე, სულიერი და კულტურული მემკვიდრეობა არავის ადარდებს, მივმართავთ ჩვენი ქვეყნის პრეზიდენტს და მთავრობას, გადაარჩინონ ფიროსმანის ეს უნიკალური შედევრი. ჩვენ მისი დაბრუნების რეალური შანსი გვაქვს და ასეთივე შანსი მისი სამუდამოდ დაკარგვისა", - განაცხადა გალერისტმა ნანა ყირმელაშვილმა. მანვე საზოგადოებას ამცნო იმის შესახებ, რომ გალერეა "ნიუ-არტისა" და ფიროსმანის მკვლევარების ინიციატივით, დაარსდა ნიკო ფიროსმანაშვილის ფონდი. ფონდში შემოსული თანხა კი მხატვრის ნახატების აღწერას, რესტავრაციასა და, რაც ყველაზე მნიშვნელოვანია, მის პოპულარიზაციას მოხმარდება.

"საქართველოში არ არსებობს ფიროსმანის მუზეუმი, ეს არის ჩვენი ქვეყნის სირცხვილი. მისი საფლავი დავკარგეთ და ახლა მის სურათებსაც ვკარგავთ", - აღნიშნა გოგი ხოშტარიამ.

უახლოეს მომავალში გალერეა "ნიუ-არტი" წარმოადგენს გიორგი შენგელიას ფილმს ფიროსმანის შესახებ, აქვე მზადდება ნელი კობიაშვილის წიგნი და ელექტრონული ვერსია "ჩვენ ვეძებთ ნიკო ფიროსმანს", ქართულ, რუსულ და ინგლისურ ენებზე, ასევე, გოგი ხოშტარიას კვლევები. საქართველოს საზღვრებს გარეთ გატანილი კულტურული მემკვიდრეობის დასაბრუნებლად კი ფიროსმანის მკვლევარებს საქართველოს მთავრობის, ბიზნესმენებისა და საზოგადოების მხარდაჭერა სჭირდებათ.

## წიგნის სახლი წარმოგიდგენთ

ხუთშაბათს 4 მარტს, 17 საათზე ზაალ სამადაშვილი ციკლით "ახალი განზომილება" წარმოგიდგენთ სტუმარს, ლაშა ბაქრაძეს. თემა – რას ნიშნავს ევროპა.

*მისამართი: გამსახურდიას 31; ტელ:91 07 50*

## გამოავლინეს გამარჯვებულები


*გუჯაბიძე და ქაშაკაშვილი დაჯილდოებისას*

გუშინ კინოს სახლში სამთო-სათავგადასავლო და ექსტრემალური ფილმების პირველი ფესტივალის გამარჯვებულები დააჯილდოვეს. ჟიურიმ გამოავლონა ექვს ნომინაციაში გამარჯვებული ფილმები. ნომინაციები ასეთი იყო: "მთა და ადამიანი", "მოგზაურობა", "ექსტრიმი", "სამთო ექსპედიცია", "მაშველები" და გრან-პრი. კონკურსში 1993-2003 წლებში გადაღებული 10 საკონკურსო ფილმი იყო წარმოდგენილი. გრან-პრის მფლობელი გახდა ტელეკომპანია რუსთავი 2-ის გადამღები ჯგუფის – თემო გოგოლაძის (ოპერატორი) და ნინო ჯაფიაშვილის (ჟურნალისტი) ნამუშევარი – "თუჯი ჩეი ჯომოლუნგმა"; ამას გარდა, ნომინაცია – "მთა და ადამიანის" გამარჯვებული გახდა თემო გოგოლაძის თვრამეტწუთიანი ფილმი "ნეპალი". გამარჯვებულებს საჩუქრებთან ერთად, ეროვნული ზარაფხანის მიერ დამზადებული, ყაზბეგის ქვაზე ამოტვიფრული ფესტივალის ემბლემა გადაეცათ. გამარჯვებულთა შორის არიან ცნობილი ალპინისტები, ბიძინა გუჯაბიძე და ბენო ქაშაკაშვილი.

გამარჯვებულები გამოავლინა კომპეტენტურმა ჟიურიმ, რომლის შემადგენლობაშიც იყვნენ: გივი მელქაძე, ია თიკანაძე, ალეკო ჯიბლაძე, ირაკლი ღლონტი, დათო ტურაშვილი და ირაკლი მეძმარიაშვილი. შეგახსენებთ, ფესტივალის ორგანიზატორი იყო არასამთავრობო ორგანიზაცია "კასტირიონი". ფესტივალის მიზანს საქართველოში სამთო სპორტისა და ტურიზმის განვითარება, ასევე საერთაშორისო საზოგადოების საქართველოს მთიანი რეგიონებით დაინტერესება წარმოადგენდა.

## პრეზიდენტი კინოში

გუშინ გლდანში, კინოთეატრ "ახმეტელის" გახსნას საქართველოს პრეზიდენტი მიხეილ სააკაშვილი დაესწრო. კინოთეატრი ბიზნესის განვითარების მენეჯერთა იმ ჯგუფმა ააშენა, რომელმაც კინო "რუსთაველი" განაახლეს.

როგორც ბიზნესის განვითარების მენეჯერთა ჯგუფის წარმომადგენელმა ირაკლი ჩიკვაიძემ განაცხადა, შემუშავდა საქართველოში კინოს ქსელის განვითარების პროექტი, რომლის ერთ-ერთი შემადგენელი ნაწილიც კინო "ახმეტელის" გახსნა იყო. მისივე თქმით, პროექტის ფარგლებში მეორე ობიექტი ქუთაისში გაიხსნება, შემდეგ – თბილისში, ვაზისუბნის დასახლებაში, მერე კი, რუსთავში.

"ახმეტელში" ეკრანის სიგანე 13 მეტრია. კინოთეატრის გახსნას თბილისის მერი ვანო ზოდელავა და ქალაქის კულტურის სამსახურის ხელმძღვანელი დავით ოქიტაშვილი ესწრებოდა.

პრეზიდენტის განცხადებით, ამგვარი "პატარა სიხარულები" აუცილებელია იმისთვის, რომ ქალაქში კულტურული ცხოვრება გამოცოცხლდეს.

"ახმეტელის" გახსნის ცერემონიალის ხელმძღვანელებს პრეზიდენტისთვის ადგილი ქალაქის მერისა და კულტურის სამსახურის ხელმძღვანელის გვერდით ჰქონდათ გამოყოფილი, თუმცა პრეზიდენტმა მისთვის განკუთვნილ ადგილზე დაჯდომა არ ისურვა და ქვედა რიგში ხალხში დაჯდა.

*ინტერ-პრესი.*

## დაგვიანებული პრეზენტაცია

**მათთვის, ვისაც კავშირი აქვს ქართულ შოუ-ბიზნესთან და ინტერნეტთან**

ვერა ნეფარიძე

ზუსტად გათვლილი მენეჯმენტი, ციფრული ტექნოლოგიების ფლობა..., - ეს არის "ფორტუნასა" და "ფორტუნა პლუსის" წარმომადგენელთა აზრით ამ რადიოსადგურების პოპულარობისა და წარმატებების გასაღები. რამდენად ზუსტადაა გათვლილი აღნიშნული რადიოსადგურების მენეჯმენტი, ამაზე მოდით, ამ რადიოების მსმენელებმა იმსჯელონ; ხოლო, რამდენად ფლობენ აქ ციფრულ ტექნოლოგიებს, ეს თემა ციფრულ ტექნოლოგიებში გათვითცნობიერებულებს მივანდოთ. ამისათვის საკმარისია მათ შეიხედონ ვებ-გვერდზე - www.fortuna.ge.


*"ფორტუნას" ვებ-საიტი*

გუშინ პეროვსკაიაზე მდებარე "კარუზოში" (ერთ-ერთი ბარი ამ ქუჩაზე მდებარეთა შორის) კომპანია "რადიო საქართველომ" მის მფლობელობაში მყოფი რადიოსადგურების ვებ-საიტის დაგვიანებული პრეზენტაცია მოაწყო. დაგვიანებული იმიტომ, რომ როგორც ადგილზე შევიტყეთ, საიტი უკვე ერთი თვეა თურმე ქსელში გაშვებული. გუშინ კი, უბრალოდ, დედის დღესთან ერთად, ვებ-საიტის ფართო საზოგადოებისთვის (მასმედიის დახმარებით) წარდგენა აღინიშნა არც ისე ვიწრო წრეში. გაზაფხულის გუშინდელ მზიან დღეს პრეზენტაციამ ამ რადიოსადგურების თანამშრომლებთან ერთად ჟურნალისტები და შოუბიზნესის წარმომადგენლობა შეკრიბა. თუმცა, პრეზენტაციაზე სტუმრების კატეგორია უფრო დაკონკრეტდა – აქ იყვნენ ისინი, ვისაც რაიმე აკავშირებდა ინტერნეტთან და შოუბიზნესთან...

გუშინ პრეზენტაციაზე პრივილეგიებით (მისასალმებელი სიტყვის მიკროფონში თქმა) სარგებლობდნენ ის მომღერლები, ვისაც საკუთარი ვებ-საიტი აქვს. მათ შორის, "კარუზოში" იყვნენ: დათო გომართელი, მარიკა თხელიძე და თიკა ფაცაცია. გამონაკლისის სახით (ალბათ, ასაკის გამო) ეს პატივი პატარა მომღერალს ზუკა ხუციშვილსაც ერგო. რასაკვირველია, სტუმართაგან ყველას ერთი სათქმელი ჰქონდა: ახალი ვებ-საიტის მიმართ სიმპათიის გამოხატვა; ყველაზე საინტერესო შეკითხვა კი (ალბათ, რადგანაც მუსიკასთან აქვს კავშირი), დათო გომართელს ჰქონდა. მომღერალმა პრეზენტაციაზე იკითხა – არის თუ არა "ფორტუნასა" და "ფორტუნა პლუსის" ვებ-გვერდზე მუსიკის გადმოტვირთვა შესაძლებელი? პასუხი იოლად დავიჯერე, მაგრამ როდესაც აღმოვაჩინე, რომ ვებ-საიტზე მუსიკის გადმოტვირთვა კი არა, მოსმენაც კი შეუძლებელია (იმედია, ჯერჯერობით), ძალიან გამიკვირდა. წესით, რადიოსადგურების ინტერნეტ გვერდებს კი არა, თითქმის ყველა სერიოზულ მუსიკალურ ვებ-საიტებს საკუთარი ინტერნეტრადიო აქვს. ასე რომ, ყოველთვის იოლია პრეტენზია პირველობაზე და წარმატებებზე, ცოტა ძნელია მისი გამართლება.

ჩნდება ლოგიკური შეკითხვა – აბა რა არის მოცემული ვებ-საიტზე, რომლის პრეზენტაციისთვის საკმაო თანხა დაიხარჯებოდა და მის შესახებ თხრობა ჩვენც გადაგვიწყვიტავს? კომპანია "რადიო საქართველოს" რადიოსადგურების ვებ-გვერდზე მინიმალურადაა გამოყენებული თანამედროვე ციფრული ტექნოლოგიები (დიზაინის შეფასებაც თქვენთვის მომინდია). სამაგიეროდ, არ განიცდის ინფორმაციის სიმცირეს. აქ მოცემულია ცნობები კომპანიისა და რადიოსადგურების ისტორიიდან; არის ინფორმაცია მაუწყებლობის თავისებურებებზე; ცნობები გადაცემებისა და მათი წამყვანების შესახებ. თითოეული რადიოსადგურის პირველივე გვერდიდან შეიტყობთ, რომელი დიჯეი მუშაობს იმ წუთას ეთერში; საკმაოდ ამომწურავადაა წარმოდგენილი რადიოსადგურების სარეკლამო სამსახურის მუშაობა (პარტნიორების ნუსხა, ფასები...). ასევე, ბევრს იმოგზაურებენ და გაერთობიან ამ რადიოსადგურების ერთგული მსმენელები, თაყვანისმცემლები. მათთვის განსაკუთრებით საინტერესო ფოტოალბომი "ლინკები" იქნება – აქ მოთავსებულია რადიოსადგურების წამყვანებისა და ქართული შოუბიზნესის წარმომადგენლების ერთობლივი ფოტოები. სხვა მხრივ, პრეზენტაციას რა უშავდა – უდავოდ გამოირჩეოდა გულუხვი მასპინძლობით. გარეთ კი მართლა არაჩვეულებრივი ამინდი იყო.

## აუქციონი „შარდენზე"

თეონა ჯაფარიძე

აუქციონის ტრადიცია ჩვენში ნაკლებადაა განვითარებული, მით უმეტეს საქველმოქმედო აუქციონისა. ეს უკანასკნელი ქველმოქმედებასთანაა დაკავშირებული, ქველმოქმედება კი, პირველ რიგში, ნამდვილი სამოქალაქო საზოგადოების ჩამოყალიბებასა და, რაც მთავარია, მეცენატობის შესახებ კანონის შემოღებას უკავშირდება. ეს საკმაოდ აქტუალური თემა ერთმა კონკრეტულმა და უწყინარმა გამოფენამ გამახსენა.

გამოფენა დღეს გაიხსნება შარდენის ქუჩაზე, "ბაიას გალერეა ორიენტში". იქ ბავშვთა ნახატები გამოიფინება. ნამუშევართა ავტორები სოციალურად დაუცველი ბავშვები არიან. "ბაიას გალერეა" კვირას, 7 მარტს ამ ნახატების აუქციონის მოწყობას აპირებს. "მოსაწვევები გავუგზავნეთ ყველას, პოლიტიკოსებსა თუ არაპოლიტიკოსებს, თვით პრეზიდენტსაც კი, ყველას მათ, ვინც მიგვაჩნია რომ ამგვარ ქველმოქმედებაში მონაწილეობას მიიღებს. ვნახოთ, რა გამოვა" – ამბობს გალერისტი ბაია წიქორიძე.



*მიბრძანდით აუქციონზე*

აუქციონიდან შემოსული სახსრები კი ქუჩის ბავშვთა ფსიქო-სოციალური რეაბილიტაციის ცენტრ "ბელურებში" საოქრომჭედლო საამქროს შესაქმნელად სჭირდებათ. საამქროში სწორედ ისინი დასაქმდებიან, რომელთაც უკვე გაიარეს რეაბილიტაციის ცენტრი, ასაკითაც მოზრდილები არიან და აღარ აპირებენ, რომ ქუჩას დაუბრუნდნენ.

როგორც ხედავთ, პროექტი, რომელიც ორგანიზაცია "ბავშვი და გარემოს" ეკუთვნის საკმაოდ ლოგიკური და პერსპექტიულია. ვნახოთ, ვინ გახდება მისი თანამონაწილე. სხვათა შორის, გაცნობებთ, რომ თქვენ შეიძლება გუაშით შესრულებული საკმაოდ საინტერესო ნამუშევრების მფლობელები გახდეთ. ნახატების საწყისი ფასი 8-იდან 10 ლარამდეა.

# ამერიკული ამბები

მელორ სტურუა
საქ. კორ. აშშ


რედის წინამორბედები: ედ და ჭეკ დაიმონდები, ფეტი ვოლში და ლაკი ლუჩიანო

## როგორ შეეშვა ბებერი რედი ბანკების ძარცვას

ვინ არ იცნობს ალ კაპონეს, ბონი და კლაიდს, ლაკი ლუჩანოს და ამერიკული განგსტერისზმის მითოლოგიის სხვა გმირებს, მაფიის "ნათლიმამებს" და მის რობინ ჰუდებს? აბა, "ბებერი რედის" შესახებ თუ გსმენიათ? ალბათ, არა. ეს კი მის მიმართ დიდი უსამართლობაა. თავის უფრო სახელგანთქმულ კოლეგებისგან განსხვავებით, რომლებიც გამოძიების ფედერალური ბიუროს სნაიპერების ხელით ან გისოსებს მიღმა დაიხოცნენ, რედი ბანკებს მანამდე ძარცვავდა, სანამ 92 წლისა არ მოიყარა! გამოძიების ფედერალური ბიუროს წარმომადგენლის თქმით, მიუხედავად იმისა, რომ ეს უწყება ბანკის მძარცველთა ასაკობრივ სტატისტიკას არ აწარმოებს, რედი, როგორც ჩანს, მათი "მოქმედი პატრიარქია".

რედი საქმეზე უკანასკნელად გასული წლის 12 აგვისტოს გავიდა. მაშინ ის 91 წლისა იყო. ტეხასის შტატში, აბილინის "ფერსტ ამერიკენ" ბანკში, რედი კოჭლობით, ჯოხზე დაყრდნობილი შევიდა. ყურიდან სასმენი აპარატი მოუჩანდა – ასაკის ამბავია! ის ფეხათრევით მიუახლოვდა სალაროს და მოლარეს ბარათი გაუწოდა, რომელზეც ეწერა Robbery, ანუ "ეს ძარცვაა". ბევრი ვერაფერი წაიღო – მხოლოდ ორი ათასი დოლარი. პატრიარქმა თავის მანქანამდე მიფრატუნება მოახერხა. თანამზრახველები არ ჰყოლია. ის თვითონ მიუჯდა საჭეს და მოხია. მაგრამ ამჯერად რედი მდევარს ვერ გაექცა. გამვლელებმა მისი მანქანის ნომრის დამახსოვრება მოასწრეს და პოლიციას შეატყობინეს. ამჟამად რედი აბილინის ციხეში იმყოფება და განაჩენს ელის. პატრიარქს ოცწლიანი პატიმრობა ემუქრება. მაგრამ ეს მკაცრი განაჩენი სასაცილოდ ჟღერს, თუკი მძარცველის მათუსალას ასაკს გავითვლისწინებთ.

1998 წელს "ბებერმა რედმა" თავის 87-ე იუბილეს აღნიშვნაც გადაწყვიტა. მაშინ მან ერთი ბანკი მისისიპის შტატში, პატარა ქალაქ ბილოქსიში დაიგულა. რედმა დამფრთხალ მოლარეს უბრძანა: "მხოლოდ ასიანები დააწყე!" მაგრამ რედმა მანქანამდე ვერ მიასწრო: ბრბო დაეწია, წააქცია, გაკოჭა და პოლიციელებს გადასცა. როცა მოსამართლემ ჰკითხა, დანაშაულს თუ აღიარებთო, რედმა ჯერ უპასუხა: "არა", მაგრამ მერე დასძინა: "უკაცრავად, ვაღიარებო". გულკეთილმა მოსამართლემ რედს სამი წელი პირობითად მიუსაჯა და 260 დოლარით დააჯარიმა. გარდა ამისა, მოსამართლემ მოხუცს ურჩია, შტატი დატოვე და ბანკების ძარცვასაც შეეშვიო.

"ბებერმა რედმა", რომელსაც "ბიჭი-კატარაქტაც" ჰქვია (სიბერის გამო მას მხედველობა დაუქვეითდა), ბანკების ძარცვა "სახალხო შურისმაძიებლის" სტატუსით დაიწყო. საქმე ისაა, რომ ოდესღაც, მისი საქმიანი კარიერის გარიჟრაჟზე, ის ერთმა ტეხასურმა ბანკმა გააკოტრა. ის ყველა ფინანსური ინსტიტუციის, პირველ რიგში კი, ბანკების მიმართ წმინდა სიძულვილით აღივსო. "მე შურისძიება განვიზრახე და შევძელი კიდეც," განუცხადა რედმა ერთ აბილინურ გაზეთს.

შურისძიებამ, სიყვარულისა არ იყოს, ასაკი არ იცის. მართალია, მისი შედეგები ყოველთვის სასიკეთო როდია. მაგრამ ჭაღარას მაინც პატივი უნდა ვცეთ.

## პორტჩესტერელი დალაქი

შტატ ნიუ იორკში, პორტ-ჩესტერში, პიტერ ვიტას სადალაქო მოხუცთა თავშესაფარს ჰგავს. მისი კლიენტები, როგორც წესი, სულ მცირე, ოთხმოცი წლისანი, აქ ან მედდების და მომვლელების, ან შვილიშვილების და შვილთაშვილების თანხლებით მოდიან. ვიტასთან მოხვედრა მხოლოდ წინასწარი ჩაწერით შეიძლება. კლიენტების თანმიმდევრობას მათი სტაჟი განაპირობებს. ამ თვალსაზრისით პიტერ სელაინს კონკურენტი არ ჰყავს. ვიტამ ის პირველად 1922 წელს გაკრიჭა! მაშინ დალაქი თორმეტი წლისა იყო, მისი კლიენტი – ათის. ახლა დალაქი 94 წლისაა, მისი N1 კლიენტი – 92-ის. "ეს ჩემი გრძელი ცხოვრების განმავლობაში ყველაზე საშინელი გაკრეჭა იყო," იხსენებს სელაინი. "ვიტამ საშინლად გამკორტნა. მამამისს მოუწია ჩარევა, რომ კვლავ ადამიანური სახე მიმეღო. მართალია, მას მერე პიტი ბევრად უკეთ კრეჭს".

იმ შორეულ წლებში ვიტა, რომელიც სკოლის შემდეგ მამის საპარიკმახეროში დადიოდა, დალაქის ხელოვნებას ეუფლებოდა, და თავის მაღალი და გაბედული კლიენტების მომსახურებისთვის ყუთზე დგებოდა ხოლმე. ვიტა ამ საქმეს 81 წელი აკეთებდა და "გინესის რეკორდების წიგნში" მოხვდა, როგორც ჩვენს პლანეტაზე ყველაზე ხანგრძლივი პრაქტიკის მქონე პარიკმახერი. ვიტა დიდებას არ ელტვოდა, "რეკორდების წიგნს" არ უმიზნებდა, ეს შემთხვევით მოხდა. ერთხელ მისმა შვილიშვილმა წიგნის ფურცვლის დროს აღმოაჩინა, რომ მასში შეყვანილ რეკორდსმენ დალაქს, ვიღაც ფლორიდელს, 76 წლიანი სტაჟი ჰქონდა. ასეთმა უსამართლობამ ის აღაშფოთა, მან ინტერნეტით ბაბუამისის განცხადება გაგზავნა. "რეკორდების წიგნის" შემდგენლებმა დამამტკიცებელი საბუთები მოითხოვეს. "მათ მოითხოვეს ჩემი დაბადების მოწმობა, ქორწინების მოწმობა, საპარიკმახეროში გადაღებული ფოტოსურათები, სხვა საბუთები და წერილები. როცა მათი შეკითხვები, როგორც იქნა, ამოიწურა, მივხვდი, რომ წიგნში მოვხვდი. ბედნიერებისგან ბავშვივით ვტიროდი. მე ხომ ჩემს კერპთან, ბებე რუტთან ერთად აღმოვჩნდი წიგნში!" ამბობს ვიტა (რუტი ამერიკული ბესიბოლის ლეგენდაა – მ.ს.).

ასე, ერთი პორტ-ჩესტერელი დალაქი მთელს ამერიკაში და მსოფლიოშიც კი გახდა ცნობილი. მის შესახებ გაზეთებში წერდნენ, ტელევიზია ინტერვიუებს ართმევდა. მისთან მოხვედრას "გინესის რეკორდების წიგნის" სხვა რეკორდსმენებიც ცდილობდნენ, გასართობი ინდუსტრიის სახელგანთქმული ადამიანებიც და, უბრალოდ, მძაფრი განცდების მოყვარულებიც. სადალაქოდ გადაკეთებული გარაჟის კედლები მათი ფოტოსურათებითაა მოფენილი. მათ მიხედვით მეოცე საუკუნის შეერთებული შტატების ისტორიის გადახედვა შეიძლება. თავად ვიტაც იკვეხნის, რომ თავის საქმეს აკეთებს "მორზეს ანბანიდან ინტერნეტამდე, კლასიკური ჯაზის სუფთად გაპარსული თავებიდან დღევანდელ კლიენტებამდე, რომლებსაც ლითონის რგოლებით აქვთ დახვრეტილი წარბები, ტუჩები და ენა". დიახ, 81 წლის განმავლობაში ამერიკისა და ამერიკელთა სახე არა მარტო გადატანითი, არამედ პირდაპირი მნიშვნელობითაც შეიცვალა. დალაქზე უკეთ ამას ვინ შენიშნავდა?

60-იანი წლების ფოტოსურათები პიტერ ვიტაში უსიამოვნო მოგონებებს აღძრავს. "მას მერე, რაც 1964 წლის ერთ მშვენიერ კვირადღეს ამერიკაში პირველად ჩამოსული "ბითლზი" ტელევიზორში, ედ სალივენის შოუში ვნახე, ვიფიქრე, მეც და ჩემს ბიზნესსაც ბოლო მოგველო-მეთქი. ჩვენ, პარიკმახერებს, "ბითლზი" გვძულდა. მრავალი კლიენტი, რომლებსაც თვეში ორჯერ ვკრეჭდი, წელიწადში ორჯერ მოდიოდა," ამბობს ნახევრადხუმრობით ვიტა. ვიტას გალერეაში მნიშვნელოვანი ადგილი ვერცხლის ასაქაფებელ ფიალას უკავია, ის მას "პარსვის ეპოქას" აგონებს, როცა მისი პროფესიის ხალხი კლიენტებს არა მარტო კრეჭდა, არამედ პირსაც პარსავდა. "ხალხის გაპარსვა მაშინ დავიწყე, როცა მე თვითონ ჯერ უწვერული ვიყავი," ამბობს ვიტა. ახლა ის თავად ელექტრონული საპარსით, "ნორელკოთი" იპარსავს პირს, რომლითაც, სხვათა შორის, ამ სტრიქონების ავტორიც სარგებლობს. პროგრესს წინ რა აღუდგება!

პარიკმახერის კოლექციაში ყველაზე ძვირფასი სუვენირი სამოციქულო კურთხევაა, რომელიც მან რომის პაპისგან, იოანე-პავლე II-სგან თავის 90-ე იუბილეზე მიიღო. პაპთან აუდიენცია მას შვილიშვილმა, მღვდელმა ფრენკ პავონემ მოუწყო, აბორტების წინააღმდეგ მებრძოლი ორგანიზაციის - "მსოფლიოს მღვდლები სიცოცხლისთვის" დირექტორმა. "წარმოიდგინეთ - ვატიკანიდან გამომიძახეს!" - აღელვებული უყვება რეპორტიორებს ვიტა, რომელიც მანამდე პორტ-ჩესტერიდან არასოდეს გასულა. არ ვიცით, გაკრიჭა თუ არა ვიტამ პაპი – ეს პროფესიული საიდუმლოა. მაგრამ ის ვიცით, რომ ის სამსახურში ყოველდღე ველოსიპედით დადის და რომ 65 წლის განმავლობაში დაოჯახებული იყო. მისი მეუღლე სამი წლის წინათ გარდაიცვალა. ვიტას უახლოესი მეზობელი მისი უმცროსი ძმა ალბერტია, რომელიც ასევე 90-საა გადაცილებული.


პორტ-ჩესტერის ეკლესია

ღვთისმშობლის ადგილობრივი კათოლიკური ეკლესიის ერთ-ერთი მღვდელი, ტიმოთი ცეკი ამბობს: "ვიტას ენა ისევე კარგად უმუშავებს, როგორც ხელები". ამიტომ ეკლესიის მრევლსა და განსაკუთრებით კათოლიკე მოძღვრებს მასთან მიმართებაში "სამი მოკლეს" წესი აქვთ შემუშავებული: "ზემოდან მოკლედ მოჭერი, გვერდები მოკლედ შეკრიჭე და მოკლედ ილაპარაკე". თავად ვიტა "სამი მოკლედან" მხოლოდ ორ პირველს იცავს. ის პარიკმახერია და არ შეუძლია, რომ არ იჭორაოს, მით უმეტეს, პატარა, პროვინციულ ქალაქში, სადაც ყველა ყველას იცნობს. სხვათა შორის, ღვთისმშობლის ეკლესიას და ვიტას მტკიცე კავშირი აქვთ. გასულ წელს, როცა ეკლესია თავის დაარსების ას წლისთავს ზეიმობდა, ვიტა საპატიო სტუმრად იყო მოწვეული. ასივე წლის განმავლობაში წმინდა მამებს ვიტა და მამამისი ჯოზეფი კრეჭდნენ და პარსავდნენ.

გასულ წელს "გინესის რეკორდების წიგნში" შესულ პარიკმახერს უბედურება შეემთხვა. მას ინსულტმა დაარტყა. საავადმყოფო, რომელშიც ვიტა დააწვინეს, მწირობის ადგილად იქცა. ერთგული კლიენტები მის სანახავად დადიან, ამხნევებენ, საბრძოლო პოზიციაზე დაბრუნებას უსურვებენ. ზოგიერთებმა ვიტას "შთაგონებისთვის" თმაც კი მოუშვეს. ერთ-ერთი კლიენტი-ვეტერანი, ჯოზეფ კამაროტა, რომელიც 84 წლისაა, ამბობს: "ვიტამ პირველად 1949 წელს გამკრიჭა, სანამ ეკლესიაში ჯვრის დასაწერად წავიდოდი. ახლა ვეუბნები – კიდევ ექვსი წელი გაძელი, სანამ ჩემი შვილიშვილი სკოლას დაამთავრებს. მე მინდა, რომ გამოსაშვებ საღამოზე ლამაზი იყოს". მეორე ვეტერანი კლიენტი, 86 წლის დომ ცირული კი დაურთავს: "სად იპოვნი ახლა ძველი ყაიდის პარიკმახერს, რომელიც ფენით არ სარგებლობს და გაკრეჭაში 25 დოლარს არ გართმევს?"

კლიენტები თავიანთ ფიგაროს ყველანაირად ეხმარებიან. თავად ფიგარო, რომელიც ამჟამად სარეაბილიტაციოდ ნიუ იორკის ჰოსპიტალში, "იუნაიტედ მედიკლ ცენტერში" იმყოფება, ძალ-ღონეს არ იშურებს იმისთვის, რომ თავის მეგობარ-კლიენტებს იმედები არ გაუცრუოს. მისი მკურნალი ექიმი, ფიზიოთერაპევტი ჯეი ლევეტი ამბობს: "არ ვიცი, ვინმეს გაკრეჭას შეძლებს თუ ვერა, მაგრამ რომ ეცდება – ამაში დარწმუნებული ვარ".

ყოველი შემთხვევისთვის, პორტ-ჩესტერის მოსახლეობა ლატარეის გათამაშებას გეგმავს, დაბრუნებული რეკორდსმენი პარიკმახერის პირველი კლიენტობის უფლების მოპოვებისთვის. დიდება მამაც და ერთგულ კლიენტებს!

სვეტი



მალხაზ ხარბედია

## პირადი ბიბლიოთეკა

### მილან კუნდერა, "უკვდავება" (1990)

კუნდერომანიის მცირე ტალღამ რამდენიმე წლის წინ საქართველოსაც გადაუარა. მახსოვს, მაშინ ბევრი კითხულობდა მის მახვილგონივრულ და სევდიან რომანებს მამასისხლად ნაყიდ "ინოსტრანკებში". შემდეგ წიგნებადაც ვნახეთ ეს ნაწარმოებები. იმ დროს კუნდერას ბევრი სნობიც ეტანებოდა, მაგრამ მალე დოვლატოვმა, პავიჩმა და მურაკამიმ გაიტაცა ისინი, ხოლო დღეს, უკვე კოელომანიის უცნაური და გაუგებარი სენი მძვინვარებს საქართველოში.

მაგრამ მოდით დროზე დავანებოთ ამ უხერხულ თემებზე ლაპარაკს თავი - ბოლო-ბოლო ყველას აქვს უფლება, ის წაიკითხოს, რაც სურს - და თავად რომანზე გადავიდეთ, რომელიც იმდენად რთულია მოსაყოლად და საანალიზოდ, რამდენადაც საიამოვნო - კითხვისას.

თქვენი ყურადღება პირველ რიგში ერთ უცნაურობას მინდა მივაპყრო. საქმე ისაა, რომ ერთ-ერთ ეპიზოდში კუნდერა გოეთესა და ჰემინგუეის ახვედრებს ერთმანეთს, რომლებიც ტკბილ, მეგობრულ ბაასში ჩაებმებიან და მალე, ეს ორი "უკვდავი", პლატონის დიალოგის გმირებივით აჭიკჭიკდებიან.

მართლაც, რა უნდა იყოს ამაზე არაბუნებრივი, როგორ შეიძლება ეს ორი მწერალი - თუნდაც სამოთხეთში - შეახვედრო ერთმანეთს და ბრძნულად ამასლაათო. მერე კიდევ, ავტორმა გოეთეს ზუსტად ჰემინგუეის ყაიდაზე ჩააცვა (მწვანე კეპი, პერანგში ჩაფენილი ჟაბო და "შლოპანცები"). წარმოიდგინეთ, რას იტყოდა ბეტინა ფონ არნიმი, სამოთხეში, თავისი უცნაურად "გაზმანული" სატრფო ვიღაც გაბურძგნილ პაპასთან ერთად მოსეირნე რომ ენახა. გოეთესაც სხვა რა უნდოდა (ეგღა აკლდა, სამოთხეშიაც იგივე ხალხთან ესეირნა, შილერებთან, ეკერმანებთან და ჰერდერებთან), თავის მხრივ, ჰემინგუეი კი ცოლების ყურადღებას გაურბოდა და გერტრუდა სტაინისნაირი ტიპების კამპანიასაც სცილდებოდა. ასეთი იყო მათი მეგობრობის ორმაგი ეფექტი, ისინი თავს აღწევდნენ იმ ადამიანებს, ვის გვერდითაც მთელი ცხოვრება გაატარეს და ახლა საშუალება ეძლეოდათ, ტკბილად ესაუბრათ სხვადასხვა პრობლემაზე. მაგალითად უკვდავებაზე.

რა არის უკვდავება? ამის საილუსტრაციოდ ავტორი ხან თანამედროვე მასმედიის მაგალითებს მოუხმობს, ხან კი ევროპულიეროსის ისტორიას. მთელი რომანი სავსეა ასეთი მაგალითებით, ყველას ვერ ჩამოთვლი და სანიმუშოდ ერთ მაგალითს მოვიყვან მხოლოდ.

ერთ-ერთ წერილში ბეტინა ფონ არნიმი გოეთეს წერდა - "ძალიან მინდა სამარადისოდ მიყვარდე"-ო. ამ ბანალური ფრაზიდან კუნდერა ორ სიტყვაზე მიაქცევს ჩვენს ყურადღებას, "მინდა"-ზე და "სამარადისოდ". მისი აზრით, ეს ორი სიტყვა გაცილებით უფრო მნიშვნელოვანია, ვიდრე "სიყვარული". ის, რაც ბეტინასა და გოეთეს შორის ხდებოდა და რაზეც ისინი საუბრობდნენ, სიყვარული არ იყო, ეს იყო უკვდავება, ვნება, რომელიც რიტორიკულ მარგალიტად უფრო ბრწყინავდა, ვიდრე ეროტიულად, უკვდავების ისტორიაში შესვლას უფრო ლამობდა, ვიდრე სიყვარულისა.

■ ■ ■

კუნდერა იმ ავტორთა რიცხვს მიეკუთვნება, ვინც ხშირად გამოერევა ხოლმე თავის პერსონაჟებში. კითხულობ რომანს და ხვდები, რომ აი ის ბიძაკაცი, ჯინსის შარვლით რომ დადის და გაღეღილი პერანგი აცვია, თავად ბატონი მილანია, თანამედროვეობის ერთ-ერთი ყველაზე გულახდილი მწერალი. გულახდილი არა იმიტომ, რომ უელბეკივით ან რომელიმე სკანდალისტივით უწმაწურია, არამედ იმის გამო, რომ მისი წყალობით ზოგჯერ რომანის გმირთა დაბადების უშუალო მომსწრენი ვხდებით ხოლმე. მაგალითად "უკვდავების" დასაწყისშივე ვხედავთ, თუ როგორ იშვება ანიესი (რომანის მთავარი გმირი) ვიღაც ხნიერი ქალბატონის ერთადერთი ჟესტიდან. "იშვება როგორც ვენერა ზღვის ქაფიდან, ანდა როგორც ევა ადამის ნეკნიდან", იშვება ჟესტიდან, რადგანაც კუნდერასთვის ჟესტი უფრო ინდივიდუალურია, ვიდრე თავად ინდივიდი.

კუნდერა ერთ-ერთ პერსონაჟს საუბარში გამოუტყდება, ძალიან მინდა ჩემი რომანი ნადიმს გავდეს, ნაირ-ნაირი კერძით გაწყობილ სუფრას და არა ველორბოლასო (ალბათ, ტრადიციულ, სწორხაზოვან თხრობას გულისხმობდა). მას ერთი სული აქვს, როდის შეუდგება იმ ეპიზოდის წერას, სადაც ის სრულიად ახალი პერსონაჟის შემოყვანას აპირებს და ეს პერსონაჟი ისე გავა რომანიდან, რომ კვალსაც კი არ დატოვებს. ეს იქნება რომანი რომანში და იმავდროულად "ყველაზე სევდიანი ეროტიკული ისტორია, რომელიც კი ოდესმე დამიწერია" - ამბობს მილანი.

ამ სიტყვების შემდეგ თანამოსაუბრეებს შორის ასეთი დიალოგი იმართება:

"- რა ერქმევა შენს რომანს?

- "ყოფიერების აუტანელი სიმსუბუქე".

- მაგრამ ეს სათაური მემგონი უკვე ჰქონდა ვიღაცას.

- მე მქონდა. მაგრამ მაშინ შევცდი. ახლა ვწერ რომანს, რომელსაც უფრო მოუხდებოდა ეს სათაური."

ამ ციტატის შემდეგ უკვე საშუალება გვეძლევა კუნდერას პოეტიკაზეც ვთქვათ ორიოდე სიტყვა.

მასთან მოქმედება და მოვლენები არ სინქრონიზდება მხოლოდ ერთ რომელიმე რომანში, არამედ მის ყველა დანარჩენ ნაწარმოებზეც ვრცელდება. მაგიური ფორმულის, "სწორედ ამ დროს..." წარმოთქმისას კუნდერა გადის ერთი წიგნის (ვთქვათ "უკვდავების") ფარგლებიდან და ჩვენ, მკითხველებს, სხვა რომანებიც შეგვიძლია ჩავსვათ ამ კონტრაპუნქტულ ქსელში. ასეთი დამთხვევების შესახებ, კუნდერას წიგნის დაწერაც განუზრახავს, რომელსაც სახელად "შემთხვევითობის თეორიას" დაარქმევდა.

ჩეხი მწერლის მთელს შემოქმედებასაც სწორედ ეს საერთო სათაური (პრუსტის "დაკარგული დროის..." ყაიდაზე) შეგვიძლია მივუყენოთ, ხოლო "უკვდავების" ის ეპიზოდი, რომელიც ზემოთ ვახსენე, ზოგად კომენტარად უნდა აღვიქვათ, ახალი კერძივით რომ შემოაქვს ავტორს თავისი შემოქმედების მრავალფეროვან სუფრაზე, ეროტიკულ ნადიმზე.

ამ ეპიზოდის მთავარი გმირი რუბენსია, ვისი დაკვირვებებიც სისტემატიზირებისთვის განაწყობს ავტორს. იგი ეროტიკული ცხოვრების ხუთ პერიოდს გამოყოფს, სადაც ქალისა და მამაკაცის ქცევები გარკვეულ სინქრონულ ჯაჭვს ქმნიან და საბოლოოდ ამ სისტემას რაღაც მისტიკური, ფინალური პერიოდი აგვირგვინებს.

1. ათლეტური სიმუნჯის პერიოდი - როცა ყმაწვილი ვერ ახერხებს ქალს თავისი ეროტიკული ფანტაზიები გაუზიაროს და მთელი მისი სასიყვარულო ენერგია ფიზიკურ ძალმოსილებად იქცევა. 2. მეტაფორების პერიოდი - როცა პირველად ბედავ ქალის სასქესო ორგანოს ხმამაღლა სახელდებას, ოღონდ გარკვეული პოეტური პერიფრაზით, ან კნინობითი ფორმით. 3. უხამსი სიმართლის პერიოდი - როცა ყველაფერს თავისი სახელი ერქმევა. 4. გაფუჭებული ტელეფონის პერიოდი - აქ ასპარეზზე, შენთან და შენს მეწყვილესთან ერთად, სხვებიც გამოდიან. 5. მისტიკური პერიოდი - რუბენსს აქ გონება გაუნათდება, იგი მიხვდება, რომ ყველა ქალსა და მამაკაცში ეროტიკული ოცნება-ხატების ერთი საერთო ნაკადი მიედინება, ანუ ცალკეული ადამიანები თავის წილ უხამსობას საყვარლებისგან კი არ მიიღებენ გაფუჭებული ტელეფონის პრინციპით, არამედ გარკვეული უპიროვნო (ზეპიროვნული თუ ინფრაპიროვნული) ნაკადისგან და რადგანაც იგი უპიროვნოა, ეს ნაკადი ჩვენ არ გვეკუთვნის, არამედ იმას, ვინც ჩვენ შეგვქმნა, ღმერთს.

როცა რუბენსმა პირველად ჩამოაყალიბა ეს აზრი, მკრეხელობად მიიჩნია იგი, მაგრამ შემდეგ განქარდა ეს განცდა, რუბენსიც ღვთისმოსავის მორჩილებით ჩაეშვა ამ მიწისქვეშა დინებაში და ყოველთვის, როცა ამ ნაკადში იძირებოდა, ეგონა, თითქოს მისტიკური შერწყმით ერთიანდებოდა ღმერთთან.

აი, ხომ ხედავთ სადამდე მივიდა კუნდერა, როგორი თეოლოგიური კლანჭები გამოაჩინა. ბევრი თქვენთაგანი, შესაძლოა, დაიბნა კიდეც, მაგრამ როცა თავად კუნდერას კითხულობ, როცა ასეთ განსჯებთან ერთად მისი თხრობის მანერასაც ითავისებ, მალე აღმოვაჩენთ იმ ზეპიროვნულ ნაკადებს და იმასაც გავიფიქრებთ, თითქოს მისტიკური შერწყმით ვერთიანდებით დიდ მსოფლიო ლიტერატურასთან. ვერთიანდებით ჩვენ, ქართველი, ზარმაცი მკითხველები, ვინც - ერთ ჩეხურ გამოთქმას თუ მოვიშველიებთ - "უფლის სარკმლებს მივჩერებივართ" და ასეთ მცონარე ნეტარებაში გაგვყავს დრო.

ფეხბურთი

# გია ფირცხალავა: "ფეხბურთი - სახელმწიფო მზრუნველობა"

მიხეილ აბაიშვილი


ლევან ხერხეულიძის ფოტო

გია ფირცხალავა სტუმრად "24 საათის" რედაქციაში

ხვალ, 5 მარტს, საქართველოს ფეხბურთის ფედერაციის გენერალური მდივნის სავარძელი ოფიციალურად გათავისუფლდება. ვალერი ჩოლარიას შემცვლელის დანიშვნამდე კი შეიძლება ბევრმა წყალმა ჩაიაროს. თუმცა, უკვე სახელდება რამდენიმე კანდიდატურა, რომელთა შორის გია ფირცხალავას სახელი სულ უფრო ხშირად გაისმის.

ქართულ საფეხბურთო სამზარეულოში ჩახედულთათვის ეს მოულოდნელი ნამდვილად არ უნდა იყოს. აქტიური და საკმაოდ წარმატებული საფეხბურთო კარიერის დასრულების შემდეგ ფირცხალავამ საფეხბურთო ჩინოვნიკის ნიჭიც გამოავლინა. საქართველოს ფეხბურთის ფედერაციის პრეზიდენტის 1998 წლის არჩევნებში გამარჯვების შემდეგ ჟორდანიამ გია ფირცხალავა ერთ-ერთი ყველაზე მნიშვნელოვანი განყოფილების, საშეჯიბრებო კომიტეტის თავმჯდომარედ დანიშნა. სწორედ ამ კომიტეტმა შეიმუშავა საქართველოს ჩემპიონატის ჩატარების ახალი, 12-გუნდიანი და 2-ეტაპიანი მოდელი. ახალი სისტემის წყალობით, საქართველოს ჩემპიონატში ეგრეთ წოდებული "გამსვლელი", ანუ ყოველგვარ ინტერესს მოკლებული თამაშების რაოდენობა საგრძნობლად შემცირდა, გაიზარდა კონკურენცია და დაძაბულობა, გულშემატკივარიც თანდათან დაუბრუნდა სტადიონს. თქმა იმისა, რომ ახალი მოდელით ქართულ საკლუბო ფეხბურთში ყველა პრობლემა მოგვარდა და ყველა ნაკლოვანება გამოსწორდა, სასაცილო იქნება, თუმცა, სერიოზული პროგრესი რომ განიცადა, ამაში, ალბათ, ბევრი დამეთანხმება.

2001 წლის ნოემბერში ფირცხალავამ ბადრი პატარკაციშვილის შეთავაზება მიიღო და თბილისის "დინამოს" აღმასრულებელი დირექტორის პოსტი დაიკავა. სწორედ ფირცხალავამ დაიწყო გუნდის რეორგანიზაცია და მისთვის ქართული საკლუბო ფეხბურთის ლიდერის პოზიციის დაბრუნებაზე აქტიური მუშაობა. ამ მიზნისკენ გადადგმული პირველი ნაბიჯი – მთავარ მწვრთნელად ივო შუშაკის ჩამოყვანა, არა მხოლოდ "დინამოს", არამედ საქართველოს ნაკრების არცთუ ხალისის მომგვრელ ისტორიაშიც სასიამოვნო მოსაგონრად დარჩება. ფირცხალავამ "დინამოს", მართლაც, დაუბრუნა ძველი პოზიციები. გუნდმა 2002-2003 წლების სეზონში საქართველოს ჩემპიონის სამი წლის წინ დაკარგული ტიტული დაიბრუნა, გაიმარჯვა დავით ყიფიანის თასის გათამაშებაში, მოსკოვში გამართულ დსთ-ს ჩემპიონთა ტურნირში ტრიუმფალური გამარჯვება მოიპოვა. რაც ყველაზე მნიშვნელოვანია, აღმასრულებელი დირექტორის გამართული მენეჯმენტის შედეგად ამ მოკლე დროში "დინამომ" საქართველოს ეროვნულ ნაკრებს ერთბაშად 7-8 ფეხბურთელი მისცა.

2003 წლის სექტემბერში ფირცხალავამ დატოვა "დინამოს" აღმასრულებელი დირექტორის პოსტი, თუმცა, ფეხბურთიდან წასვლა არც უფიქრია. ამ ცოტა ხნის წინ ბრაზილიური საფეხბურთო წრეებისა და კლუბების მიწვევით ბრაზილიაში იმყოფებოდა, სადაც მნიშვნელოვანი კონტაქტები დაამყარა, რაზეც "24 საათმა" უკვე მოგაწოდათ ინფორმაცია. მას საქართველოს ჩემპიონატის რამდენიმე კლუბმა შესთავაზა სხვადასხვა პოსტი, თუმცა, ფირცხალავა ჯერჯერობით თავს იკავებს.

"24 საათის" შეკითხვებს პასუხობს გია ფირცხალავა.

**- რა კომენტარს გააკეთებთ ვალერი ჩოლარიას თანამდებობიდან წასვლის თაობაზე?**

- ჩემთვის ცნობილია, რომ ბატონმა ვალერიმ თანამდებობა საკუთარი სურვილით დატოვა. მე სამი წლის განმავლობაში ვმუშაობდი მის გვერდით და შემიძლია ვთქვა, რომ იგი, მართლაც, ორგანიზატორული ნიჭით დაჯილდოებული ადამიანია. შეუცვლელი არავინაა, თუმცა, მინდა გითხრათ, რომ მის შემცვლელს დიდი ტვირთის ტარება მოუწევს.

**- ახლო წარსულში ფეხბურთის ფედერაციაში წარმატებული მოღვაწეობიდან გამომდინარე, გენერალური მდივნის პოსტზე რეალურ კანდიდატად ითვლებით. რას იტყვით ამასთან დაკავშირებით?**

- ასეთმა ხმებმა ჩემამდეც მოაღწია, თუმცა, შემიძლია ვთქვა, რომ ამ საკითხთან დაკავშირებით არავინ შემხმიანებია. ამიტომ კომენტარი ზედმეტად მიმაჩნია.

**- საქართველოს ნაკრების მთავარ მწვრთნელად ალენ ჟირესი ინიშნება. როგორ ფიქრობთ, რამდენად გამართლებულია არჩევანის ამ კანდიდატურაზე შეჩერება?**

- თბილისის "დინამოში" მუშაობის დაწყების პირველივე დღეებიდან მეც ეს პრობლემა მქონდა გადასაწყვეტი. სხვადასხვა კრიტერიუმის გათვალისწინებით დავიწყე მწვრთნელის შერჩევა. სპეციალისტი, რომელზეც არჩევანს შევაჩერებდი, ავტორიტეტული პროფესიონალი უნდა ყოფილიყო, რომელსაც კარგი და წარმატებული სამწვრთნელო წარსულიც გაუმაგრებდა ზურგს. ივო შუშაკს ყველა ეს ღირსება აქვს, ამასთან, ხორვატიიდანაა. ხორვატია კი ბევრი კომპონენტით ჰგავს საქართველოს. შესაბამისად, შუშაკს საქართველოში მუშაობისას მენტალური ხასიათის პრობლემები არ ექნებოდა. თუ რამდენად გაამართლა ამ კანდიდატურამ, სხვებმა გადაწყვიტონ.

ნაკრების მწვრთნელის მოძიება გაცილებით რთული საქმეა და იმის მიმართ, ვისაც ამ პოსტს ანდობენ, მოთხოვნები ყოველთვის გაათკეცებულია. წინასწარ იმის მტკიცება, რომ ჟირესი საქართველოს ნაკრებში ბრწყინვალე შედეგებს მიაღწევს, ან, პირიქით, სწორი არ იქნება. ჟირესი საფრანგეთის ნაკრების მთავარი მწვრთნელის პოსტზე ერთ-ერთ კანდიდატად მოიაზრებოდა. საფრანგეთის ფეხბურთის ფედერაციამ ამ საკითხის გადაწყვეტისას კენჭისყრა მოაწყო. მართალია, გაიმარჯვა ჟაკ სანტინიმ, მაგრამ მან ჟირესს მხოლოდ 3 ხმით გაასწრო. ამით, ვფიქრობ, ყველაფერია ნათქვამი. კაცს, რომელსაც თითქმის ჩააბარეს თანამედროვეობის ერთ-ერთი საუკეთესო ეროვნული გუნდი, ჩვენგან არაფერი დაეწუნება. შესაბამისად, მიმაჩნია, რომ არსებული კანდიდატურებიდან ჟირესის არჩევა ამ ეტაპზე საუკეთესო გადაწყვეტილებაა. ქვეყნის ხელისუფლება დიდ ყურადღებას იჩენს ამ საკითხის მიმართ, რაც იმის იმედს გვაძლევს, რომ ახლო მომავალში ფეხბურთი სახელმწიფოებრივი ყურადღებისა და თანადგომის ობიექტი იქნება.

**- რამდენად მნიშვნელოვანია, რომ სახელმწიფომ ამ საკითხების გადაწყვეტაში მიიღოს მონაწილეობა?**

- ქვეყნებში, რომლებიც დანარჩენ მსოფლიოს საფეხბურთო მოდას კარნახობენ, სწორედ სახელმწიფოებრივი მიდგომით განვითარდა სპორტის ეს სახეობა. ამ ქვეყნებში შედგენილია ფეხბურთის განვითარების სახელმწიფოებრივი გრძელვადიანი პროგრამები, რომელთა შემუშავებაზე, განხორციელებასა და კონტროლზე ფეხბურთის ფედერაციასთან ერთად სახელმწიფო კომისიები მუშაობენ.

ქვეყნის პრეზიდენტის, მიხეილ სააკაშვილის განცხადება, რომ ფეხბურთს პირად კონტროლზე აიყვანს, იმის მანიშნებელია, რომ ფეხბურთი საქართველოში დაიწყებს აღორძინებას.

# აილტონი ყატარელი ხდება

ყატარელები თავიანთი ნაკრებისთვის ევროპაში მოთამაშე ვარსკვლავებს "ყიდულობენ"


აილტონი ყატარის ნაკრებში ითამაშებს

ყატარელებმა რომ სერიოზულად მოკიდეს ხელი თავიანთი ფეხბურთის აღორძინების საქმეს, უკვე კარგად არის ცნობილი. ამ არაბული ქვეყნის საფეხბურთო კლუბები სულ უფრო მეტ ვარსკვლავებს ყიდულობენ. მართალია, იქ უკვე საშუალო საფეხბურთო ასაკს გადაცილებული მოთამაშეები მიდიან, მაგრამ ყატარში მოასპარეზე ვარსკვლავების სია ნამდვილად შთამბეჭდავია. შტეფან ეფენბერგი, გაბრიელ ბატისტუტა, ფერნანდო იერო, ხოსება გვარდიოლა... ყატარის კლუბების მრავალრიცხვოვანი ლეგიონერების ჩამოთვლა შორს წაგვიყვანს.

ყატარელები მხოლოდ საკლუბო ფეხბურთის აღორძინებაზე როდი ფიქრობენ. მათ გადაწყვიტეს, ეროვნული ნაკრები გუნდების მასშტაბითაც მიაღწიონ წარმატებებს. ყატარელებმა მიზნად დაისახეს, რომ მსოფლიოს 2006 წლის ჩემპიონატის ფინალურ ეტაპზე თამაშის უფლება მოიპოვონ.

როგორ უნდა მოახერხოს ყატარის ნაკრებმა მუნდიალზე გასვლა? ყატარელ ფეხბურთელებს ამის უნარი ნამდვილად არ შესწევთ. მაგრამ ყველაზე საინტერესო ის არის, რომ თავიანთი ნაკრების აღორძინებას ყატარელები იმავე ხერხით ცდილობენ, რა ხერხითაც თავიანთი კლუბების გაძლიერება შეძლეს – ლეგიონერებით. ცხადია, ნაკრებში არ შეიძლება ლეგიონერების თამაში, ეს ყატარელებმაც კარგად იციან. მაგრამ ყატარის მოქალაქეებს ხომ აქვთ ნაკრებში თამაშის უფლება? ჰოდა, საქმეც ეს არის.

ყატარელები ევროპაში მოთამაშე უცხო ეროვნების ფეხბურთელებს დაერივნენ და მათ ყატარის პასპორტებს სთავაზობენ. მოგეხსენებათ, ამ ქვეყანას ფულის პრობლემა ნამდვილად არა აქვს. ყატარის მოქალაქეობის მიღების სანაცვლოდ უცხოელ ვარსკვლავებს ისინი დიდ გასამრჯელოს სთავაზობენ.

ერთი შეხედვით, ეს აბსურდია, თუმცა, ყველაფერი საკმაოდ რეალურია. იმ ფეხბურთელებს, რომელთაც მათი ქვეყნების ნაკრებ გუნდებში არ იწვევენ, მსოფლიო ჩემპიონატზე თამაშის რეალური შანსი უჩნდებათ. ისინი გააგრძელებენ თავ-თავიანთ კლუბებში მოღვაწეობას და პარალელურად ყატარის ნაკრების შემადგენლობაშიც ითამაშებენ, თანაც, სხვა ნაკრები გუნდების ფეხბურთელებისგან განსხვავებით, ყატარის ნაკრებში თამაშისთვის თითქმის ისეთივე გასამრჯელოს მიიღებენ, როგორსაც მათ კლუბები უხდიან.

ამ ვრცელი შესავლის შემდეგ მოგახსენებთ, რომ ბრემენის "ვერდერის" ბრაზილიელი ფორვარდი, ბუნდესლიგის საუკეთესო ბომბარდირი აილტონი ყატარელი ხდება. ის პირველია, ვინც არაბების წინადადებას დათანხმდა და სამშობლოს იცვლის.

აილტონი ჩინებული ფორვარდია, ის საუკეთესოა ბუნდესლიგაში, თუმცა, ბრაზილიის ნაკრებში მოხვედრის იმედი კარგა ხნის წინ გადაეწურა. აილტონი უკვე 30 წლისაა. რონალდოს, რონალდინიოს, ადრიანოს და სხვა ვარსკვლავებით დახუნძლულ ბრაზილიის ნაკრებში მოხვედრის შანსი კი აღარა აქვს. ყატარელებმა მას პასპორტის შეცვლა და თავიანთ ნაკრებში თამაში შესთავაზეს. აილტონი დათანხმდა.

"კვირას, "მიუნხენ 1860"-თან მატჩის შემდეგ, ყატარში გავფრინდები და კონტრაქტს მოვაწერ ხელს", - განაცხადა აილტონმა. ბრაზილიელ ფორვარდს დიდი იმედი აქვს, რომ თავისი ახალი სამშობლოს ეროვნული ნაკრების შემადგენლობაში მსოფლიოს 2006 წლის ჩემპიონატზე ითამაშებს. თანაც, თავის კაპიტალს საგრძნობლად გაზრდის. მათი ქვეყნის მოქალაქეობის მიღების სანაცვლოდ, ყატარელები აილტონს ერთ მილიონ ევროს გადაუხდიან, ხელფასის სახით კი ყოველწლიურად 400 ათას ევროს მიიღებს.

აილტონის ახლანდელი კლუბის, "ვერდერის" ხელმძღვანელები თავიანთი ფორვარდის გადაწყვეტილებით არცთუ ისე კმაყოფილები არიან, რადგან ამიერიდან აილტონი მხოლოდ "ვერდერზე" კონცენტრირებას ვეღარ შეძლებს. თუმცა, ბრემენელები ბრაზილიელის გადაწყვეტილებას მაინც გაგებით მოეკიდნენ. "თუ რომელიმე შეიხი ჩემი პასპორტის სანაცვლოდ მილიონ ევროს შემომთავაზებს, მაშინ ამ პასპორტისთვის ჯიბესაც გამოვნახავ", - განაცხადა "ვერდერის" მენეჯერმა იურგენ ბორნმა.

ბრემენელთა პოზიცია გასაგებია - მიმდინარე სეზონის დასრულებისთანავე აილტონი "ვერდერიდან" მიდის. საინტერესოა, რა აზრის არიან მისი მომავალი კლუბის, გელზენკირხენის "შალკეს" ხელმძღვანელები? აილტონის გადაწყვეტილება მაინცდამაინც არც შალკელებს აღელვებთ. "ბევრად უარესი იქნებოდა, რომ აილტონი ბრაზილიის ნაკრებში მიეწვიათ. მაშინ მას წელიწადში 18 მატჩის ჩატარება მოუწევდა. იმედი მაქვს, მსოფლიო ჩემპიონატის საკვალიფიკაციო მატჩებში ყატარი ვერავითარ წარმატებას ვერ მიაღწევს", - ამბობს "შალკეს" მენეჯერი რუდი ასაუერი.

თუ ყველაფერი გეგმის მიხედვით წარიმართება, ყატარის ეროვნული ნაკრების შემადგენლობაში აილტონი უკვე 31 მარტს, იორდანიის წინააღმდეგ მსოფლიო ჩემპიონატის შესარჩევ მატჩში ითამაშებს.

ყატარიდან შემოთავაზება აილტონის თანაგუნდელს, "ვერდერის" ფრანგ ლეგიონერ ვალერიენ ისმაელსაც ჰქონდა, თუმცა, მან უარი განაცხადა. "ეს მეტისმეტად დიდი დატვირთვა იქნებოდა ჩემთვის. თანაც, ყატარი არ არის საჩემო ქვეყანა. მე მხოლოდ "ვერდერზე" ვარ კონცენტრირებული", - განაცხადა ისმაელმა.

თავიანთ ნაკრებში ყატარელები დორტმუნდის "ბორუსიას" ბრაზილიელ ნახევარმცველს, დედესაც ეპატიჟებიან, თუმცა, მისი პოზიცია ჯერ უცნობია.

## ინფოთეკა

**სპორტული თამაშები.** ჰომოსექსუალისტთა საერთაშორისო სპორტული თამაშების ფედერაციამ საკუთარი ამქრის თამაშებისთვის 2006 წლის საასპარეზო არენად ჩიკაგო აირჩია. როგორც ფედერაციის თანათავმჯდომარემ კეტლინ ვებსტერმა "ასოშეიტედ პრესს" აცნობა, ჰომოსექსუალისტთა VII საერთაშორისო სპორტული თამაშები 25 სპორტულ და კულტურულ ღონისძიებას უმასპინძლებს. თამაშების მოსამზადებლად გათვალისწინებულია 6,2 მილიონი დოლარი. პირველ ანალოგიურ თამაშებს, 1982 წელს, სან-ფრანცისკომ უმასპინძლა.

■ ■ ■

**ოლიმპიზმი.** საერთაშორისო ოლიმპიურმა კომიტეტმა (სოკ) 2010 წლის ზამთრისა და 2012 წლის ზაფხულის ოლიმპიური თამაშების ევროპული ტელეტრანსლაციის უფლების გაყიდვასთან დაკავშირებით ტენდერი გამოაცხადა. "როიტერის" ცნობით, დაინტერესებულმა კომპანიებმა საკუთარი წინადადებები 22 აპრილამდე უნდა წარმოადგინონ.

■ ■ ■

**ოლიმპიზმი.** სამშაბათს ათენში დაახლოებით 150 ადამიანი 2004 წლის აგვისტოში ოლიმპიური თამაშების გამართვის წინააღმდეგ გამოვიდა. მომიტინგეებმა საპროტესტო აქციისთვის ათენის უნივერსიტეტის მიმდებარე ტერიტორია შეარჩიეს. მათ ეჭირათ ტრანსპარანტები წარწერით: "ოლიმპიური თამაშები - ეს მექრთამეობა და დოპინგია. ეს არ არის ოლიმპიური იდეალები" და "ჩვენ არ ვმონაწილეობთ ოლიმპიურ ჭირში".

■ ■ ■

**ცურვა.** 21 წლის ამერიკელმა იან კროკერმა 50 მეტრზე ბატერფლაით მსოფლიო რეკორდი (23,3) დაამყარა. წინამორბედი რეკორდი ავსტრალიელ მეტიუ უელშს ეკუთვნოდა და იგი კროკერის რეკორდზე 0,13 წამით მეტი გახლდათ.

■ ■ ■

**მძლეოსნობა.** სიმაღლეში ხტომაში სამხრეთაფრიკელმა მსოფლიო ჩემპიონმა ჟაკ ფრეიტაგმა ოთხშაბათს განაცხადა, რომ ათენის ოლიმპიურ თამაშებზე ტრავმის გამო ვერ იასპარეზებს. 21 წლის ფრეიტაგმა მსოფლიო ჩემპიონობა შარშან პარიზში მოიპოვა, შედეგით 2,35მ.

■ ■ ■

**ფორმულა 1.** კარს მომდგარი მსოფლიო ჩემპიონატის წინ, რომლის პირველ ეტაპსაც 7 მარტს მელბურნი უმასპინძლებს, ტელეარხმა "Premiere"-მა გერმანელ გულშემატკივართა გამოკითხვა ჩაატარა. სამეფო რბოლების მოყვარულ გერმანელებს უნდა უპასუხათ ორ კითხვაზე: ვინ გახდება მსოფლიო ჩემპიონი და ვის უქომაგებენ. გამოკითხულთა 78 პროცენტი დარწმუნებულია, რომ მიხაელ შუმახერს წლეულსაც ვერავინ შეაჩერებს. მსოფლიოს ექვსგზის ჩემპიონის ძმის, რალფის ("უილიამსი") გამარჯვების სჯერა გამოკითხულთა 11 პროცენტს, ხუან-პაბლო მონტოიასი ("უილიამსი") – 7 პროცენტს. მაკლარენელი კიმი რაიკონენისა და ფერარელი რუბენს ბარიკელოს შანსები კი, შესაბამისად, 3 და 1 პროცენტად შეფასდა. იმ შემთხვევაში, თუ ჩემპიონობის უმთავრესი პრეტენდენტები ძმები შუმახერები გახდებიან, გერმანელ გულშემატკივართა 54 პროცენტი რალფს დაუჭერს მხარს, 35 პროცენტი კი - მიხაელს.

კონსტრუქტორთა ჩათვლაში გერმანელები "ფერარის" (58 ხმა) ანიჭებენ უპირატესობას. შემდეგ მოდიან "უილიამსი" (22 ხმა) და "მაკლარენი" (19 ხმა).

■ ■ ■

**ველოსპორტი.** მსოფლიოს საუკეთესო ველომრბოლები, ამერიკელი ლანს არმსტრონგი და გერმანელი იან ულრიხი მიმდინარე სეზონში "ჯირო დ`იტალიას" გამოტოვებენ. ამის შესახებ იტყობინებიან შეჯიბრების ორგანიზატორები. როგორც ირკვევა, ამგვარი გადაწყვეტილების მიზეზი "ტურ დე ფრანსისთვის" მზადება ყოფილა. ამის გამო არმსტრონგმა და ულრიხმა "ჯიროზე" უარი თქვეს.

რაც შეეხება "ჯიროს", იგი 8 მაისს დაიწყება და, როგორც წესი, სამ კვირაში დამთავრდება. მონაწილეობას მიიღებს 20 გუნდი, რომელთა შორის 11 იტალიურია. ყველაზე ცნობილია "საეკო", რომლის სათავეშიც 2001 წლის გამარჯვებული ჯილბერტო სიმონი დგას. "ტურ დე ფრანსზე" მონაწილეობა სიმონისაც აქვს განზრახული.

■ ■ ■

**ველოსპორტი.** "ტურ დე ფრანსის" ხუთგზის გამარჯვებულმა ლანს არმსტრონგმა საფრანგეთის საინფორმაციო საშუალებებთან საუბრისას განაცხადა, რომ კარიერის დამთავრებას 2005 წლის ბოლომდე აპირებს.

■ ■ ■

**კრივი.** ფელიქს "ტიტო" ტრინიდადმა (41-1-0, აქედან 34 ნოკაუტით) ორი დღის წინათ მოწყობილ პრესკონფერენციაზე ნიუ იორკში განაცხადა ის, რასაც მისგან დიდი ხანია ელოდნენ – ორწლიანი შესვენების შემდეგ რინგზე დაბრუნება. 31 წლის ტრინიდადმა ბოლო ორთაბრძოლა 2001 წლის 11 მაისს გამართა. მაშინ "ტიტომ" მეოთხე რაუნდში ტექნიკური ნოკაუტით ჰასინ შარიფი (32-6-1) დაამარცხა. სავარაუდოდ, პირველ ორთაბრძოლას ტრინიდადი ნოემბერში შეინ მოსლისთან გამართავს, ესეც იმ შემთხვევაში, თუ ეს უკანასკნელი 13 მარტს ვინკი რაიტს დაამარცხებს.

რაგბი

# ოთხნი ქართული რაგბის შესახებ

პაატა თოთაძე

ვინ ვართ, რა გვინდა, რას მივაღწიეთ, რისი მიღწევა შეგვიძლია და რა არის ამისთვის საჭირო? ამგვარი კითხვები დღეს ხშირად გაისმის ქართულ რაგბიში. ახალი ქართული სახელმწიფოს მშენებლობის პროცესში ასეთი კითხვების გაჩენა მოსალოდნელი იყო, მაგრამ პასუხი მათზე ჯერჯერობით გაუცემელია.

გუშინ ამას და კიდევ სხვა საკითხებს მიეძღვნა "ლოკომოტივზე" გამართული პრესკონფერენცია, რომელშიც, საქართველოს რაგბის კავშირის ხელმძღვანელობის გარდა, მონაწილეობა მიიღო ნაკრების ყოფილმა მწვრთნელმა კლოდ სორელმა.

თავდაპირველად საუბარი რუსებთან მომავალ მატჩს შეეხო. მიხეილ ბურძგლას თქმით, უკვე მესამე მატჩია, მწვრთნელები მოთამაშეთა ტრავმების გამო ოპტიმალური შემადგენლობის შეკრებას ვერ ახერხებენ, თუმცა, ეს პესიმიზმის საფუძველს არ იძლევა. "ჩვენ ამომწურავი ინფორმაცია გვაქვს რუსეთის ნაკრების შესახებ. მათგან ტაქტიკური თვალსაზრისით არანაირ სიურპრიზს არ ველით. ამასთან, სერიოზული მოტივაცია გვაქვს საიმისოდ, შაბათს მოედანზე მოსაგებად გავიდეთ", - თქვა ბურძგლამ. ბოლოდროინდელ ტრავმიანობას გუშინწინ კიდევ ერთი შეემატა – მცირედ დაშავებული თედო ზიბზიბაძის თამაშის საკითხი დღეს უნდა გადაწყდეს.

ამის შემდეგ საუბარი ნაკრების რეორგანიზაციას შეეხო. ნაკრების მწვრთნელის თქმით, შემუშავებულია მოდელი, თუ როგორ უნდა ითამაშოს გუნდმა. ახლა მიმდინარეობს იმ მოთამაშეთა ძიება, რომლებიც ამ მოდელს მოერგებიან. ეს იმას ნიშნავს, რომ არჩევანი არ გაკეთდება მხოლოდ ლეგიონერებზე ან მხოლოდ ადგილობრივებზე, გუნდში ითამაშებენ ისინი, ვინც ამ მოდელს მოერგება. ამასთან, შეიქმნება მომზადების საერთო სისტემა ყველა ასაკის ნაკრებისთვის, ჩამოყალიბდება მწვრთნელთა საკონსულტაციო ჯგუფი. მწვრთნელები შეხვდებიან ერთმანეთს, კონსულტაციებს გამართავენ, ჩამოყალიბდებიან და ნაკრებებში ერთიან პოლიტიკას გაატარებენ, მოთამაშეებისადმი ერთიანი მიდგომა ექნებათ. ამავე დროს ნაკრების მწვრთნელები შეხვდებიან კლუბების მწვრთნელებს, აუხსნიან, თუ რას უნდა მიაქციონ ყურადღება. ამგვარი მუშაობა უცბად ვერა, მაგრამ სამომავლოდ აუცილებლად მოიტანს შედეგს.


გუშინ კლოდ სორელი და ბიძინა გეგიძე ერთად იყვნენ

გოგიტა ბახაიძის ფოტო

ამის შემდეგ საქმეში კლოდ სორელი ჩაერთო და საუბარი განვლილი ოთხი წლის შეფასებით დაიწყო. მისი თქმით, ქართულმა რაგბიმ ამ პერიოდში უდიდესი პროგრესი განიცადა და თავისი ადგილი დაიმკვიდრა მსოფლიოს სარაგბო რუკაზე.

"ჩვენ დადებითი იმიჯი გვაქვს შექმნილი და ამას მოფრთხილება უნდა. ეს მხოლოდ ნაკრების სპორტული შედეგებით არ განისაზღვრება. ჩვენი მთავარი მიზანი შვიდკაცა და თხუთმეტკაცა რაგბიში მსოფლიო ჩემპიონატზე თამაში იყო და ამას მივაღწიეთ. ასე რომ, პირობა, რომელიც ჩვენ დავდეთ ხალხის წინაშე, შესრულდა. როგორც სპეციალისტი, ბუნებრივია, კმაყოფილი ვერ ვიქნებოდი ნაკრების ოთხი მარცხით მსოფლიო თასზე, თუმცა, იყო სხვა ფაქტორებიც, რომლითაც კმაყოფილება მივიღე. განვითარების ის ეტაპი დასრულდა. ახლა უკვე ბავშვთა რაგბი ითხოვს ყურადღებას. ქართული რაგბის სისუსტე მისი კლუბების სისუსტეა და ეს უმთავრესად მათი ხელმძღვანელობის ბრალია. დაბალი დონისაა ეროვნული ჩემპიონატი, რომელსაც აუცილებლად სჭირდება რეორგანიზაცია. ქართული რაგბი მარტო ვერ განვითარდება. ეს სხვა ქვეყნების გვერდში დგომით უნდა მოხდეს. არის რამდენიმე საინტერესო პროექტი, რომელთა განხორციელებაზე დიდად არის დამოკიდებული ქართული რაგბის ალმავლობა", - აღნიშნა სორელმა.

2012 წლისთვის შვიდკაცა რაგბი ოლიმპიური სახეობა იქნება. მათ, ვინც იმ დროში საქართველო მსოფლიოს უნდა წარუდგინოს, დღესვე უნდა მიხედვა. სხვაგვარად წარმატების მიღწევა შეუძლებელი იქნება. სორელიც ამასთან დაკავშირებით ჩამოვიდა ჩვენს ქვეყანაში და საქართველოს რაგბის კავშირთან ერთად წყვეტს, თუ რა ფორმით მიიღებს მონაწილეობას ამ პროექტში.

ადრეც ითქვა და გუშინაც შეეხო საუბარი იმას, მოიაზრება თუ არა კლოდ სორელი შვიდკაცა ნაკრების მწვრთნელად. როგორც გაირკვა, მოიაზრება, თუმცა, თავად სორელის თქმით, აუცილებელია, რომ მისი გაწვრთნილი გუნდი პროფესიული იყოს. "ჩემთან საუბარი ძალიან ადვილია. ვინც პირველი შემომთავაზებს პროფესიული გუნდის გაწვრთნას, მასთან წავალ სამუშაოდ. თუ ის მხარე საქართველო იქნება, აქ ვიმუშავებ", - განაცხადა ფრანგმა.

ერთ-ერთი საინტერესო პროექტი, რომელიც სორელმა აღნიშნა, შავიზღვისპირეთის ქვეყნების, ასე ვთქვათ, ზე-12-ია. ტურნირის ჩატარება უახლოეს მომავალში იგეგმება, თუმცა, "ამის და კიდევ სხვა პროექტების განხორციელება იმ შემთხვევაშია შესაძლებელი, თუ სახელმწიფოს მხრიდან დამოკიდებულება შეიცვლება. მარტო რაგბის კავშირი ამოდენა საქმეს თავს ვერ გაართმევს. მთავრობას სრული ანგარიში ჩავაბარე, თუ რა გაკეთდა და რისი გაკეთება გვინდა. სტრატეგიული განვითარების გეგმა ბატონ გაბაშვილს გადავეცი. პირადად ვესაუბრე ქვეყნის პრეზიდენტს (როცა ის სტადიონზე მოვიდა) და პრემიერ-მინისტრს. მართალია, ჯერჯერობით სახელმწიფოს მხრიდან რეაქცია არ ყოფილა, მაგრამ მე ოპტიმისტი ვარ და მჯერა, ყველაფერი სასიკეთოდ შეიცვლება, მით უმეტეს, რომ ქვეყნის ხელმძღვანელობა რაგბით ნამდვილად დაინტერესებულია", - პრესკონფერენციის მიწურულს განაცხადა რაგბის კავშირის პრეზიდენტმა ბიძინა გეგიძემ.

მოკლედ

# კასპაროვი გამაერთიანებელ მატჩში ითამაშებს


გარი კასპაროვი მსოფლიო ჩემპიონს ვიეტნამში შეხვდება

ლიბიის ლიდერი მუამარ კადაფი, იტალიის პრემიერ-მინისტრი სილვიო ბერლუსკონი და ბუდისტების სულიერი ლიდერი დალაილამა გააკეთებენ პირველ სვლას მსოფლიო ჩემპიონატზე ჭადრაკში, რომელიც ივნისის ბოლოს ტრიპოლიში დაიწყება. პირველ მარტს ფიდე-ს საპრეზიდენტო საბჭოს სხდომაზე ხელი მოეწერა ოფიციალურ კონტრაქტს ტურნირის გამართვის თაობაზე. ამის შესახებ გუშინ გამართულ პრესკონფერენციაზე ფიდე-ს პრეზიდენტმა კირსან ილიუმჟინოვმა განაცხადა. მისი თქმით, ჩემპიონატის საპრიზო ფონდი დაახლოებით ორ მილიონ ამერიკულ დოლარს შეადგენს.

ილიუმჟინოვმა პირობა დადო, რომ მსოფლიო ჩემპიონატის მონაწილეებს ლიბიის დედაქალაქში ყველა აუცილებელი პირობა შეექმნებათ. მათ განკარგულებაში იქნება კონდიციონერებითა და კომფორტის სხვა ატრიბუტიკით აღჭურვილი რამდენიმე ხუთვარსკვლავიანი სასტუმრო. ამას გარდა, პრეზიდენტის თქმით, ლიბიის ლიდერი მუამარ კადაფი გამოვიდა ინიციატივით, დაწესდეს "კადაფის ოქროს თასი", რომელსაც მსოფლიოს სამგზის ჩემპიონი მიიღებს.

ფიდე-ს საპრეზიდენტო საბჭომ ლიბიის ლიდერს გაუგზავნა თხოვნა, გასცენ ვიზა სამი ებრაელი მოჭადრაკისთვის, რომლებიც მსოფლიო ჩემპიონატში მონაწილეობას აპირებენ (შეგახსენებთ, რომ ისრაელსა და ლიბიას შორის დიპლომატიური ურთიერთობა არ არის დამყარებული). რაიმე გართულების შემთხვევაში ლიბია მზად არის, დამატებითი ხარჯი გაიღოს და მსოფლიო ჩემპიონატის ნაწილი მეზობელ მალტაში გამართოს.

ამასობაში, რეიტინგის მიხედვით მსოფლიოს პირველმა მოჭადრაკემ გარი კასპაროვმა განაცხადა, რომ მზად არის, ტურნირის გამარჯვებულს მსოფლიო ჩემპიონატის გამაერთიანებელი ციკლის ფარგლებში ვიეტნამის დედაქალაქ ჰანოიში შეხვდეს. ილიუმჟინოვის თქმით, ამ მატჩის ორგანიზაცია, რომლის საპრიზო ფონდი ორი მილიონი დოლარი იქნება, ვიეტნამის პრემიერ-მინისტრმა ფან ვან კხაიმ იკისრა.

იგეგმება, რომ ჰანოის მატჩის (რომელიც 2005 წლის იანვარ-თებერვალში უნდა გაიმართოს) გამარჯვებული მომავალი წლის გაზაფხულზე რუს ვლადიმირ კრამნიკსა და უნგრელ პეტერ ლეკოს შორის გამარჯვებულს შეხვდება. ამ მატჩის გამარჯვებული კი მსოფლიოს აბსოლუტურ ჩემპიონად გამოცხადდება.

# "მანჩესტერ იუნაიტედი" უმდიდრესია ევროპაში

ინგლისური "მანჩესტერ იუნაიტედი" სათავეში ჩაუდგა ევროპის უმდიდრეს კლუბებს. ბრიტანული სააუდიტორიო კომპანია Deloitte-ს ცნობით, შარშან მანკუნიანელებმა მოგების სახით 167,83 მილიონი გირვანქა სტერლინგი გამოიმუშავეს. ეს 22 მილიონით მეტია ტურინის "იუვენტუსის" მონაგარზე, რომელმაც 2003 წელს 145,75 მილიონი გამოიმუშავა.

ევროპის ყველაზე შემოსავლიანი კლუბების ხუთეულში აგრეთვე შედიან ჩემპიონთა ლიგის გამარჯვებული "მილანი" (133,66 მილიონი), მადრიდის "რეალი" (128,5 მილიონი) და მიუნხენის "ბაიერნი" (108,6 მილიონი).

საინტერესოა, რომ ევროპის ყველაზე შემოსავლიანი კლუბების ოცეულში ყველაზე მეტი წარმომადგენელი ინგლისის პრემიერლიგას ჰყავს – 7. თავისებური რეიტინგის ლიდერის "მანჩესტერ იუნაიტედის" გარდა, სიაში შედიან "არსენალი", "ლივერპული", "ნიუკასლი", "ჩელსი", "ტოტენჰემი" და "ლიდსი".

სიის მიღმა არ დარჩნენ შოტლანდიური ("სელტიკი") და ფრანგული ("ლიონი") კლუბებიც, რომლებიც, შესაბამისად, მე-18 და მე-19 ადგილებზე გავიდნენ.

TV-სპორტი

**ხუთშაბათი. 4 მარტი**

**НТВ+ ФУТБОЛ**

13:00 თავისუფალი დარტყმა
13:15 ლიბერტადორესის თასი. "ბოკა ხუნიორსი" (არგენტინა) – "კოლო კოლო" (ჩილე)
15:00 ჩემპიონთა ლიგა. 1/8 ფინალი. "სპარტა" – "მილანი". პირველი მატჩი
16:55 რუსეთის თასი. 1/8 ფინალი. "რუბინი" – "ლოკომოტივი". პირველი მატჩი. პირდაპირი ტრანსლაცია. შესვენებისას (17:45) - თავისუფალი დარტყმა
18:50 "დარტყმა გოლისთვის"
19:05 ჩემპიონთა ლიგა. 1/8 ფინალი. "ბავარია" – "რეალი". პირველი მატჩი
20:50 თავისუფალი დარტყმა
21:05 სახვალიო ტელეპროგრამა
21:10 საუიკენდო მატჩების ანონსი
21:15 "ფეხბურთი ანიდან ჰაემდე"
21:45 "FUTBOL MUNDIAL"
22:15 ლიბერტადორესის თასი. "ბოკა ხუნიორსი" (არგენტინა) – "კოლო კოლო" (ჩილე). შესვენებისას (23:05) - თავისუფალი დარტყმა
00:15 რუსეთის თასი. 1/8 ფინალი. "რუბინი" – "ლოკომოტივი". პირველი მატჩი
02:15 იტალიის ჩემპიონატი. მატჩების მიმოხილვა
03:10 03:10-დან 04:00-მდე შესვენება
04:00 NBA TV. ოვერტაიმი: ბერნარდ კინგი
04:30 NBA TV. NBA-ს დიდი თამაშები. წელი 2002. პირველი წრე. "NEW JERSEY NETS" - "INDIANA PACERS". მე-" თამაში
06:30 NBA TV. დღიური

**НТВ-ПЛЮС СПОРТ**

11:00, 14:00, 17:00 პრესცენტრი
11:15, 20:05 "ოლიმპის შვილები"
11:20 "ჰარმონიის ფორმულა"
11:35 ჰოკეი. NHL-ის ჩემპიონატი. "COLORADO AVALANCHE" - "VANCOUVER CANUCKS"
13:45 "ჰარმონიის ფორმულა"
14:15 ჭადრაკი. სუპერტურნირი ლინარესში
15:00 ათენის გზაზე
16:00 "თოვლის სამყარო"
16:30 "Power week - NHL-ის კვირა"
17:15 მხატვრული ტანვარჯიში. მსოფლიო ჩემპიონატი უნგრეთში. ფინალი მრავალჭიდში. პირველი ნაწილი
20:10 სახვალიო ტელეპროგრამა
20:15 ATP საჩოგბურთო მიმოხილვა
20:45 NBA-ს საკალათბურთო მიმოხილვა
21:15 "მოტოვებული კვირა"
22:00 ჰოკეი. NHL-ის ჩემპიონატი. "COLORADO AVALANCHE" - "VANCOUVER CANUCKS"
00:30 ჭადრაკი. სუპერტურნირი ლინარესში
01:20 ახალი ამბები
01:35 ATP საჩოგბურთო მიმოხილვა
02:05 NBA-ს საკალათბურთო მიმოხილვა

**EUROSPORT**

11:30 ფეხბურთი. უეფას თასი
13:30 ფეხბურთი. უეფას თასი
14:30 ფეხბურთი. უეფას თასი
15:30 ბიატლონი. მსოფლიო თასი აშშ-ში
17:00 ბალახის ჰოკეი. ოლიმპიადის საკვალიფიკაციო ტურნირი ესპანეთში
18:30 ბიატლონი. მსოფლიო თასი აშშ-ში
20:00 ჩოგბურთი. ATP ტურნირი არაბეთის გაერთიანებულ სახალიფოში
22:00 ბიატლონი. მსოფლიო თასი აშშ-ში
23:00 ფეხბურთი. უეფას თასი
00:00 კრივი. საერთაშორისო შეჯიბრება
02:00 კიკბოქსინგი. საერთაშორისო შეჯიბრება
03:00 ახალი ამბები
03:15 ექსტრემალური სპორტი. ზამთრის ექსტრემალური თამაშები აშშ-ში
04:15 ახალი ამბები

ფორმულა 1

# მიხაელ შუმახერი დიდხანს იქნება „ფერარის" პილოტი

ნინო პირველი

ახლოვდება 7 მარტი - ფორმულა 1-ის 2004 წლის სეზონის პირველი რბოლის დღე. რა თქმა უნდა, უკვე უამრავი ვარაუდი გამოითქვა, არაერთი პროგნოზი გაკეთდა, ბუკმეიკერებმა ფსონების მიღება დაიწყეს, სპეციალისტებმა კი - ფავორიტების დასახელება. უკანასკნელ წლებში, ყოველი სეზონის დაწყების წინ, მიხაელ შუმახერი იყო ხოლმე ჩემპიონობის ყველაზე რეალური კანდიდატი, მაგრამ მას შემდეგ, რაც 2003 წელს უფროსმა "შუმიმ" სერიოზულად წაიბორძიკა და მხოლოდ წლის ბოლო რბოლისას შეძლო მეექვსე წოდების მოპოვება, სიჩქარის მოყვარულთა სამყაროს, ცოტა არ იყოს, ეჭვი შეეპარა "ფერარის" "წითელი ბარონის" შესაძლებლობებში. "ფორმულას" შეფი ბერნი ეკლსტოუნი, FIA-ს ბოსი მაქს მოზლი, წარსულში სახელგანთქმული პილოტები ნიკი ლაუდა და მიკა ჰაკინენი, თითქოს პირი შეუკრავთო, ერთხმად გაიძახიან, შუმახერს ურჩევნია, ამ სეზონში ტიტულზე არც კი იოცნებოს, მაინც ვერ მოიგებს და ტყუილად გული დასწყდებაო. ჰაკინენის ფავორიტი მისი თანამემამულე კიმი რაიკონენია, ეკლსტოუნის - ხუან პაბლო მონტოია, ნიკი ლაუდა კი ხან რალფ შუმახერს უწინასწარმეტყველებს სეზონის ტრიუმფალურად დასრულებას, ხანაც "უილიამსის" კიდევ ერთ პილოტს, ძმები შუმახერების ყველაზე სახიფათო კონკურენტს, ხუან პაბლო მონტოიას. მიხაელ შუმახერი ყველამ დაივიწყა. არადა, თავად "ფერარი" სულაც არ თვლის თავს ჩამოწერილად. ახალი მანქანა, გაგრძელებული კონტრაქტი ორივე პილოტთან და შუმახერთან ერთად მორიგი ტიტულისთვის ბრძოლა - ასე ემზადება "ფერარი" მომავალი დაძაბული სეზონისთვის. იტალიური საჯინიბოს შეფი ლუკა დი მონტეძემოლო ყოველთვის შემწყნარებლურად იღიმება, როცა სკეპტიკოსთა ვარაუდებს ისმენს, "ფერარი" ჩემპიონი ველარ გახდებაო. უფროსი "შუმის" 56 წლის ბოსი დარწმუნებულია, რომ მის ბოლიდებს და პილოტებს წინ ვერავინ გადაუდგება...

**- სინიორ მონტეძემოლო, რისი ბრალია ის, რომ ექსპერტების უმრავლესობა მიხაელ შუმახერის დამხობის მოლოდინშია?**

- ჩვენ საკმაოდ გვიან დავასრულეთ ახალ მანქანაზე მუშაობა და ამის გამო, ცოტა არ იყოს, დაგვიგვიანდა ბოლიდის გამოცდა. პესიმიზმიც, ალბათ, აქედან იღებს სათავეს, მაგრამ ეს მე არ მაღელვებს. ორი წლის წინაც ასევე გვიან გავიყვანეთ მანქანა ტესტ-რბოლებზე, მაგრამ ჩემპიონატი მაინც მოვიგეთ. 2003 წელსაც ასე მოხდა, მაგრამ ჩემპიონის ტიტული მაინც ვერავინ წაგვართვა. არა მგონია, ამ სეზონში რამე შეიცვალოს.

**- ამ სეზონშიც ბრიჯსტოუნის ერთგული დარჩით, მიუხედავად იმისა, რომ გასულ წელს არაერთი პრობლემა შეგექმნათ საბურავების გამო...**


ლუკა დი მონტეძემოლო – "შუმახერი ჩვენია"

- ბრიჯსტოუნი სპეციალურად ჩვენთვის მუშაობს და კარგად იცის, რა გვჭირდება.

**- თქვენ მართლა არ ხართ აფორიაქებული სეზონის დაწყების წინ?**

- სრულიადაც არა.

**- იმის მიუხედავად, რომ ექსპერტები კიმი რაიკონენის საჩემპიონო შანსებს უფრო მეტად აფასებენ, ვიდრე მიხაელ შუმახერისას?**

- ასეთ დასკვნებს, ძირითადად, ინგლისური პრესა აკეთებს. ინგლისელებს, გარკვეულწილად, კომპლექსები აწუხებთ, რადგან მათი საჯინიბოები ვერაფრით ვერ ახერხებენ ჩემპიონის ტიტულის მოპოვებას. ჩემთვის მხოლოდ ფაქტებია მნიშვნელოვანი. რეალობა ასეთი გახლავთ: გასულ წელს მიხაელ შუმახერმა ექვსი რბოლა მოიგო, რაიკონენმა კი - მხოლოდ ერთი. ეს უკვე ყველაფერზე მეტყველებს.

**- რამდენად დიდია თქვენი წვლილი ახალი ბოლიდის შექმნაში?**

- არანაირი. მე მხოლოდ დისკუსიებში ვიღებდი მონაწილეობას და მაშინაც პროფესიონალების აზრს ვუსმენდი.

**- გადაწყვეტილებას ვინ იღებდა?**

- სპეციალისტების ჯგუფი, რომელსაც ტექნიკური დირექტორი როს ბრაუნი და ძრავის ოსტატი პაოლო მარტინელი ხელმძღვანელობენ. რაც შეეხება ახალ მანქანას, შასებზე დიზაინერი როი ბრაიანია პასუხისმგებელი, ძრავაზე კი - პაოლო მარტინელი.

**- ექვსი წელია, რაც "ფერარი" პირველობს ფორმულა 1-ში. ოთხჯერ ზედიზედ თქვენი პილოტი გახდა ჩემპიონი, ხუთჯერ კი კონსტრუქტორთა დავაში გაიმარჯვეთ. როგორ ახერხებთ მთელი გუნდის მოტივირებას?**

- ეს ჩემი ძირითადი მოვალეობაა. გამიმართლა, რომ საჯინიბოშო ასეთი არაჩვეულებრივი ადამიანები მყავს. ჩემი თანამშრომლების სამუშაო სტილი და გამარჯვების წყურვილი - აი, ჩვენი წარმატების საიდუმლო. ჩვენი შემართება დაუძლეველია. "ფერარიში" ყველამ იცის, რომ ჩვენ მხოლოდ გამარჯვებისთვის უნდა ვიბრძოლოთ.

**- წარმატების რაიმე სპეციალური რეცეპტი ხომ არ გაქვთ?**

- როგორ არა, ოღონდ ინგრედიენტებია განსაკუთრებული და ძნელად საშოვნელი (იცინის).

**- მიხაელ შუმახერი "ფერარიში" დიდი ავტორიტეტით სარგებლობს. რამდენად დიდია მისი გავლენა?**

- ორივე პილოტს ერთნაირი კონტრაქტი აქვს გუნდთან და თანაბარ პირობებში უწევს მუშაობა. "ფერარის" რომ შეეწყო, ერთდროულად კარგი პილოტიც უნდა იყო და ტექნიკაშიც კარგად ერკვეოდე. შუმახერი ჩვენს ყველა მოთხოვნას სრულიად აკმაყოფილებს. შუმახერისთვის განსაკუთრებული წესები ან პრივილეგიები არ არსებობს. ის გუნდთან ერთად მუშაობს და ყველაფერს თავის კოლეგებთან ჰარმონიული თანამშრომლობით აღწევს.

**- როგორი იქნება "ფერარის" მომავალი შუმახერის წასვლის შემთხვევაში?**

- არ ვიცი. მიხაელი ჯერ წასვლაზე არ ფიქრობს. ის კიდევ დიდხანს იქნება "ფერარის" პილოტი. მრავალი წლის შემდეგ რა მოხდება, ამაზე ჯერჯერობით არ ვფიქრობ.

**- როგორია თქვენი და მიხაელის ურთიერთობა?**

- ჩვენ ხშირად ვსაუბრობთ ჩვენს ოჯახებზე, პრობლემებზე... თუმცა, ყოველდღე ნამდვილად არ ვხვდებით ერთმანეთს. ამ ფუნქციას ჟან ტოდტი ასრულებს.

**- თქვენ უკვე თითქმის ყველაფერს მიაღწიეთ და გუნდის დამაარსებლის, ენცო ფერარის ჩრდილიდან გამოხვედით. ახლა მონტეძემოლოს ერა ხომ არ დადგება?**

- ენცო ფერარის უოლტ დისნეის შევადარებდი: დისნეის მსგავსად, ისიც ლეგენდის სულისჩამდგმელია. მან "ფერარი" შეუდარებელი გახადა. ის, მართლაც, მარკეტინგული გენიოსი იყო. ჯერ ადრეა მასთან ჩემი შედარება. ბედნიერი ვარ, რომ ჩემი დახმარებით წარუმატებლობის ფაზა დასრულდა და გუნდმა გამარჯვებების ხანაში შეაბიჯა. ამით "ფერარის" ერა დაიწყო. ძველი საუკუნე გამარჯვებით დავასრულეთ და ახალი გამარჯვებით დავიწყეთ. რამდენ ხანს გაგრძელდება ასე, ეს სხვა საკითხია. ძალიან მინდა, რომ "ფერარი" მუდამ გამარჯვებულის კვარცხლბეკზე იდგეს.

# ღეროვანი უჯრედები - მკვლელი ტექნიკა, თუ მედიცინის დიდი იმედი?

პოლიტიკოსები, ფილოსოფოსები, კანონმდებლები და მეცნიერები წლების განმავლობაში ლაპარაკობენ თერაპიული კლონირების შესახებ და დღეს ეს მეცნიერება, რომელიც თავისი გამოკვლევებისთვის ადამიანის ემბრიონის უჯრედებს იყენებს, რეალობა ხდება.

თებერვლის დასაწყისში კორეელმა მეცნიერებმა გამოაცხადეს, რომ შექმნეს 30 ცალი კლონი, რომლებიც ადამიანის ორგანიზმში არ გამოუზრდიათ და რომლებიც განკუთვნილია ემბრიონული ღეროვანი უჯრედების მისაღებად, რომლებსაც მედიცინაში ხშირად სამშენებლო უჯრედებად მოიხსენიებენ.

ღეროვან უჯრედებს, რომლებიც ემბრიონიდანაა აღებული, ტვინის, კუნთების, სისხლის, სხვადასხვა ორგანოების უჯრედებად გარდაქმნა შეუძლიათ, რაც იმას ნიშნავს, რომ მათი საშუალებით პერსპექტივაში შესაძლებელია ადამიანის სხეულის სხვადასხვა დაზიანებული ნაწილის (მათ შორის, ძვლოვანისაც) შევსება-ტრანსპლანტირება.

მეცნიერები კლონირების ამ მეთოდს ნუკლეარულ (ბირთვულ) ტრანსფერს უწოდებენ. ისინი ირწმუნებიან, რომ ამ მეთოდს მედიცინის ძირეულად გარდაქმნა შეუძლია. მისი საშუალებით ექიმები მიიღებენ პაციენტებისთვის სპეციალურად მომზადებულ, ხელოვნურად შექმნილ ორგანოებს, რომლებსაც ტრანსპლანტაციებისთვის გამოიყენებენ. ამ ორგანოებს პაციენტის ორგანიზმი ყოველგვარი გართულების გარეშე მიიღებს, რაც დღეისათვის მეტად პრობლემური საკითხია.

მეთოდის მოწინააღმდეგეები კი ირწმუნებიან, რომ ეს მკვლელობის ახალი სახეობაა, რადგან მისი გამოყენება მოითხოვს ადამიანის ემბრიონის ჯერ შექმნას, შემდეგ კი განადგურებას. უფრო მეტიც, ისინი დარწმუნებულნი არიან, რომ ამ მეთოდის პრაქტიკაში ფართოდ დანერგვა, ადრე თუ გვიან, აუცილებლად მიგვიყვანს ადამიანის კლონირებამდე, რაც დღეისათვის თითქმის მთელ მსოფლიოშია აკრძალული.

"ცნობები იმის შესახებ, რომ სამხრეთ კორეაში მიმდინარეობს ექსპერიმენტები ადამიანის კლონირებაზე, კიდევ ერთხელ მიგვითითებს ადამიანის კლონირების აკრძალვის აუცილებლობაზე. ადამიანის კლონირება არავითარ შემთხვევაში არ შეიძლება, რადგან ამან შეიძლება კაცობრიობას უამრავი პრობლემა შეუქმნას", - აცხადებს კანზასის შტატის რესპუბლიკელი სენატორი სემ ბრაუნბეკი.

ისევე როგორც აშშ-ის პრეზიდენტი ჯორჯ ბუში, ბრაუნბეკიც კლონირების აქტიურ მოწინააღმდეგეთა რიცხვს მიეკუთვნება, თუმცა მომხრეა იმისა, რომ ფართო გამოკვლევები ჩატარდეს ზრდასრული ადამიანის ღეროვანი უჯრედების შესაძლებლობების გამოსაკვლევად. ეს უჯრედები ზრდასრული ადამიანის სისხლსა და ძვლის ტვინშია აღმოჩენილი და სამშენებლო უჯრედებად კი არიან მიჩნეულნი, მაგრამ წინასწარი გამოკვლევები ცხადყოფს, რომ ემბრიონული ღეროვანი უჯრედებივით უნივერსალურ სამშენებლო მასალად მათი გამოყენება თითქმის შეუძლებელია.

ემბრიონული ღეროვანი უჯრედების გამოყენების მომხრეები ირწმუნებიან, რომ ახლო მომავალში ნუკლეარული ტრანსფერი მედიკოსებს ისეთ დაავადებათა განკურნების საშუალებას მისცემს, როგორებიცაა დიაბეტი, პარკინსონი და რიგი უმძიმესი დაავადებებისა, რომლებიც დღეისათვის განუკურნებელ და ხშირად ფატალურ დაავადებათა რიგს განეკუთვნებიან.

სტენფორდის უნივერსიტეტის მეცნიერი, დოქტორი ირვინგ ვაისმანი აცხადებს, რომ ჯერჯერობით არ არსებობს პრეცედენტი იმისა, რომ ზრდასრული ადამიანისგან აღებული ღეროვანი უჯრედები სრულად შეზრდილიყოს სხვა ორგანოში და ამიტომ, მიიჩნევს, რომ მეცნიერებმა უნდა გააგრძელონ მუშაობა როგორც ემბრიონულ, ასევე ზრდასრული ადამიანისგან მიღებულ ღეროვან უჯრედებზე.

"ჩვენს ამოცანას წარმოადგენს გავიგოთ, თუ როგორ ხდება ღეროვანი უჯრედების ტრანსფორმირება. თუ შევძლებთ ამ ტრანსფორმირების მექანიზმის გარკვევას, მაშინ ემბრიონიდან აღებული ღეროვანი უჯრედების გამოყენების აუცილებლობაც გაქრება", - ამბობს დოქტორი ვაისმანი.

ემბრიონებზე გამოკვლევების ჩატარების მომხრეები კი არ ცხრებიან და არგუმენტად მოჰყავთ ის ფაქტი, რომ ყოველდღიურად, აბორტების დროს, ასეულობით ათასი ემბრიონი ნადგურდება.

დღეისათვის პრეზიდენტ ბუშს აკრძალული აქვს ფედერალური ფონდებიდან ემბრიონზე ექსპერიმენტების დაფინანსება, რაზეც ამერიკელი მეცნიერები წუხილს გამოთქვამენ, იმის გამო, რომ სანამ შტატებში მეცნიერების ამ დარგს ხელშეწყობა არ აქვს, სხვა ქვეყნების მეცნიერები გიგანტური ნაბიჯებით მიიწევენ წინ. ამასთან, გამოკვლევების ფედერალური ფონდებიდან ფინანსირების შემთხვევაში, მეცნიერული კვლევების გაკონტროლების მეტი საშუალებაც იქნება. "მისტერ ბუში სახელმწიფო ინსტიტუტებს კვლევის საწინააღმდეგო მითითებებს აძლევს, მაგრამ კერძო ლაბორატორიებს, ფაქტობრივად, ვერ აკონტროლებს და ამით მათ უკონტროლოდ მოქმედების თავისუფლებას აძლევს", - აცხადებს ორგანიზაცია "ჯუვენაილ დაიაბეტ ფაუნდეიშნის" მეცნიერი ბობ გოლდშტაინი.



*პროფესორი ზურაბ კაკაბაძე (ცენტრში) და მისი თანამოაზრეები*

## ადამიანებს ცხოველები შეცვლიან?

რა თქმა უნდა, ეს სიტყვები პირდაპირი მნიშვნელობით არ უნდა გავიგოთ. ლაპარაკია იმაზე, რომ ადამიანის ემბრიონის ნაცვლად, გამოყენებულ იქნას ცხოველების ორგანიზმი, რომელშიც პაციენტისგან აღებული ღეროვანი უჯრედები გადაინერგება და იქ, შესაბამის ორგანოდ ჩამოყალიბების შემდეგ, ისევ პაციენტს დაუბრუნდება ტრანსპლანტაციისთვის.

წარმოვიდგინოთ ასეთი რამ: ექიმი პაციენტს ეუბნება, რომ მას ღვიძლი აქვს დაავადებული. საჭიროა ტრანსპლანტაცია, მაგრამ, როგორც მოგეხსენებათ, ღვიძლის დონორის შოვნა სერიოზულ პრობლემებთანაა დაკავშირებული. დღეისათვის ასეთ შემთხვევათა დიდი უმეტესობა უიმედოთა რანგს განეკუთვნება, მაგრამ ახლო მომავალში, კლონირების საშუალებით, ასეთი უიმედო პაციენტების განკურნებაც იქნება შესაძლებელი.

მკურნალობის მექანიზმი მარტივად ასე შეიძლება აღიწეროს:

პაციენტის ძვლის ტვინიდან ხდება ღეროვანი უჯრედების ექსტრაქტის აღება და მისი ცხვრის საშვილოსნოში მყოფ ჩანასახის ღვიძლში გადანერგვა. დაბადებამდე ჩანასახში გადანერგილი ღეროვანი უჯრედები ღვიძლს შეეზრდება და დაბადებისას იგი, ფაქტობრივად, ჩამოყალიბებულ ორგანოდ გარდაიქმნება და იგი მომზადებულია გადანერგვისთვის.

დღეისათვის მკურნალობის ამგვარი მექანიზმი დაუჯერებლად მოჩანს და ფანტასტიკის სფეროს განეკუთვნება და, შესაძლოა, ამგვარი რამ არც იყოს განხორციელებადი. თუმცა, ნევადის შტატის ქალაქ რინოს უნივერსიტეტის მეცნიერის, ისმაილ ზანჯანის თქმით, ვინც დიდი ხანია, ამ თემაზე მუშაობს, 10-15 წლის შემდეგ მკურნალობის ამგვარი მეთოდი რეალობა გახდება.

საერთოდ, ცნობილია, რომ ცხვარზე მეტად, ადამიანის ორგანოებთან მსგავსებით უფრო ღორები გამოირჩევიან, მაგრამ ზანჯანიმ და მისმა ჯგუფმა ექსპერიმენტებისთვის ცხვარი აირჩია და იმედოვნებს, რომ მისი შრომა უშედეგოდ არ ჩაივლის და რამდენიმე წელიწადში შეძლებს, შექმნას ერთგვარი ჰიბრიდი, ან გნებავთ, ქიმერა, რომელიც ადამიანის ორგანოების ტრანსპლანტაციისთვის საჭირო უჯრედების მოცემას შეძლებს.

თუ ასე მოხდა, შესაძლებელი გახდება დაზიანებული ორგანოების აღდგენა-განახლება და, გამორიცხული არაა, მთლიანად, ტრანსპლანტაციისთვის საჭირო ორგანოების წარმოებაც კი.

დოქტორი ზანჯანი 238 სამეცნიერო ნაშრომისა და სამი წიგნის ავტორია. ზემოთ აღწერილ მეთოდს მან ქსენოტრანსპლანტაცია უწოდა. იგი თვლის, რომ ადამიანისთვის ცხოველის ორგანიზმში გამოზრდილი ორგანოების გადანერგვის უპირველესი ხელისშემშლელი ფაქტორი ადამიანის იმუნური სისტემაა, რომელიც უცხო სხეულებს ანადგურებს. ყველაზე დიდ საშიშროებად კი მიჩნეულია ორგნოებთან ერთად ცხოველური ვირუსების გადანერგვის შესაძლებლობა აქედან გამომდინარე სავალალო შედეგებით.

ეს საშიშროება მით უფრო რეალურია, რომ ადამიანისთვის საჭირო ორგანოების მქონე ცხოველები, ფაქტობრივად, მუტანტები არიან, რომლისგანაც ნებისმიერი "სიურპრიზია" მოსალოდნელი.

ეს მეთოდი ასევე გარკვეულ "ეთიკურ" წინააღმდეგობებსაც მოიცავს. კერძოდ, ადამიანისთვის განკუთვნილ "სათადარიგო" ორგანოების მქონე ცხოველი ერთგვარ ჰუმანიზებულ (გაადამიანურებულ) არსებად გარდაიქმნება და მისი გაწირვა ბევრისთვის მიუღებელი იქნება. მეორეს მხრივ, ასეთი ჰუმანიზებული ცხოველების იმედზე გაჭირვებაში ჩავარდნილი მილიონობით პაციენტი იმყოფება და მათთვის ამ იმედის წართმევა არ უნდა იყოს სამართლიანი.

დავუბრუნდეთ ზანჯანის და რინოს უნივერსიტეტს მეცნიერთა ჯგუფს, რომლებმაც თავიდან სულ სხვა თემაზე დაიწყეს მუშაობა. მათს თავდაპირველ მიზანს წარმოადგენდა იმის გაგება, თუ რამდენად შესაძლებელია ჩანასახში მყოფი ემბრიონისთვის გენეტიკური დეფექტების ჯანმრთელი ღეროვანი უჯრედებით გამოსწორება-მკურნალობა. ეს მიზანი ზანჯანისა და მისი ჯგუფის მუშაობაში ჯერაც უმთავრესია, თუმცა ექსპერიმენტების დროს მეცნიერები დარწმუნდნენ იმაშიც, რომ მათ მიერ გამოკვლეული ტექნოლოგიით "ჰუმანიზებული" ორგანოების გამოზრდაცაა შესაძლებელი.

რაც შეეხება ზანჯანის მიერ ცხვრის არჩევას, აქაც არსებობს კანონზომიერება – ჯერ კიდევ რამდენიმე წლის წინ, ფილადელფიის ბავშვთა ჰოსპიტლის მეცნიერმა ალან ფლეიკმა აღმოაჩინა, რომ ადამიანის ძვლის ტვინიდან აღებულ ღეროვან უჯრედებს, თეორიულად ცხვრის ორგანიზმში შეზრდის უნარი შესწევთ და პროცესის საჭირო მიმართულებით წარმართვის შემთხვევაში, გულის, კანის, კუნთების, ცხიმის და სხვა უჯრედებად გარდაქმნა შეუძლიათ.

სხვა საქმეა, რომ ფლეიკი თავის ექსპერიმენტებში მცირე რაოდენობით უჯრედების გადანერგვას ახორციელებდა და ამის გამო, ექსპერიმენტების დროს რეალურ სურათს ვერ ხედავდა.

სამაგიეროდ, ამ საქმეში დიდი ნაბიჯებით წაიწია წინ ზანჯანიმ. მის მიერ წარმოებული სამუშაოების ანალიზის მიხედვით, რომელიც მან გასული წლის დეკემბერში წარადგინა კონფერენციაზე, ექსპერიმენტის შედეგად, ცხვრის ღვიძლში ადამიანური უჯრედების შემცველობამ 7-15 პროცენტს მიაღწია.

მის მიერ წარმოებული ექსპერიმენტის მთავარი სირთულე იმაში მდგომარეობს, რომ გადანერგვა ორსულ ცხვრებს უტარდებოდათ, ვიდრე ჩანასახის იმუნური სისტემა თავისი და უცხო უჯრედების გარჩევას ისწავლიდა. სწორედ ამ პირობის დაცვის შემთხვევაში შეიძლება იმედი ვიქონიოთ, რომ ექსპერიმენტის შედეგად დაიბადება ნორმალური ბატკანი და არა უცნაური მუტანტი.

ექსპერიმენტის დროს დადგინდა, რომ საუკეთესო შემთხვევაში, ცხვრის ჩანასახის ღვიძლში მოხვედრილი ადამიანური უჯრედები ერთად მოიყრიან თავს და შექმნიან ორგანოს ნაწილს, რომელიც გადანერგვისთვის ვარგისი იქნება. გარდა ამისა, ცხოველის ასეთი ორგანო გამოიმუშავებს ალბუმინს – სისხლის პროტეინს, რომელიც ღვიძლში წარმოიქმნება.

თუმცა, მეცნიერები პრობლემებს აქაც აწყდებიან – ზოგიერთ შემთხვევაში, ადამიანური უჯრედები ფუნქციას კარგავენ, ან ცხოველის შესაბამის უჯრედებს უერთდებიან. მეცნიერები ირწმუნებიან, რომ ეს პრობლემა ადვილად მოგვარებადია.

ზანჯანის სიტყვებით, ღეროვანი უჯრედები, რომლებსაც ის იყენებს, ადვილად ტრანსფორმირდება გულის უჯრედებად. და თუ მათი ცხოველურ ორგანიზმში გამოზრდის მექანიზმი იქნება შემუშავებული, ამით კარდიოლოგიური დაავადებით გაწამებულ მილიონობით ადამიანს გაუჩნდება განკურნების რეალური პერსპექტივა. თუმცა, ნევადის უნივერსიტეტის მეცნიერები აცხადებენ, რომ ყველაფერი ეს ჯერჯერობით მხოლოდ თეორიის დონეზეა ცნობილი და გავა წლები, სანამ ეს თეორია პრაქტიკაში განხორციელდება.

## რა საჭიროა ცხოველები? - ზურაბ კაკაბაძე სხვა გზას დაადგა

ყველაფერი კარგი, მაგრამ როგორც ირკვევა, ტრანსპლანტაციისთვის გამოსადეგი ორგანოების გამოსაზრდელად შეიძლება ქირურგები ცხოველების გარეშეც იოლად გავიდნენ ფონს. კერძოდ, ცხოველის ნაცვლად, პაციენტის დაზიანებული ორგანოს ან მისი ნაწილის შესაცვლელად საჭირო ორგანოს გამოზრდა-წარმოება თავად პაციენტის ორგანიზმში მოხდება.

ერთი შეხედვით, ეს უტოპიური მეთოდია, მაგრამ იგი რეალობას წარმოადგენს და ეს რომ ასეა, ამას ადასტურებს საქართველოს სახელმწიფო სამედიცინო აკადემიის კლინიკური ანატომიის კათედრის გამგის, მედიცინის მეცნიერებათა დოქტორის, პროფესორ ზურაბ კაკაბაძის მრავალწლიანი შრომა, რომელმაც უკვე დიდი ხანია, მიიპყრო დასავლეთის წამყვან სპეციალისტთა ყურადღება და შორს არც ის დროა, როცა მისი მედიცინაში დანერგვა იქნება შესაძლებელი.

და თუ ასე მოხდა, პირველ რიგში, მოგებული დარჩება ის ათეულობით ათასი ავადმყოფი, რომლებიც მეტწილად ამაოდ ელიან ისეთი სათუთი ორგანოს დონორებს, როგორიც ღვიძლია. ღვიძლის ტრანსპლანტაცია უამრავ პრობლემასთანაა დაკავშირებული. ჯერ ერთი, მეტისმეტად ძნელი საშოვნია დონორი, მეორეც, თავად ტრანსპლანტაცია ურთულესი და მეტად სახიფათო პროცესია. მესამეც, წინასწარ თითქმის შეუძლებელია იმის ცოდნა, თუ რამდენად მისაღები იქნება დონორის ღვიძლი პაციენტის ორგანიზმისათვის.

ზანჯანისგან განსხვავებით, კაკაბაძეს პაციენტისთვის საჭირო ორგანოს გამოსაზრდელად ცხოველი არ ესაჭიროება. იგი ამ მიზნით უშუალოდ პაციენტის სხეულს იყენებს. რა თქმა უნდა, ჯერჯერობით მისი პაციენტები მხოლოდ ზაზუნები და ძაღლები არიან, მაგრამ ამერიკელი, იტალიელი, სამხრეთაფრიკელი და სხვა ქვეყნების წამყვანი მეცნიერების შეფასებით, პროფესორ კაკაბაძის მეთოდს დიდი მომავალი აქვს. მათს შეფასებებს კი ბატონი ზურაბის მიერ მუშაობის პროცესში მიღებული უზარმაზარი გამოცდილება და რაც მთავარია, საოცარი შედეგები უმაგრებს ზურგს.

ექსპერიმენტების დროს გამოყენებული იყო თეთრი თაგვები, ზაზუნები, რომლებისგანაც ხდებოდა ღვიძლის 40 პროცენტის რეზექცია (ამოკვეთა). ამოკვეთილი ორგანოები ქუცმაცდებოდა, რასაც მოჰყვებოდა მათი შემდგომი იმპლანტირება ეგრეთწოდებულ "ბიოკონტეინერში". ღვიძლის ამოკვეთილი ნაწილის დაქუცმაცება მექანიკური გზით, სკალპელით ხდებოდა, რის შემდეგაც მათ სპეციალური ხსნარით ამუშავებდნენ. ამგვარად მომზადებული ქსოვილი (ზომით 1x1x1 მმ) მზად იყო მკვებავ გარემოში მოსათავსებლად და, იქ ინახებოდა იმპლანტირებამდე.

რაც შეეხება "ბიოკონტეინერს", მის შესაქმნელად გამოიყენებოდა "პაციენტის" წვრილი ნაწლავი. ოპერაციის დროს, ღვიძლის (ჯანმრთელი) ნაწილის ამოკვეთასთან ერთად, ხდებოდა წვრილი ნაწლავის საოპერაციო ჭრილობაში გამოტანა. შემდეგ ექსპერიმენტატორები ახდენდნენ ამ ნაწლავის ორსანტიმეტრიანი სეგმენტების რეზექციას, რომლებიც გაივლიდნენ-რა მომდევნო დამუშავებას, მზად იყვნენ ღვიძლის სეგმენტირებული ნაწილების "მისაღებად". მრავალჯერადი დამუშავების შემდეგ ხდებოდა ღვიძლის ფრაგმენტების ნაწლავის ქსოვილში მოთავსება, რის შემდეგაც ყალიბდებოდა ეგრეთ წოდებული "ბიორეაქტორი" (მსგავსების გამო ხუმრობით მას კუპატი შეარქვეს) და ხდებოდა მისი ჩაკერება "პაციენტის" მუცლის ღრუში.

საბოლოოდ, ექსპერიმენტმა გამოავლინა, რომ "ბიოკონტეინერში", ღვიძლის დაქუცმაცებული ნაწილებისგან გამოზრდილი ორგანო კარგად ეთვისებოდა პაციენტის ორგანიზმს. დროთა განმავლობაში, "ბიოკონტეინერი" ზომაშიც გაიზარდა და პაციენტის ორგანიზმში, ფაქტობრივად, მეორე ღვიძლი გაჩნდა. რა თქმა უნდა, მთელი ეს პროცესი მეცნიერულ ენაზე გაცილებით მრავალფეროვნად და დამაჯერებლადაა აღწერლი. თუმცა, მთავარი საბოლოო შედეგია – საცდელ ცხოველებზე პროფესორ კაკაბაძის მიერ დამუშავებულმა მეთოდმა შესანიშნავად იმუშავა. უფრო მეტიც, არსებობს სრული საფუძველი იმისა, რომ მსგავსი სისტემით, ანალოგიური მეთოდის განხორციელება ადამიანებზეცაა შესაძლებელი. ეს კი, ფაქტობრივად, გადატრიალებაა ტრანსპლანტაციის საქმეში...

და თუ (ამაში ეჭვი არც ბატონ ზურაბს ეპარება და არც მის სახელგავარდნილ კოლეგებს, რომელთა კარიერაც ასეულობით სატრანსპლანტაციო ოპერაციას ითვლის) "კუპატის" მეთოდი ადამიანებზეც ანალოგიურად იმოქმედებს, მაშინ ტრანსპლანტაციისთვის საჭირო ორგანოებს ექიმები თავად პაციენტის ორგანიზმში შექმნიან!!!

თუმცა, მანამდე პროფესორ კაკაბაძის "კუპატს" პრიმატები გამოცდიან. ქართველი მეცნიერების ამერიკელი კოლეგები უკვე ამზადებენ ახალ ექსპერიმენტს, რისი წარმატებულად განხორციელების შემდეგაც ჯერი ადამიანზე მიდგება...

არ შეიძლება, ორიოდე სიტყვით არ ითქვას იმის შესახებ, თუ რა პირობებში შეძლო ბატონმა ზურაბმა და მისმა ჯგუფმა, რომელიც პროფესორმა მეტწილად თავისი სტუდენტებისგან შეკრა, ამ რევოლუციური საქმიანობის განხორციელება. მათ სამუშაოები ჯერ კიდევ მაშინ დაიწყეს, როცა ომიანობით, სიცივით, შიმშილით, და სხვა უამრავი პრობლემით გაწამებულ ჩვენს ქვეყანას და მის მოსახლეობას მეცნიერული კვლევისთვის პრაქტიკულად არ ეცალა.

ბატონ ზურაბს თავისუფლად შეეძლო, თავისი ნაშრომების წყალობით, რომელიმე დასავლურ ქვეყანაში კომფორტულად ეცხოვრა და იქ, მშვიდ და უზრუნველ გარემოში, ეწარმოებინა თავისი გამოკვლევები, მაგრამ მან დარჩენა და თავისი გამოცდილების თავისივე სტუდენტებისთვის გაზიარება ამჯობინა. დღეს პროფესორ კაკაბაძის სამეცნიერო ჯგუფი ქირურგებთან ერთად ბიოლოგებსა და ფიზიკოსსაც აერთიანებს, რომელთაგან სამი უკვე მედიცინის მეცნიერებთა, ერთი კი ფიზიკო-მათემატიკურ მეცნიერებათა კანდიდატია.

მათ საქმიანობა, ჩვეულებრივ, სარდაფში დაიწყეს, დღეს კი მეტნაკლებად მოწყობილ პირობებში ახერხებენ მეცნიერული შრომის გაგრძელებას. გაჩნდა დაფინანსების გარკვეული წყაროები, თუმცა ეს სრულფასოვანი მეცნიერული მოღვაწეობის გაგრძელებისთვის მაინც არ არის საკმარისი. ჯგუფის მიერ (მას ბატონ ზურაბის ასისტენტი, მედიცინის მეცნიერებათა კანდიდატი ეკა ბერიშვილი ხელმძღვანელობს) შემუშავებულია კიბოს მკურნალობის უნივერსალური მექანიზმი, მაგრამ მასზე ექსპერიმენტების ჩასატარებლად გარკვეული ხელსაწყო-დანადგარებია საჭირო, რომელთა შესაძენად აუცილებელი თანხებიც პროფესორ კაკაბაძესა და მის თანამოაზრეებს არ გააჩნიათ - როცა ხელფასი 60 ლარია, ასეთ ფუფუნებაზე ოცნებაც კი წარმოუდგენელია...

# ექსპერიმენტული ვაქცინა ფილტვის კიბოს კურნავს

თებერვლის ბოლოს მსოფლიოს საინფორმაციო საშუალებებმა გაავრცელეს ცნობა იმის შესახებ, რომ დალასის ბეილორის უნივერსიტეტის სამედიცინო ცენტრში მოღვაწე ბრიტანელი მედიკოსის, პროფესორ რიჩარდ სალივენის მიერ შემუშავებულმა გენეტიკურმა ვაქცინამ მცირე, მაგრამ იმედისმომცემი ექსპერიმენტის დროს, რომელიც სამ წელიწადს გრძელდებოდა, კაცობრიობის ისტორიაში პირველად შეძლო ფილტვის კიბოთი დაავადებული, ავადმყოფობის ბოლოს სტადიაში მყოფი პაციენტების განკურნება.

ფილტვის კიბო ერთ-ერთი ყველაზე მომაკვდინებელი დაავადებაა კაცობრიობის ისტორიაში. ყოველწლიურად მას მარტო აშშ-ში 150 000 ადამიანის სიცოცხლე ეწირება. ალბათ სწორედ ამიტომ იყო, რომ პროფესორმა სალივენმა მის მიერ შემუშავებული მეთოდის გამოსაცდელად სწორედ ფილტვის კიბოთი დაავადებული პაციენტები შეარჩია.

ექსპერიმენტში მონაწილეობდა სულ 43 პაციენტი, რომელთაგან ათის დაავადება ადრეულ სტადიაში იყო, დანარჩენების კი ეგრეთ წოდებულ უიმედოთა კატეგორიას განეკუთვნებოდა – ჩვეულებრივ, მეოთხე სტადიის ფილტვის კიბოთი დაავადებული ადამიანები მაქსიმუმ, 8 თვეს ცოცხლობენ.

ექსპერიმენტის დროს, პაციენტებს უტარდებოდათ ოპერაცია, რომლის დროსაც ხდებოდა მათი სიმსივნური უჯრედების მოპოვება. ეს უჯრედები გადიოდა გენეტიკურ დამუშავებას (ამისათვის გამოიყენებოდა გენი GM-CSF), რის შემდეგაც ისინი გადაინერგებოდა პაციენტების კიდურებში. ამგვარი ინექცია საამი თვის განმავლობაში, ორ კვირაში ერთხელ შეჰყავდათ. უჯრედების მოდიფიკაციისთვის გამოყენებული გენი ცვლიდა სიმსივნური უჯრედების მემბრანულ გარსს, რისი წყალობითაც, იმუნურ სისტემას მათი, როგორც უცხო, მტრული სხეულების ამოცნობის საშუალება ექმნებოდა.

პროფესორი სალივენი თქმით, პირველი ინექციიდან რამდენმე საათის შემდეგ, ფაგოციტებმა (იმუნური სისტემის დამცავმა უჯრედებმა) დაიწყეს ფილტვში მყოფი ავთვისებიანი სიმსივნის უჯრედების იდენტიფიცირება და მათი განადგურება.

ექსპერიმენტის დროს სრულად განიკურნა სამი პაციენტი, რომლებსაც ექსპერიმენტის სამი წლის განმავლობაში რეციდივიც კი არ ჰქონიათ. დანარჩენ 30 პაციენტს კი, რომლებიც დაავადების ბოლო სტადიაში იმყოფებოდნენ, სიმსივნის ზრდა-განვითარება შეუჩერდათ და მათი მდგომარეობა სტაბილური გახდა. უფრო მეტიც, საოცარია, მაგრამ მათ დაავადების სიმპტომებიც კი გაუქრათ. რაც შეეხება დანარჩენ ათ პაციენტს, რომლებსაც ექსპერიმენტის დასაწყისში დაავადების საწყისი სტადია ჰქონდათ დაფიქსირებული, მოდიფიცირებული სიმსივნური უჯრედებისგან დამზადებულმა ვაქცინამ მათზე, ფაქტობრივად, არ იმოქმედა.

ერთ-ერთი მთავარი შედეგი, რაც ექსპერიმენტს მოჰყვა, ისაა, რომ ვაქცინას, რომელსაც GVAX ეწოდა, პრაქტიკულად არ გააჩნია თანმდევი გვერდითი მოვლენები. ბეილორის უნივერსიტეტის წამყვანი ონკოლოგის, დოქტორ ჯონ ნემუნაიტისის განცხადებით, წინასწარი მონაცემებით, ანალოგიურმა მეთოდმა კარგად იმოქმედა კანის კიბოთი დაავადებულ პაციენტებზეც და არსებობს ვარაუდი იმისა, რომ იგი გამოყენებადი იქნება სხვა ორგანოთა კიბოს შემთხვევებშიც.

"მარტო ის ფაქტი, რომ ჩვენ შევძელით ადამიანის იმუნური სისტემისთვის გვესწავლებინა კიბოს უჯრედების ამოცნობა, უკვე ბევრის მთქმელია და დიდ სამომავლო პერსპექტივებს გვიქმნის. ჩვენი ექსპერიმენტის შედეგები იმედისმომცემია, თუმცა ჯერაც ბევრი რამ დაგვრჩა დასაზუსტებელი", - "სკაინიუსთან" საუბრისას განაცხადა სალივენმა.

აღსანიშნავია ისიც, რომ გამოკვლევას ფინანსურად უზრუნველყოფდა ფარმაცევტული კომპანია "სელ ჯენეზისი", რომელიც მეთოდის დანერგვის შემთხვევაში ვაქცინის წარმოების უფლებას მოიპოვებს. დალასის უნივერსიტეტში იმედოვნებენ, რომ ვაქცინას ბაზრამდე ჯერაც რამდენმე წელიწადი აშორებს. კერძოდ, ისინი ეცდებიან და ვაქცინისთვის აშშ-ის საკვებისა და წამლების ადმინისტრაციის სერტიფიკატს უახლოეს სამ წელიწადში მოიპოვებენ.

ამისათვის, დალასში მომუშავე ჯგუფი აგრძელებს შემუშავებული მეთოდიკის დახვეწას. ხდება იმის დადგენა, თუ რა პროპორციებით უნდა დამზადდეს ვაქცინა და რა კონცენტრაციისა უნდა იყოს იგი. დასახვეწია ასევე ორგანიზმისათვის ვაქცინის მიწოდების მექანიზმიც.

კომპანია "სელ ჯენეზისს" ვაქცინის ბოლო, ფართომასშტაბიანი კლინიკური გამოცდის დაწყება მიმდინარე წლის ბოლოსთვის აქვს დაგეგმილი. ექსპერიმენტში მონაწილეობის სურვილი კი უკვე გამოთქვა აშშ-ის ექვსმა დიდმა ქალაქმა.

# როგორ მოვიშოროთ ზედმეტი წონა და მსგავსი უსიამოვნებები

გაზაფხულის დადგომასთან ერთად კაცობრიობის მშვენიერი ნაწილი საკუთარ გარეგნობაზე ზრუნვას გაორმაგებული ენერგიით იწყებს, თუნდაც იმიტომ, რომ კაცობრიობის ძლიერ ნაწილს მისი დანახვა-შეფასების მეტი საშუალება ეძლევა. ქალები ორთქლის აბანოებსა და სოლარიუმებში გარბიან, ანტიცელულიტურ კრემებს ეძებენ. სილამაზის სალონებში ცვილით ეპილაციის სეზონი იწყება, შეიპინგის ცენტრებში კვლავ ხალხმრავლობაა, და ჰაერგაუმტარი ქსოვილით შეფუთული წელით, ტრენაჟორების დარბაზებში სულ უფრო მეტი ქალი იხვითქება.

მოგეხსენებათ, ზრდასრული მანდილოსნებისთვის ძირითადი პრობლემა ზედმეტი წონის მოშორებაა. ქალების ნაწილი მხოლოდ დარდით და წუწუნით შემოიფარგლება, დანარჩენი ნაწილი კი აქტიურად ცდილობს, თავს უშველოს, ანუ გახდეს.

თითქოს, დიდი არაფერი პრობლემაა, უბრალოდ, ნაკლები უნდა ჭამონ, ვთქვათ, იმის ნახევარი, რასაც ჩვეულებრივ მიირთმევდნენ ხოლმე. მაგრამ ეს არცთუ იოლი ამოცანა ყოფილა – მიუხედავად იმისა, რომ ამის გამო არც შიმშილით სიკვდილი, არც დასუსტება არ ემუქრებათ, ქალები აცხადებენ: "არ შემიძლია".

რას ნიშნავს "ჭარბი წონა"? ევროპული სტანდარტების თანახმად, როდესაც ქალის წელის გარშემოწერილობა 88 სანტიმეტრს აღემატება, ეს უკვე საგანგაშო მაჩვენებელია. რაც შეეხება მამაკაცებს (რომლებიც ქალთა გარეგნობის შეფასებით ხშირად იქცევენ ხოლმე თავს) – როცა ეს მაჩვენებელი 102 სანტიმეტრს აღემატება, მამაკაცმა, სულ მცირე, სირბილი მაინც უნდა დაიწყოს, არამარტო გარეგნობის, არამედ ჯანმრთელობის წესრიგში მოსაყვანადაც. ასეთ დროს ადამიანს "ნორმალურ" მოქალაქეებზე რვაჯერ უფრო ხშირად ემართება შაქრის დიაბეტი, მას მაღალი წნევა აწუხებს და ნივთიერებათა ცვლაც ერღვევა, იმაზე რომ აღარაფერი ვთქვათ, რომ სიარული უჭირს და ცუდი სანახავიცაა.

ეს მხოლოდ ჩვენი, ჭამა-სმის მოყვარული ერის განსაცდელი როდია. მთელი მსოფლიო დიდ დიეტის ბაზრადაა ქცეული, რადგან დიეტური სანოვაგით მოვაჭრეებს, სათანადო ლიტერატურის გამომცემლებს და ფარმაკოლოგიურ კონცერნებს, გაუმაძღრობის და გაუნძრევლობის გამო დეპრესიაში ჩაცვენილთა წყალობით, უზარმაზარი ფული შესდით. რას არ გვთავაზობენ: "ელვისებრ" დიეტებს, ჯადოსნურ აბებს... მაგრამ დაპირებები დაპირებებად რჩება, მით უმეტეს, რომ ისინი, ვისაც რეალური წონის, ანუ ხუთ კილოგრამამდე დაკლება უნდ-



სოფი ლორენი


ოდრი ჰეპბერნი

ათ, ტრანკვილიზატორებით გატენილ აბებს არ ეკარებიან, ოცი კილოგრამის დაკლებას კი დიდი დრო და დიდი ნებისყოფა სჭირდება. ამასთან დაკავშირებით დიეტოლოგები მოგვიწოდებენ: ზედმეტ წონასთან ბრძოლა მხოლოდ მაშინაა წარმატებული, როცა ის ჯერ არ გვაწუხებს.

ყველამ, ვინც დიეტას ერთხელ მაინც იცავდა, იცის: დიეტის დაწყებისას პირველი კილოგრამები იოლად ქრებიან, რადგან სხეული, რომელსაც ენერგიის წყარო უწყდება, საკუთარი რეზერვების მოხმარებას იწყებს. ამასთან დაკავშირებით ყველაზე რადიკალური ე.წ. ნულოვანი დიეტაა: არცერთი კალორია! მათ ნაცვლად გახდომის მსურველი ყოველდღიურად, სულ მცირე, სამ ლიტრ წყალს უნდა სვამდეს. ჩანაფიქრის თანახმად, სხეული იძულებული ხდება, საკუთარი ცხიმი დაწვას. ამ მარტვილობის შედეგად სასწორი ყოველდღიურად 300-400 გრამით ნაკლებს გაჩვენებთ.

გარდა იმისა, რომ ძალიან მოგშივდებათ, პრობლემა ისაა, რომ ერთ მშვენიერ დღესაც სხეული "გადაირევა" და დარჩენილი ენერგიის მომჭირნედ ხარჯვას დაიწყებს, რაც სუნთქვაზე, გულისცემაზე, ნივთიერებათა ცვლაზე აირეკლება – ეს დამცველი მექანიზმი ჰომო საპიენსმა მრავალი ათასწლეულის წინ გამოიმუშავა, როცა დიეტა და მსგავსები აზრადაც არ მოსდიოდა: მას შია და თავს შენელებით და ყოვლისმომცველი სიზარმაცით შველის.

დიეტოლოგები გვირჩევენ: როგორც კი წონის დაკლებას შეწყვეტთ, უმალვე შეცვალეთ ტაქტიკა. ეს არ ნიშნავს, რომ ხინკალს უნდა დააცხრეთ, უბრალოდ, საკუთარი ორგანიზმის მოტყუება სცადეთ და გახსოვდეთ, რომ თითოეულ ეტაპზე ნახევარი კილოგრამის დაკარგვა მაინც თუ შესძელით, ეს დიდი მიღწევა იქნება.

მაგალითად: როგორც კი დიეტაზე მყოფს სამსახურში უსიამოვნება შეემთხვევა, როგორც კი მარტოობა შემოაწვება, როგორც კი საყვარელი ადამიანი ზურგს შეაქცევს, ის გადაწყვეტს ხოლმე, რომ ცხოვრებას და, შესაბამისად, გახდომას აზრი არა აქვს. ის უახლოეს მაღაზიაში გარბის და არაჯანსაღ კარტოფილის ჩიფსებს ან დიდ და კალორიულ ფილა შოკოლადს ყიდულობს. ამას ნერვიულ ნიადაგზე ჭამას უწოდებენ – ხომ ცნობილია, რომ შოკოლადი სიხარულის მომცემ სეროტონინს შეიცავს! მაგრამ თუ გაბრაზებულ ან ნაწყენ გულზე მაღაზიაში გაქცევის ნაცვლად სადმე, თუნდაც სტადიონზე გაირბენ-გამოირბენთ, სიხარული ასევე შეგიპყრობთ, და მერე ამაყიც იქნებით, რომ ცდუნება დაძლიეთ: თან ჯანმრთელიც ხართ, თან გამხდარიც, თან მაგარიც!

**ანა-ნიკოლ სმიტს** ძალიან უყვარს ჭამა. როცა მოდუნდება ხოლმე, 30-40 კილოგრამს იმატებს. სამაგიეროდ, დაკლებაც შეუძლია: ვარჯიშობს, ცოტას ჭამს და ბევრი სძინავს. მთავარია, მიზანი ჰქონდეს, თორემ წონის დაკლება რა პრობლემაა!

**ოდრი ჰეპბერნს** შოკოლადი მთელი ცხოვრების განმავლობაში სულ რამდენჯერმე ჰქონდა მირთმეული. მას ბებიის სიტყვები ახსოვდა: ჭეშმარიტი ლედი 46 კილოგრამზე მეტს არ უნდა იწონიდეს!

**სოფი ლორენი** პატარა გოგო ნამდვილად აღარაა, მაგრამ მისი ბადალი სხეულის მფლობელ ქალს დღესაც იშვიათად შეხვდებით. არადა, მას ჭამაც უყვარს და არც პირად მწვრთნელებთან მუშაობით იკლავს თავს. უბრალოდ, სოფი ლორენი დეპრესიებს სპაგეტის დიდი ულუფით კი არა, დიდი საქმეებით ებრძვის.

## TV პროგრამა

4 მარტი

### რუსთავი - 2

**07.00** დილა მშვიდობისა **08.00** "ტელეღიპუცები" **09.40** სერიალი "შურისძიება" **11.00** სერიალი "სოპრანოს კლანი" **12.00, 15.00, 18.00, 21.00, 01.10** კურიერი **12.20** "დისკავერი" **13.30** მხ. ფილმი **15.20** მხ. ფილმი **17.05** სერიალი "მაშველები" **18.20** "ტელეღიპუცები" **18.55** "დისკავერი" **19.45** სერიალი "შურისძიება" **22.00** სერიალი "სოპრანოს კლანი" **22.50** ღამის კურიერი **23.50** მხ. ფილმი "დათვი". მთ. რ-ში: ჩეკი კარიო, ჯეკ უოლესი.

### პირველი არხი

**07.30** ალიონი **09.45** მულტსერიალი "პაპირუსის თავგადასავალი" **10.10** მხ. ფილმი "მარტოსული გმირი" **11.35** დოკ. სერიალი "მსოფლიოს ქალაქები" **12.00, 15.00, 20.00, 23.00** მოამბე **12.15** ტელესერიალი "სოლედადი" **13.00** ნაშუადღევს **14.00** მოამბე ინგლ. ენაზე **14.05** ინგლისური ენის გაკვეთილი **14.30** დოკ. სერიალი "მხატვრები" **15.15** მხ. ფილმი "კუზიანი" **17.15** რამპა **17.20** დოკ. ფილმი "ცხოველთა ბედი" **18.00** ვესტნიკი **18.20** დოკ. სერიალი "ბუნების სამყაროში" **18.30** სერიალი "წვრილვარსკვლავთა ღამე" **19.00** ჯანმრთელობა **19.25** ტელეთამაში "იმღერე რამე" **21.05** ბასტი-ბუბუ **21.20** სერიალი "სოლედადი" **23.30** მხ. ფილმი "ოთხთა სიყვარული"

### პირველი სტერეო

**07.20** პოპ. ად. ათეული **08.00** ტოროლა **11.00** ქართული მუსიკა **13.00** ინფორმატორი **13.30** მუსათეული **14.10** მუსიკა **15.20** ფილმი **17.00, 19.15** მუსიკა **19.00, 20.00, 21.00, 22.00** ინფორმატორი **19.30, 20.15** ვიდეორადიო **21.15** მუსათეული **22.35** მუსიკა **23.00** პოპ. ად. ათეული **00.00** "ბრავო" "მოთმინების საზღვარი". მთ. რ-ში ჯენიფერ ლოპესი, ბილი კემპბელი. **01.40** "ღამურა" **03.00** პაუზის გარეშე

### მზე

**09.00** დოკ. სერიალი "ექსტრემალური ამბები" **10.00** სერიალი "მისი სულის მუსიკა" **11.00, 12.00, 13.00, 14.00, 15.00, 16.00, 17.00, 18.00** საინფ. გამოშვება "მზერა" **11.10** დღის კინოდარბაზი **18.30** მულტსერიალი "ცეროდენა მოჩვენებები" **19.00** სერიალი "მისი სულის მუსიკა" **20.00** საინფ. გამოშვება "მზერა" **21.00** მხ. ფილმი "ელ სიდი" (ჩარლტონ ჰესტონი) **23.00** მხ. ფილმი "ქეითი და ლეო" (მეგ რაიანი)

### მეორე არხი

**19.00** "მოამბე" მეორე არხზე **19.10** მულტსერიალი "პაპირუსის თავგადასავალი" **19.35** კინოსეანსი "დიდიე" **21.15** მოგზაურობა-ისრაელი **22.10** მხ. ფილმი "ხელი არ ახლო თეთრ ქალს"

### კავკასია

**12.00** მხ. ფილმი "გამოუსწორებელი თაღლითები" **14.00** მხ. ფილმი "მართალი ტყუილი" **17.00, 19.00, 20.30, 00.00** საინფორმაციო პროგრამა "დღეს" **17.15** მულტფილმი "მულანი" **19.20** სპექტრი **21.00** მხ. ფილმი "სიმონა" **00.30** მუსიკა

### იბერია

**08.00** ანონსი, დიალოგი **10.30** მხ. ფილმი **13.00, 15.00, 17.00, 19.00, 22.00, 22.45** ახალი ამბები **15.15** მხ. ფილმი **18.00** ტელე-სინე ვიდეო **20.00** მხ. ფილმი **22.15, 23.00** დიალოგი **23.45** მხ. ფილმი

### მეცხრე არხი

**08.00** პროგრამა "დილა" **09.30** დღის ამბები **09.45** პროგრამა "დილა" **10.15, 13.50, 17.50** მუსიკა **10.30** სერიალი "მოჯადოება" **11.30, 14.30, 17.30, 20.30, 00.45** დღის ამბები **11.50** მხ. ფილმი "ვარსკვლავეთის ომები" **14.00** მულტსერიალი "კონკია" **14.50** "ევროპის სტადიონებზე" **15.10** მხ. სერიალი "პატარა აინშტაინები" **15.35** სერიალი "ინდიგოს მიწა" **16.35** დოკ. სერიალი "ქანდაკება" **17.00** მხ. სერიალი "ჰორასი და თინა" **18.00** მულტსერიალი "კონკია" **18.30** მხ. სერიალი "პატარა აინშტაინები" **19.00** "ცხელი ცხრიანი" **20.00** "მსოფლიო ფეხბურთი" **22.00** სერიალი "მოჯადოება" **23.00** ღამის მატარებელი **01.00** სერიალი "სოლარისი" მე-26.

### იმედი

**07.00, 10.00, 11.00, 12.00, 13.00, 14.00, 15.00, 16.00** ქრონიკა **07.15, 13.15, 16.40, 17.20, 01.00** იმედის მელოდიები **08.00** "იმედის" დილა **10.10** სერიალი "სიყვარული უდაბნოში" **11.05** თამაში: უდაბნოს სამჭედლოები **12.10** სერიალი "კლონი" **13.30** "მულამები" **14.05** სერიალი "ნეშ ბრიჯისი" **15.10** მხ. ფილმი "შემოდგომა ნიუ-იორკში" **17.00, 18.00, 19.00, 21.00, 22.00, 00.40** ქრონიკა **17.25** არტ-ბულვარი **18.05** სერიალი "სიყვარული უდაბნოში" **19.30** სერიალი "კლონი" **20.30** სერიალი "ნეშ ბრიჯისი" **21.30** სპ. პროგრამა "ესტაფეტა" **22.50** მხ. ფილმი "დიდი კაიფი" (ე. ბირკინი)

### არხი

**08.00** დოკუმენტური ფილმი **09.00** საინფორმაციო დაიჯესტი **09.30** მხ. ფილმი "ასტერიქსი და ობელიქსი კეისრის წინააღმდეგ" **11.15** დოკუმენტური ფილმი **12.00, 14.00, 16.00, 18.00, 20.00, 22.00, 00.00** საინფ.გამ. "დღეს" **12.10, 16.10, 18.15, 22.30, 00.20** საინფ.გამოშვება "ნოვოსტი" **12.20** დრამა "თეთრი ოლეანდრი" **14.20** კომედია "მისტერ პიტკინი მტრის ზურგში" **15.50, 19.20** მუსიკა **16.20** მულტფილმი **16.50** ისტორიული ფილმი "ომის მბრძანებელი" **19.30** "დღეს მსოფლიოში **20.10** თრილერი "მეექვსე გრძნობა" **23.00** საინფ. გამოშვება აზერბაიჯანულ და სომხურ ენებზე **23.20** "ექსკლუზივი" **00.40** საინფ. გამოშვება ინგლისურ და ფრანგულ ენებზე **01.00** ფანტასტიკა "თორმეტი მაიმუნი" **03.10** მუსიკა **03.30** კომედია "ბანზაი" **05.10** დოკუმენტური ფილმი

### ОРТ

**07.00** "Доброе утро!" **09.45** Выборы-2004 **10.00, 13.00. 16.00, 19.00** Новости **10.20 Худ.фильм "Улицы разбитых фонарей 5" 11.30 Сериал "Клон" 12.30** "Ералаш" **12.40** Дисней-клуб: "Базз и его команда" **13.20 Худ.фильм "Золото" 15.10** Шоу "Город женщин" **16.20 Сериал "Берег мечты" 17.20** "Угадай мелодию" **17.50** "Большая стирка" **19.20** "Кумиры". Л.Лужина **19.50 Сериал "Клон" 20.50 Худ.фильм "Любительница частного сыска Даша Васильева" 22.00, 00.30** "Время" **22.35 Худ.фильм "Улицы разбитых фонарей 5" 23.40** "Человек и закон" **01.00 Сериал "Ударная сила". "Ядерный щит" 01.30** "Гении и злодеи" **02.00** "Империя чужих", часть 1 **02.30 Комедия "Дамский угодник" 04.05 "**Что? Где? Когда?" Финал года **05.50 Сериал "Шпионка"**

### РТР

**06.00** "Доброе утро, Россия!" **09.45 Сериал "Тайны следствия 3" 10.50** Ток-шоу "Короткое замыкание" **11.50, 14.50, 17.30, 01.15** Вести. Дежурная часть **12.00, 15.00, 18.00, 21.00** Вести **12.20, 15.10, 17.40, 21.30** Местное время. Вести-Москва **12.50** "Что хочет женщина" **13.50 Сериал "Женщины в игре без правил" 15.30** Ток-шоу "Частная жизнь" **16.30 Сериал "Возвращение Мухтара" 18.10 Сериал "Люди и тени" 19.05 Сериал "Главные роли" 20.00 Детектив "Зачем тебе алиби?" 21.50** "Спокойной ночи, малыши!" **21.55 Сериал "Тайны следствия 3" 22.55 Сериал "Женщины в игре без правил" 00.55** "Вести+" **01.30 Худ.фильм "Паук" 03.30** Синемания **03.55** Дорожный патруль **04.10** Агентство одиноких сердец **04.35 Сериал "Ангелы Чарли"**

### НТВ

**07.00** "Утро на НТВ" **09.45 Сериал "Свободная женщина 2" 11.00** "Сегодня утром" **11.25** "Квартирный вопрос" **12.20** Ток-шоу "Страна советов" **13.00, 16.00, 18.00, 20.00, 02.30** "Сегодня" **13.35 Худ.фильм "В небе "Ночные ведьмы" 15.15** "Время есть" **15.35** "Протокол" **16.35** Ток-шоу "Принцип домино" **18.30 Сериал "Она написала убийство" 19.35** "Протокол" **20.40 Детектив "На вираже", 7 с. 21.50 Сериал "Свободная женщина 2", 4 с. 23.00** "Страна и мир" **23.35** Ток-шоу "К барьеру!" **00.40** "Тайны разведки: битва за Африку" **01.20 Сериал "На вираже"**

## სკანვორდი



# ძველი სიყვარულის დასავიწყებლად



*ჯენიფერ ლოპესი*

ზოგჯერ ვარსკვლავობას და სიმდიდრეს უარყოფითი მხარეებიც აქვს ხოლმე. განსაკუთრებით მაშინ, როცა საქმე სასიყვარულო ამბებს ეხება. როცა ჩვეულებრივი მოკვდავი თავის მეწყვილესთან კავშირს წყვეტს, ის ცდილობს, ყველაფერი მოიშოროს, რაც ძველ სიყვარულს ახსენებს: ფოტოები, წერილები და მსგავსები. ჯენიფერ ლოპესი ამჟამად სწორედ ამ საქმითაა დაკავებული.

ყველაფერთან ერთად ჯენიფერმა ბენ აფლეკი თავის ბოლო ალბომიდან, This Is Me... Then-იდანაც მოაშორა. უფრო სწორედ, ამის გაკეთებას ეცადა, რადგან მოგონებები ნერვებს უშლის, ალბომის მრავალი სიმღერა კი სწორედ ბენისადმია მიძღვნილი. ამავე მიზეზის გამო ჯენიფერმა თავისი ახალი სინგლის, Baby I Love You-ს საზოგადოებისთვის წარდგენაც გადადო.

არასასურველი ბენი ჯენიფერ ლოპესის ვიდეოკლიპიდან, Jenny From The Block-იდანაც გაქრება. ერთადერთი პრობლემა ახლა ისაა, რომ ის შეიძლება შემთხვევით ქუჩაში შემოეყაროს – ამისგან კი არავინაა დაზღვეული.

# ალიშია კისის დღიური



*ალიშია კისი*

ალიშია კისის თქმით, მისი ბოლო ალბომი, The Diary Of Alicia Keys, მუსიკალური დღიურია, რომელიც მისი სულის ყველა მხარეს წარმოაჩენს.

ამჯერად ალიშიას, რომელიც თავის ბრძნულ გამონათქვამებს და აზრებს ყოველდღე იწერს ხოლმე, გადაწყვეტილი აქვს, წიგნად გამოსცეს თავისი "ჭეშმარიტი გრძნობები, ის, რაც მას გადახდა, ის, რაც გააკეთა. ის, რაც გულზე მოხვდა, რაც ეტკინა და რაც გაუხარდა".

მომღერლის პროდუქციის ბაზარზე გატანისთვის მზადყოფნა უკვე ორმა აგენტმა განაცხადა – წიგნის ლიტერატურული ღირებულებებით არავინ დაინტერესებულა, იმთავითვე ნათელია, რომ ის ბევრ ფულს მოიტანს, ყოველ შემთხვევაში, ალიშიას თაყვანისმცემლები წიგნს სულმოუთქმელად ელიან.

# წამალი "სალხინო"

## ქართული ფლორის საოცრება

თუ გაწუხებთ პროსტატიტი, ცისტიტი, ქალური და შარდ-სასქესო ორგანოების დაავადებები; როცა შეიმჩნევა შენელებული და გახშირებული შარდვა, შარდვის დროს წვა, შარდსადენი ხვრელის ბაგეთა მიწებება, სუნი ან გამონადენი; აგრეთვე ტკივილი წელის, გავის ძვლის, თირკმელების არეში; შარდის წვეთ-წვეთად გამოყოფა, მოშარდვის სურვილის დაუკმაყოფილებლობა, როცა ვითარდება სექსუალური მოშლილობა და იმპოტენცია,მიიღეთ წამალი "სალხინო" და ეს პრობლემები მოგეხსნებათ.

"სალხინო" აწესრიგებს კუჭ-ნაწლავის მოქმედებას და ხსნის ტკივილებს.

"სალხინო" გამოიყენება ჩირქოვანი და ჩირქმბადი ინფექციების სამკურნალოდ, ნაღვლის ბუშტის (ქოლეცისტიტი), ჰეპატიტის, გასტრიტის, ნეფრიტის, გინგივიტის, სტომატიტის, ბრონქიტის და სხვა პათოლოგიური დაავადებების დროს. "სალხინო" აქრობს პირის ღრუდან უსიამოვნო სუნს. წამალი "სალხინო" კურნავს სარძევე ჯირკვლების დაავადებებს - მასტოპათიას, მასტიტს. თუ გამოიყენებთ მშობიარობის შემდეგ, აიცილებთ მასტიტს და გაიუმჯობესებთ ბავშვის კვებას საკუთარი რძით.

წამალ "სალხინოს" თვისებები აპრობირებულია და მოწონებულია საქართველოს, რუსეთის, აზერბაიჯანისა და სხვა ქვეყნების ჯანმრთელობის დაცვის სამინისტროების მიერ, იგი რეგისტრირებულია. მიღებული აქვს სახელმწიფო პატენტები და ლიცენზია.

იკითხეთ და შეიძინეთ აფთიაქებში.

წამლის ფასი საქართველოს ტერიტორიაზე სამი (3) დოლარის ეკვივალენტს არ უნდა აღემატებოდეს ლარებში.

განათლების სამინისტროს საინფორმაციო ტექნოლოგიების ცენტრი „მზიური“ გთავაზობთ:

კომპიუტერის შემსწავლელ კურსს თემებით:

- საქმიანი დოკუმენტაციის წარმოება – MS Word.
- ოპერაციული სისტემა Windows.

ცენტრში მოქმედებს სხვა კურსებიც.

მისამართი: დ.უზნაძის № 72 ტელ:29-48-61




# უკვდავი ლენი

ტრადიციის თანახმად, "ოსკარის" გადაცემის ცერემონიასთან დაკავშირებით "კოდაკის" თეატრის ეკრანზე გასულ წელს გარდაცვლილი კინოხელოვანების სახელების სია იყო ნაჩვენები. მათ შორის იყო ლენი რიფენშტალიც, რომლის გამოჩენამაც აზრთა სხვადასხვაობა გამოიწვია.

კრიტიკოსებმა ბრძანეს, ჰიტლერის საყვარელ რეჟისორს საპატიო სიაში არაფერი ესაქმებაო. განსაკუთრებით აღშფოთდა აბრაჰამ ფოქსმანი, ანტი-დისკრიმინაციის კავშირის წევრი: "ჰიტლერიც აქ ხომ არაა? არ ვიცი, რას ფიქრობდა აკადემია, როცა მისი სახელი ჩვენი დიადი ოსტატების გვერდით ახსენა".

აკადემიის ვიცე-პრეზიდენტმა, სიდ გერნისმა, თავისი ორგანიზაციის დაცვის მიზნით განაცხადა, რომ 101 წლის ასაკში გარდაცვლილი რიფენშტალიც ხელოვანი იყო, და "დიდხანს და შთამბეჭდავად იცხოვრა". პროდიუსერმა ჯერი ბრუკჰაიმერმა რიფენშტალი სხვაგვარად შეაფასა: "ის გენიოსი იყო და მას დღემდე ბაძავენ".

# პერისი წყალში ჩავარდა

ეს ცნობა ამერიკის შეერთებული შტატების მედიამ დიდი ხალისით გაავრცელა, მიუხედავად იმისა, რომ მილიონების მემკვიდრეს მარცხი სულ შემთხვევით მოუვიდა. დიდი ტრაგედია არ დატრიალებულა, უბრალოდ, ლუის ვიტონის უძვირფასესი ფეხსაცმელი დასველდა და წახდა. საქმე ისაა, რომ ბევერლი ჰილსზე, პროდიუსერ ბობ შეისის ვილას შესასვლელში იაპონური დეკორატიული ტბორია, ყვავილებით დაფარული, და ქერათმიანმა პერის ჰილტონმა ეს არ იცოდა.

"ღმერთო ჩემო, ტბორი ვერ დავინახე!" მოთქვამდა პერისი. "აქ ტბორს რა უნდა? კიდევ კარგი, დიდ საცურაო აუზში არ ამოვყავი თავი". შემდეგ მან ეს "უსაშინლესი ამბავი" თავის დას, ნიკის, მობილური ტელეფონით შეატყობინა.

მასპინძელმა კი პრესას მოახსენა, პერისი წვეულებაზე საერთოდ არ მომიწვევიაო.

